ლიტერატურული გაზეთი

№21 (349) 10 - 23 ნოემბერი 2023 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი

დათო მაღრაძე

სიცოცხლე ვენეციაში

ვუძღვნი შესანიშნავ მხატვარს, ჩემს ძვირფას მეგობარს, ანატოლი ბელკინს, რომელიც არის ჩემი ქართული, რუსული და ესპანური წიგნების მხატვარი და რომელმაც ცოტა ხნის წინ ერთი ნამუშევრის — „კარპაჩო — მაღალი წყლის“ — გამოფენა გამართა. მან თავის ინსტალაციაში ვიტტორე კარპაჩოს XVI საუკუნის შედევრი ვენეციაში ამოგ ზაურა და კონტრასტით გვაჩვენა, რომ ჭეშმარიტ ხელოვნებას ჩვენი ეპოქა მაღალი წყლის საფრთხით ემუქრება.

ჩემს პირველ პედაგოგს, რომელსაც ლიტონი
არ უთქვამს ფრაზა და
მინდა, რომ ვენდო მას:
— პოეტი იწყება იმ ერთი სტრიქონით,
როდესაც დაუშვებს ღვთაებრივ შეცდომას.
ჯაპანურ ტანკას ვწერ, თუ გნატრობ სონეტით,
ვეხლები ჯებირით დადგენილ ნაპირებს,
ვდარდობ თუ ვოცნებობ
ყველგან და ყოველთვის,
ღვთაებრივ შეცდომის დაშვებას ვაპირებ.
და რადგან ამ თემას ყრმობიდან გავუში-
ნაურდი, ჩავთვლი, რომ ვიპოვე მოტივი,
თუ ვენეციაში ეს ლექსი ჩავუშვი,
განგაშის საზომი გათლილი ბოძივით.

— ვინ დათვლის ვარსკვლავებს,
შენ თუ არ დათვალე,
პაპი აღარ ხიბლავს განდგომილ პურიტანს...
პროგრესის ეპოქა მოირგებს სათვალეს
და ჩააშტერდება საკუთარ უნიტაზს,
რომ იქნებ როგორმე ან ავტოპორტრეტი
შექმნას, ან მიაგნოს თვალწარმტაც პეიზაჟს,
ამ აქტივისტების, ცოტათი მოკრეტინ-
მოფაშისტოთაგან მიშველის გეიშა,
რომ ავცდე ულმობელ მშობლიურ განაჩენს,
ზედ სულზე მომისწრო
კულტურამ ჯაპანის,
უცხო ხილს მივმართე, რომ თავად გადავრჩე
და ვიხსნა კულტურა
მამის and პაპანის.

— **blow up!** — მაესტრო,
სულ უფრო მკაფიოდ
გაზარდე ფოკუსი პრობლემის შიშველის,
ეპოქა წააგავს უსისხლო მაფიოზს
და ისევ მხატვარის ფუნჯი თუ გვიშველის.
შენ თუ არ გაჰყევი ესპანურ გალიონს,
სხვა ვინღა გაჰყვება
მუცლიან იალქნებს...
და მერე ღამეში ბეთლემის ალიონს
შენგანვე დათვლილი ვარსკვლავით მიაგნებ.
...ფეხი არ გაადგი თუ მამის სახლიდან
და მშვიდად შეირგე
პური და სახლ-კარი,
თუკი ოდისეა არ შედგა ახლიდან,
მე ასეთ სიმშვიდეს
— **Pardon!** და გავკარი.

შენ თუ არ ილოცე,
სხვა აღარ ილოცებს...
წყლის დონე მატულობს... ვრცელდება სახადი...
სხვადასხვა ქვეყნიდან მიიღებს მილოცვებს
მხატვარი, რომელმაც დახატა ნახატი.
— მიეცი გვარი და
ძე, ლედი ჰამილტონს!
ნუ დაელოდები საბანკო ვაუჩერს,
სხვა ვეღარ გარისკავს და სწორედ ამიტომ
ღვთაებრივ შეცდომას ვერასდროს დაუშვებს.
...როგორი ექოა,
უხხ, მართლა მე შენი!..
როცა კარავაჯოს შუქ-ჩრდილი დიადი
კოპოლამ იცნო და ქორწილის ფეშენით
გამიჯნა დონ ვიტოს ოთახის წყვდიადი.

ედემის ვაშლი რაც დაეცა ნიუტონს,
მას შემდეგ სითეთრე ვინა სთქვა უშავოდ...
თუმცა ისააკი ძალიან ჯიუტობს,
ცის მიზიდულობის კანონზე ვმუშაობ
და ველი ხელახალ მუზათა ბრძანებას,
მაშინვე, როგორც კი
მზის სხივზე გავშრები,
მოდის მაიოლის ბრინჯაოს ზმანება
და მიხმობს წვიმაში პომონა ვაშლებით.
თუ ვაშლთან როდისმე შეხება გავრისკე,
რომელიც ცდუნების აგზავნის დემონებს.
მაქსიმუმ, მარკეტის დახლიდან სახლისკენ
წავიღებ ისე, რომ
არ დავაგემოვნებ.

და ყურში მოცART-ის ფრაზა თუ შეუშვი,
როდესაც აღმართში მოგწვდება ქოშინი,
მხნეობას იპოვი დაქანცულ სხეულში,
გახვრეტილ ჯიბეში მოძებნილ გროშივით.
...როდესაც ისლამმა ხატება შელესა
რომაულ კედელზე ბერძნული იკონის
მოუხმო მხატვარმა
მშობლიურ რენესანსს
და იხსნა სამყარო მოცART-ის სტრიქონით.
კარპაჩომ მოუსწრო სათუო ეპოქას, —
დაბნეულ ტურისტს რომ
მოუსწრებს მაშველი...
— ხოლო რაც ეხება ბელკინს, ჩემს მეგობარს,
სისხლის ანალიზის პასუხი:
— ქაშერი!

...და რადგან მუსიკას ყრმობიდან გავუში-
ნაურდი, ჩავთვლი, რომ
ვიპოვე მოტივი.
თუ ვენეციაში ეს ლექსი ჩავუშვი,
განგაშის საზომი გათლილი ბოძივით.



ნინო მშვიდობაძე

ციცინათელა

სულ მინდოდა, ციცინათელაზე დამეწერა,
არა იმაზე, ჩვენ რომ გავარომანტიკულეთ,
ღამეს რომ გვინათებს და
ყოფიერების მუქ ჩრდილებს რომ
აციმციმებს,
არამედ იმაზე,
საკუთარი ნათებით მამრს რომ იტყუებს და
კლავს.
რა შემზარავი სილამაზეა
ეს ერთი ციდა მწერი,
უმწეო და სუსტი, თანაც მანათობელი,
რაღაცნაირად იმედის მომცემი,
მკვლელია თურმე
და ის თავისი ღამეული ციმციმიც
გამრავლების ინსტინქტია მხოლოდ
და სხვა არაფერი.
ხომ ხდება ხოლმე,
სიმართლე იმდენად მწარეა,
არ გინდა, თვალი გაუსწორო,
გინდა, გჯეროდეს, რომ ის,
რაზედაც ოცნებობდი, ან გწამდა,
რომ სუფთა და შეურყვნელი იყო,
ასეთად დარჩეს,
რა ძნელია, ასეთ დროს
სიმართლეს თვალი გაუსწორო.
ახლა ვხვდები, რატომაც
დაითხარა თვალები ოიდიპოსმა...
მე კი ციცინათელაზე ვწერ,
აი, იმაზე:
საკუთარი ციმციმით მამრს
მოსაკლავად რომ იტყუებს —
მისი ცხოვრების წესია ასეთი,
ვერაფერს შეცვლის
და მეც ვერ ვცვლი
ჩემი ცხოვრების დადგენილ წესს,
თუნდაც სულელურს:
ციცინათელები ზაფხულის
ღამის ჭორფლებია მხოლოდ,
მე ხომ ასე მწამს,
ამგვარად ვხედავ —
და რა აზრი აქვს ასეთ დროს სიმართლეს,
ასე მგონია,
ცხოვრების პარადოქსულობა
ამ ერთმა პაწაწა მწერმა დაიტია
საკუთარ ციმციმში,
მე ციცინათელაზე ვწერ.

IV-V

1. მოედანი

არც კი გარბოდა. მთავარი მოვლენები მისი პოზიციისგან მოშორებით — შეტევის მარცხენა ფლანგისკენ ცდილობდა განვითარებას. ისიც, ცენტრის ხაზთან წამიერად შეყოვნებული, ამ მცდელობას გასცქეროდა, როცა დაეცა. პირველებმა ეს მეზობელმა მცველმა და მეკარემ შენიშნეს. მეორემ საჯარიმო ოთხკუთხედის მიტოვება გონივრულად არ მიიჩნია. უშუალო კოლეგა კი მაშინღა მიუახლოვდა, როცა მიხვდა, რომ თავისით წამოდგომას არ აპირებდა. დახედა და ეგრევე ხელების ქნევა დაიწყო. ამასობაში ბურთი მოედნიდან გადაგორდა და საქმეში ჩართულმა მსაჯმაც ენერგიული ჟესტით შემოიხმო ექიმები. იმათ დამატებითი დახმარება მოითხოვეს. მალე ევაკუატორიც გამოჩნდა.

2. ტელევიზორი

მგონი, რაღაც საშინელება ხდებაო, იმეორებდა ტელეკომენტატორი. თუმცა ფეხბურთელი რომ გაიყვანეს, ფერების გაღიავება სცადა — იმედია, ყველაფერი კარგად დამთავრდება, რადგან რაიტი, თუ არ ვცდები, უკვე გონზე მოვიდაო.

საინფორმაციო გამოშვებამ დაახლოებით ერთ საათში გააქარწყლა მატჩის კომენტატორის დაახლოებით ერთი საათის წინანდელი იმედები.

— დაახლოებით ერთი საათის წინ ტრაგედია დატრიალდა ინსექთარენაზე, — თქვა შეწუხებულმა დიქტორმა, რომელსაც შეიძლება ადრეც გაეგონა გამოსაცხადებელი სახელი და გვარი, — ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩის მსვლელობისას მოულოდნელად „ენთსის“ მარჯვენა მცველი მარკ... მაიკ რაიტი გარდაიცვალა. ექიმებს ჯერჯერობით არ განუცხადებიათ ფეხბურთელის სიკვდილის გამომწვევი მიზეზების შესახებ...

3. ექსპერტიზის ბიურო

ექიმებმა მაიკ რაიტის სიკვდილის მიზეზი ვერც მეორე, ვერც მესამე და ვერც რომელიმე მომდევნო დღეს დაასახელეს. თუმცა რამდენიმედღიანი ექსპერტიზის შემდეგ ბევრი რამის დასკვნა შეიძლებოდა. მაგალითად, იმის, რომ:

მაიკ რაიტის სიკვდილი არ გამოუწვევია გულის ტაქიკარდიას. მაიკ რაიტის სიკვდილი არ გამოუწვევია მიოკარდიუმის გენეტიკურ არითმოგენურ პათოლოგიას. მაიკ რაიტის სიკვდილი არ გამოუწვევია კორონარების ანატომიურ ანომალიას. მაიკ რაიტის სიკვდილი არ გამოუწვევია თრომბოემბოლიას. მაიკ რაიტის სიკვდილი არ გამოუწვევია ანევრიზმას. მაიკ რაიტის სიკვდილი არ გამოუწვევია ინსულტს. მაიკ რაიტის სიკვდილი, მით უმეტეს, არ გამოუწვევია ავთვისებიან სიმსივნეს, კოვიდის რომელიმე შტამს, ციროზს, ნეფრიტს, პნევმონიას, ჰაიმორიტს. მაიკ რაიტის სიკვდილი, რა თქმა უნდა, არ გამოუწვევია სუიციდს, ბუნებრივ კატასტროფას, საგზაო შემთხვევას, სამხედრო ოპერაციას, ავ თვალს და კიდევ უამრავ რამეს.

ყველაზე თვალსაჩინო და დამაჯერებელი კი მაინც ეს დასკვნა იყო: ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, მაიკ რაიტი გარდაიცვალა.

4. ცა

— თქვენ ჯოჯოხეთში მოხვდებით!

სპეცაგენტები თავჩაქინდრულები იდგნენ. შეფი სავარძელში ბობოქრობდა.

— თქვენი ადგილი იქ არის — ქვაბებთან! ურიეთ ორკაპებით ცოდვილები და ისუნთქეთ კუპრის ოხშივარი!.. მარადიულად!..

სპეცაგენტებს მხრებიც არ შესტოკებიათ — რომ გეფიქრა, საზარელმა პერსპექტივამ თუ არ შეაძრწუნა, ააღელვა მაინცო. უფრო იმას იეჭვებდი, ასეთ მუქარას პირველად არ ისმენენ და, შესაბამისად, გაცილებით უფრო ნათელი მომავლისა სჯერათო. თუმცა შეფი, რომელსაც, წესით, ამ საქმეში ხელქვეითებზე მეტი გამოცდილება უნდა ჰქონოდა, დაცხრომას არ ჩქარობდა. ნუ გამოვრიცხავთ — როლი ჰქონოდა ჩასამთავრებელი.

— აქამდე რომ არ მოგთხოვეს პასუხი, ვინ იცის, იფიქრეთ — ჩაგვიარაო! ექსპერტიზის დასკვნებს ველოდებოდით! იქნებ რამე მიზეზი მოსჩვენებოდათ! ეჭვი მაინც გამოეთქვათ ისეთი, რომ ჩავბღაუჭებოდით და აქედან პედალი მიგვეცა! მაგრამ არაფერი მაგისთანა — ამჯერად! პირდაპირ განაცხადეს — აზრზე არა ვართ, ბატონოო! სულ დაკარგეს თავმოყვარეობა! იქაც!.. ამ დროს, ყველა ახსნას მოითხოვს და განმარტებას! და თურმე მარტო მე უნდა ვიხალო თავში!.. როგორ გეკადრებათ! ვერ მოგართვით! ახლავე დასხდებით და დაწერთ მაგ ახსნა-განმარტებას! ორივე! ყველაფერს დეტალურად ჩამოყრით! და ვაი თქვენს ტყავს, თავი თუ ვერ იმართ!.. თუმცა რით უნდა იმართლოთ?! რამ უნდა გიშველოთ?!.. გადით!

კაბინეტიდან გამოსულმა სპეცაგენტებმა თავები ასწიეს და, როგორც იქნა, თვალები გამოაჩინეს. თვალებმა კი, თავიანთ მხრივ, უკვე ზუსტად გამოაჩინეს, რომ მათ პატრონებს რამის კი არ ეშინოდათ — რაღაც ეზარებოდათ.

5. სასაფლაო

მაიკ რაიტის საფლავის ქვაზე გასმული დეფისი სულ რაღაც 25 წელიწადს იტევს. ქვასთან დაახლოებით ამავე ასაკის ქალი ჩამუხლულა და ტირის. ტირის მოთქმით, სახის ხოკვით, მიწაზე თავცემით. ტირილი ტუჩებსა და ტუჩებიდან ამომავალ სიტყვებს უბრეცს. თუმცა გარჩევა მაინც შეიძლება.

— რეტემ?! — კითხულობს ქალი. მაგრამ ასეთი ნატურალიზმი ალბათ, დაცინვად თუ არა, უსულგულობად მაინც ჩამოგვერთმევა. ამიტომ ჯობია, ქალის ხმით ნატირალი ჩვენი სიტყვებით გადმოვცეთ.

ჩვენი სიტყვებით, ქალს მაიკი უყვარს და ენატრება. თუმცა ნატირალის ლაიტმოტივი მაინც სხვა რამეა.

რატომ? ქალს აინტერესებს, რატომ მოკვდა მაიკი, რომელიც საუკეთესო ადამიანი და, შესაბამისად, ყველაზე დიდხანს სიცოცხლის ღირსი იყო და რომელსაც, რაც მთავარია, ამისი არანაირი საფუძველი არ ჰქონდა. ან მანქანა დასჯახებოდა, ან ტყვია მოხვედროდა, ან მეხი დასცემოდა... იმას კი მრავალდღიანმა ექსპერტიზამაც ვერ დაუდგინა სიკვდილის მიზეზი.

უფრო ზუსტად, ქალს კი არ აინტერესებს ეს, ქალი პასუხს მოითხოვს ამაზე — ყველასგან და ყველაფრისგან, რაც შეიძლება, ან არ შეიძლება, სიკვდილ-სიცოცხლეს, სააქაო და საიქაო ამბებს, სამყაროს წესრიგს ან უწესრიგობას მართავდეს.

— რეტემ?! რეტემ?! რეტემ?! — კითხულობს ქალი მანამ, ვიდრე ძალა თუნდაც დაბრეცილი სიტყვების ამოთქმისთვის ჰყოფნის. მერე უკვე უსიტყვო მოთქმა, სახის ხოკვა და მიწაზე თავცემა აზანზარებს ცას. ისიც საკვირველია, საერთოდ რომ არ ამსხვრევს და ნაწილ-ნაწილ დაბლა არ ჩამოაქვს. თუმცა ორი ნატეხი კი ვარდება ტრიალ-ტრიალით და პირდაპირ მაიკ რაიტის საფლავის ქვასთან ეცემა.

ქალი ერთ საქაღალდეს იღებს. ჯერ ამაოდ დაჰყურებს. მერე კი, როცა ცრემლიან თვალებს მაჯებით ნაწილობრივ ამოიწმენდს, გაჭირვებით ამოიკითხავს:

სიკვდილის განყოფილება
სპეცაგენტი იქსი
ახსნა-განმარტება
მაიკ რაიტის საქმესთან დაკავშირებით

მეორე საქაღალდესაც თითქმის იგივე აწერია. მხოლოდ იქსია შეცვლილი იგრეკით.

ქალი საქაღალდეებს აკანკალებული ხელებით მკერდზე იკრავს და გარბის.

6. საქაღალდეები

„უპირველეს ყოვლისა, მოგახსენებთ, რომ მეც და ჩემს მეწყვილესაც (სპეცაგენტი იგრეკი) ღრმად გვაქვს შეგნებული და გათავისებული სპეცგანყოფილების როლი და მნიშვნელობა ისეთ ღირსეულ საერთო საქმეში, როგორიც სიცოცხლის გარკვეული ფორმების ცხოვრების დაგეგმვისა და მართვისას გაპარული და მოგვიანებით მოულოდნელად წარმოჩენილი ხარვეზების დელიკატურად აღმოფხვრაა. შესაბამისად, ყოველთვის პასუხისმგებლობითა და შემართებით ვეკიდებით დაკისრებულ მოვალეობას ზოგადად, და თითოეულ დავალებას კონკრეტულად, რითაც, ვიმედოვნებთ, ჩვენი მცირედი წვლილი შეგვაქვს საერთო სიცოცხლის არსებული სისტემის მდგრადობის შენარჩუნებაში.

შესაბამისად, მეც და ჩემი მეწყვილეც (სპეცაგენტი იგრეკი), რა თქმა უნდა, ზუსტად ასეთივე განწყობით შევეგებეთ დაკისრებულ მორიგ მისიას, სახელწოდებით „მაიკ რაიტის მოკვდინება“.

„მისიის შინაარსი და ვადები ერთმანეთთან მაშინვე იმდენად შეუსაბამოდ მომეჩვენა, რომ ეს დაუყოვნებლივ და ხმამაღლა აღვნიშნე. სპეცაგენტ იქსს ეჭვიან მზერაზე ეტყობოდა, რომ მეთანხმებოდა.“

„ამის საპასუხოდ მე და ჩემს მეწყვილეს (სპეცაგენტი იგრეკი) ნათლად და დაბეჯითებით განგვიმარტეს, რომ სინამდვილეში სწორედ ასეთი განსაკუთრებული შემთხვევებისთვის არის შექმნილი ჩვენი განყოფილება ზოგადად და სპეცაგენტის თანამდებობა კონკრეტულად, ხოლო მისიისთვის გამოყოფილი დრო აბსოლუტურად საკმარისია იმისთვის, რომ ორმა პროფესიონალმა სპეცაგენტმა მას წარმატებით გაართვას თავი.

ამის შემდეგ მე და ჩემს მეწყვილეს (სპეცაგენტი იგრეკი) გულმოდგინედ და დაწვრილებით შეგვახსენეს ჩვენი საამაყო პროფესიული წარსული ზოგადად და მრავლობითი წარმატებული მისიები კონკრეტულად.“

„ჩვენს პროფესიულ თავმოყვარეობაზე აქტიური პედალირების მიუხედავად, მე, და პრინციპში სპეცაგენტმა იქსმაც შეუსაბამოდ მივიჩნიეთ ობიექტ-ადამიანის დაუგეგმავი სიკვდილის გათანაბრება ისეთ მისიებთან, როგორებიცაა მოხუცის ქუჩაზე გადაყვანა, ხიდან მხდალი კნუტის ჩამოხსნა, მამლის დაყივლების მომენტის დროში გადაწევა-გადმოწევა და ასე შემდეგ.“

„მე და ჩემმა მეწყვილემ (სპეცაგენტი იგრეკი) ერთხმად ვაღიარეთ ზემოთ ჩამოთვლილი მისიების მნიშვნელობა და საპატიოობა, თუმცა იქვე აღვნიშნეთ ახალი დავალების გარკვეული დამატებითი სირთულე; კერძოდ, ის, რომ ობიექტ-ადამიანის მოკვდინების პროცედურა, რომელიც, მიზეზთა გამო, თავის დროზე ანუ ობიექტ-ადამიანის დაბადებამდე დეტალურად ვერ გაიწერა, ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროებს გარკვეულ მოსამზადებელ სამუშაოებს. ამას გარდა, ასეთი მისიის წარმატებით შესრულებას უნდა დაეხმაროს თავად ობიექტიც — ვთქვათ, ძალიან სუსტი ჯანმრთელობით, მავნე ჩვევებისადმი ძლიერი მიდრეკილებით, ღამღამობით თხრილებიან ქუჩებში ხეტიალის სიყვარულით ან/და სხვა მსგავსი ნიშან-თვისებებით. ხელმძღვანელობამ ჩვენი მოსაზრებები ყურადღებით მოისმინა, თუმცა ბოლომდე არ გაიზიარა.“

„მივხვდი, რომ არავინ გვისმენდა. შესაბამისად, კამათი უაზრო კი არა, მავნებელიც ხდებოდა, რაკი მისიისთვის მოცემულ ისედაც მცირე დროს კიდევ უფრო გვიცოტავებდა. ამიტომ ან პირდაპირი უარი უნდა გვეთქვა მისიაზე, რა თქმა უნდა, ჩვენი კარიერისთვის მოსალოდნელი უმძიმესი შედეგის გათვალისწინებით, ან სასწრაფოდ უნდა დაგვეწყო დავალების შესრულების ცდა.“

„ზოგადი გაიდლაინის თანახმად და კონკრეტული ამოცანიდან გამომდინარე, პირველ რიგში, ობიექტის (მაიკ რაიტი) ჯანმრთელობის მდგომარეობა და ცხოვრების ნირი შევისწავლეთ. ვერ ვიტყოდით, რომ შესწავლის შედეგად მოპოვებული მონაცემები მისიის მიზნისთვის ზედგამოჭრილი აღმოჩნდა. ობიექტის (მაიკ რაიტი) ფიზიკური ორგანიზმის მდგომარეობა და ცხოვრების ნირი მაინცდამაინც დიდ იმედებს არ იძლეოდა.“

„რომელ სწრაფ სიკვდილზე შეიძლებოდა საუბარი, როცა ობიექტს არ ჰყავდა ცოლი და ერთგული მეგობრები, არ სვამდა, არ ეწეოდა, არ ეტანებოდა ნარკოტიკს, იყო უკიდურესად ჯანმრთელი და, როგორც უკვე ყველამ იცის, სპორტსმენიც კი.“

„ზოგადი გაიდლაინისა და კონკრეტული რთული ვითარების შესაბამისად, გადავწყვიტეთ, მაინც ამოგვეწურა ფიზიკური ორგანიზმებისთვის დამახასიათებელი ავადმყოფობების თემა. ამისთვის გამოვითხოვეთ იმ მყისიერად მომაკვდინებელი დაავადებების ჩამონათვალი და ეფექტიანობის მაჩვენებელი, რომლებიც კაცობრიობას უახლოეს მომავალში უწევს. დავიწყეთ განხილვა — ხომ არ შეიძლებოდა რომელიმე მათგანის ჩართვა მისიის წარმატებით დასრულების საქმეში. ერთი შეხედვით, ამისთვის კაცობრიობის საცხოვრებელ არეალში დაავადების შეტანის თარიღის მცირედით წინ გადაწევაც იკმარებდა.“

„მაგრამ აღმოჩნდა, რომ კაცობრიობის უახლოესი მომავლის ყველა დაავადება, რომელსაც სიკვდილის გამოწვევა სწრაფად შეეძლება, ვირუსული და იოლად გადამდებია. ამიტომ რაიტისგან, რომელთან კონტაქტსაც მისი დაცემიდან კარგა ხანს არ მოერიდებოდნენ, ის უამრავ ადამიანს შეხვდებოდა და დაუგეგმავად მოკლავდა.“

„ამის შემდეგ, ზოგადი გაიდლაინისა და კონკრეტული საჭიროების შესაბამისად, გამოვითხოვეთ იმ ცოცხალი და არაცოცხალი პოტენციურად დამხმარე ელემენტების საქმეები, რომლებთანაც ობიექტს (მაიკ რაიტი) უშუალო შეხება ჰქონდა ან უახლოეს მომავალში ექნებოდა. რასაკვირველია, ეს გავაკეთეთ იმის იმედით (მცირე იმედით), რომ პოტენციურად დამხმარე ელემენტების თავგადასავლების სცენარებში ვიპოვიდით თვალსაჩინო ხარვეზებს, თეთრ ლაქებს, წინასწარ დაუგეგმავ ადგილებს, რომლებსაც საჭიროებისამებრ შევავსებდით; ან უმნიშვნელო ეპიზოდებს, რომლებსაც ისე გადავაკეთებდით, რომ იმათ ყოფაში სერიოზულად არაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ სამაგიეროდ, ობიექტს (მაიკ რაიტი) გავუყენებდით საჭირო გზას.“

„პოტენციურად დამხმარე ელემენტების თავგადასავლებში მსგავსი ვერაფერი აღმოვაჩინეთ.“

„დრო კი, როგორც ზოგადად, ისე იმ კონკრეტულ პერიოდშიც, გადიოდა. მალე ობიექტის (მაიკ რაიტი) საფეხბურთო კლუბი „ენთსი“ საკუთარ სტადიონზე „მესკიტოსს“ შეერკინებოდა. შესაბამისად, გუნდი ინსექთარენაზე დროის ლოკალური სისტემის მიხედვით დაახლოებით 1 საათში უნდა შეკრებლიყო. ობიექტი (მაიკ რაიტი) ბოლო ხანებში ქალაქის გარეუბანში, ტბასთან კერძო სახლს იშენებდა. მანამდე კი სტადიონთან ახლოს 5-ვარსკვლავიან სასტუმრო „ვებჰოტელში“ ცხოვრობდა და საშინაო მატჩებზე ფეხით გადადიოდა ხოლმე. ამას, დროის ლოკალური სისტემის მიხედვით, მაქსიმუმ 10 წუთს ანდომებდა. იმ მომენტშიც სასტუმროში იმყოფებოდა და სავარაუდოდ, დროის იმავე სისტემის მიხედვით, ასე, 50-ოდე წუთს კიდევ დარჩებოდა.“

„50 წუთში ჩვენ რამდენიმე იდეის მოფიქრება, განხილვა და უარყოფა ან რეალიზების ცდა მოვასწარით.“

„პირველად მძარცველის შეჭრა-თავდასხმის ვარიანტი განვიხილეთ. ობიექტი (მაიკ რაიტი) საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა. პროფესიაში ვარსკვლავები არასდროს მოუწყვეტია, მაგრამ მაინც ფეხბურთელი იყო, რაც კაცობრიობის ლოკაციის უდიდეს ნაწილში, რატომღაც, ნორმალურ ფინანსურ შემოსავალს გულისხმობს. ასე რომ, არ იქნებოდა არაბუნებრივი, თუ ვინმე მის გაძარცვას შეეცდებოდა, თავმოყვარე სპორტსმენი კი მოძალადეს წინააღმდეგობას გაუწევდა და იმ თავმოყვარეობას სიცოცხლის ფასად გადაირჩენდა.“

„თავისუფალი მომავლის მქონე მძარცველი ვერ მოიძებნა.“

„მისი როლი რომელიმე ჩვენგანს უნდა შეესრულებინა.“

„მაიკი, რომელიც ძვირფას სასტუმროში ცხოვრობდა, ბევრს იხდიდა არა მხოლოდ ცხოვრებისთვის, არამედ — უსაფრთხოებისთვისაც.“

„როლის შესრულება ჩემმა მეწყვილემ (სპეცაგენტი იგრეკი) ითავა“.

„ვებჰოტელში“ შეღწევა მაინც ვცადე, მაგრამ ლამის ჰოლშივე გავები. თავის მოსულელება და მერე ფეხების სისწრაფის გამოყენება დამჭირდა“.

„ამის შემდეგ ობიექტის (მაიკ რაიტი) ფანჯრები მოვძებნეთ. ადამიანი იმათ ვერ მიუდგებოდა — ვერც უშუალოდ, ვერც სხვა იარაღით, გარდა ერთისა. საბრძოლო დრონი ავაფრინეთ.“

„პარალელურად მიმდინარე კვლევით გაირკვა, რომ ქვეყანაში ყველა დრონი და მისი ოპერატორი აღრიცხული იყო. ანუ აღურიცხავი დრონით დაბომბვა გაუხსნელი საქმის ადგილობრივი პოლიციისთვის შეტენვაზე ვერ გადაივლიდა და აუცილებლად რომელიმე მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურს დაჰბრალდებოდა. ამას კი შეეძლო, დაუგეგმავად არა მხოლოდ რამდენიმე ადამიანის, რამდენიმე ქვეყნის ბედიც კი შეეცვალა. დრონი დავსვით.“

„კარგა ხანია, სპეცოპერაციისას გველი არ გამოგვიყენებია. კერძოდ, მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ ობიექტს (თავადი ი. ჭ.) გადავუგდეთ ეზოში. მაშინ ქვეწარმავალს თავი გაუჭეჭყეს, მისი ეზოში გადაგდება კი ადგილობრივ გლეხებს დაჰბრალდათ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ოპერაციამ არ გაამართლა. შესაბამისად, აღარასდროს გაგვიმეორებია. მაგრამ ახლა ბევრი არჩევანი არ გვქონდა.“

„უკვე ზუსტად ვიცოდი — „ვებჰოტელში“ გველს კი არა, ჭიანჭველას ვერ შეაპარებდი.“

„ამიტომ ორი მშვენიერი გიურზა სასტუმროს კარის სიახლოვეს, გაზონზე გავუშვით. რაღაცნაირად ვიზამდით, რომ ობიექტს (მაიკ რაიტი) სასტუმროდან გამოსვლისას რომელიმესთვის ფეხი დაედგა. აღარ გავიმეორებ, რომ ეს საფრთხის ქვეშ აყენებდა სასტუმროს პრესტიჟს, რასაც შეეძლო გარკვეულწილად ემოქმედა პერსონალის მომავალ ბედზე, მაგრამ რა გვექნა?“

„ვებჰოტელის“ პერსონალის სასახელოდ აღმოჩნდა, რომ არამხოლოდ შენობა, გარე პერიმეტრიც მაგრად კონტროლდებოდა. გველები დამლაგებელმა იპოვა და დაცვას მიუთრია. დაცვამ ხელმძღვანელობასთან იამაყა. თუმცა გარეთ ეს ამბავი არ გაუტანიათ. გველები ჩუმად დახოცეს და, რაკი მენიუში არ ჰქონდათ, რესტორნის ღუმელში გაანადგურეს.“

„აბაზანაში გაგუდვაზე დავფიქრდით.“

„შხაპიც არ გადაუვლია.“

„ამასობაში ობიექტი (მაიკ რაიტი) სასტუმროდან გამოვიდა, უგველო გაზონი გადმოიარა და სტადიონისკენ მიმავალ ქუჩას გაუყვა. შევეცადეთ, სასწრაფოდ რაიმე საფეხმავლო ხიფათი მოგვეფიქრებინა.“

„ენთსის“ იმდღევანდელი მეტოქის დისკვალიფიკაციის გამო, „მესკიტოსის“ ქომაგებს მატჩზე დასწრების უფლება არა ჰქონდათ. ამიტომ ქალაქის ქუჩებშიც არ ჩანდნენ. სტადიონის მიმდებარე ტერიტორიას კი მაინც ბლომად პოლიციელი აკონტროლებდა. რაიტის უსაფრთხოება სასტუმროდან სტადიონამდე ამ მხრივ დაცული იყო.“

„სწრაფად გადავირბინეთ ვარიანტები: მანქანის დაჯახება, კედლიდან ჩამოვარდნილი აგურის თავში დაცემა, საკანალიზაციო ჭაში ჩავარდნა.“

„მანქანის მძღოლი, სამშენებლო კომპანიის მფლობელი და წყალკანალის სამსახურის ხელმძღვანელი პირები ვერსად დაიმალებოდნენ. მკაცრად დასჯა არ ასცდებოდათ, რასაც ვერ დავუშვებდით.“

„ამრიგად, ობიექტმა (მაიკ რაიტი) სტადიონზე შეგვასწრო“.

„გასახდელი მიუდგომელი ადგილია.“

„დაგვრჩა მოედანი.“

„უბურთოდ.“

„ლამის კიდევ ერთხელ გააქტიურდა დრონის თემა; ოღონდ ამჯერად — ტელეკამერიანი დრონისა. რა თქმა უნდა, მას არც რაკეტა უნდა ესროლა და არც — ტელეკამერა. ის თვითონ უნდა ჩამოვარდნილიყო პირდაპირ ობიექტზე (მაიკ რაიტი).“

„ტექნიკური ხარვეზით ვერ ჩამოვაგდებდით — მთელ გადამღებ ჯგუფს დაიჭერდნენ.“

„ვიფიქრეთ, დრონს მეხი დასცემოდა, შემდეგ კი წყობიდან გამოსული დრონი თვითონ დასცემოდა ობიექტს (მაიკ რაიტი).“

„მაგრამ იქ მყოფი დანარჩენი ადამიანების ბედ-იღბლები მოწმენდილ ცას ითვალისწინებდა. მოწმენდილი ციდან მეხის დაცემა კი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით გაუგებარი იქნებოდა.“

„ცისა რა გითხრათ, ჩვენს მდგომარეობას კი უკვე ნაკლებად მოეკითხებოდა ადეკვატურობის სკრუპულოზურად დაცვა. ამიტომ დავიწყეთ ცის პერიმეტრის თვალიერება და ახლოს მყოფი ღრუბლების მოძიება. შესავლად ერთი-ორი უხმო ელვაც გავკლაკნეთ“.

„ამასობაში გავარკვიეთ, რომ თამაშს მხოლოდ შტატივიანი ტელეკამერები იღებდა. მატჩის უმნიშვნელობის გამო დრონზე უარი ეთქვათ.“

„რაკი ღრუბლების მოზიდვა უკვე დაწყებული გვქონდა, მეხის არა შუალედური, არამედ პირდაპირი მოქმედების ვერსიაც განვიხილეთ.“

„პირდაპირი მეხი სახიფათო იყო. მით უმეტეს, ამასობაში უკვე წამოვწინწკლეთ. სველ მინდორზე დაცემული მეხისგან მარტო ერთი ფეხბურთელი არ დაშავდებოდა“.

„გაგვახსენდა არწივი, რომელიც მაშინ, ღრუბლების ძებნისას შევნიშნეთ. მეხის იდეის დაწუნების შემდეგ ფრინველი თავიდან მოვძებნეთ, ბრჭყალებში კუ მივეცით და სტადიონისკენ ვაფრინეთ.“

„არ იყო პატარა გზა. არც კუს ბაკანია ბრჭყალებით მოხერხებულად დასაჭერი. არწივი უძახე და დაიღალა გზაში. კუ სტადიონამდე გაუსხლტა ბრჭყალებიდან. კიდევ კარგი, ქვევით მხოლოდ ბზის ბუჩქები იყო, ბზის ბუჩქებში კი — არავინ.“

„გეგმა სასწრაფოდ დავაკორექტირეთ და არწივს ობიექტზე (მაიკ რაიტი) პირდაპირი თავდასხმა შევუკვეთეთ. ფრინველი იმხელა არ იყო, ობიექტი (მაიკ რაიტი) მოედნიდან აეტაცებინა, ბუდეში წაეღო და მართვეებისთვის დაეძიძგნა, მაგრამ რამეს მაინც დაუშავებდა და სულ არაფერს სჯობდა.“

„უცხო ქალაქის თავზე ფრენამ, მერე კი რაღაც ოთხკუთხედის გარშემო ოვალად შემორტყმული ამდენი ადამიანისა და ერთი ბურთის მადევარი 22 კაცის დანახვამ დაღლილი არწივი კიდეც დააბნია. ფრინველს თვალები სახიფათოდ აუჭრელდა. ამ დროს, „მესკიტოსის“ ფეხბურთელებს უფრო გამოკვეთილი, კაშკაშა მაისურები ეცვათ, ვიდრე ენთსელებს. გაჩნდა საფრთხე, არწივს რაიტის ნაცვლად საერთოდ სხვა გუნდის წევრი ემსხვერპლა. ძლივს მოვაშორეთ იქაურობას.“

„ამის მერე იყო, მოედნის მისადგომებთან ცოფიანი ძაღლი რომ გამოჩნდა“.

„ოთხი დაკბენილი სტიუარდი მალევე აიცრა. ახლა კარგად არიან.“

„რაღა უნდა გვექნა? კორიდის ხარს ვერსაიდან გავაჩენდით.“

„ისიც ალბათ მესკიტოსელების კაშკაშა მაისურებისკენ გაიწევდა.“

„ობიექტს (მაიკ რაიტი) ახლა ტყვია თუ გააჩერებდა.“

„მაგრამ ტყვიით მოკვდინება გამოიწვევდა დაუსრულებელ გამოძიებას და ინსექთარენის გაურკვეველი ვადით დისკვალიფიკაციას, რაც დაუგეგმავად და უხეშად იმოქმედებდა უამრავი ადამიანის ბედზე.“

„ამ დროს, როცა უკვე თითქმის აღარაფერს ველოდით, კოლეგებისგან გარკვეული დადებითი სიგნალი მოვიდა. კერძოდ, მათი კოლეგური მოწადინებისა და ძალისხმევის შედეგად, შესაძლებელი გახდა თამაშში „მესკიტოსის“ ყველაზე აგრესიული მოთამაშის, შემტევი ჯეისონ ჯოპლინის ჩართვა.“

„ჯი ჯის პირდაპირ მკვლელობაზე ან მასთან მიმსგავსებულ ქმედებაზე, რა თქმა უნდა, ვერ წავიყვანდით — მის მომავალში ვერანაირად ვერ ჯდებოდა რამდენიმეწლიანი პატიმრობა.“

„მაგრამ რაღაც იმედი გაჩნდა. მაგალითად, თამაშის სასურველი გზით წარმართვის შემთხვევაში, შეიძლებოდა ჯეისონ ჯოპლინისა და ობიექტის (მაიკ რაიტი) შეჯახება, რასაც რაღაცნაირად შევაწმენდდით ხელებს. ბოლოს და ბოლოს, იქნებ თვითონ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ ექიმებს ამ შეჯახებისთვის დაებრალებინათ ობიექტის (მაიკ რაიტი) გარდაცვალება.“

„ეტყობა, ჩვენი პარტნიორები თამაშის ცქერით გაერთნენ და სიფხიზლე მოადუნეს. უყურადღებოდ დატოვებულმა ჯი ჯიმ ვერ მოითმინა და სანამ მოედანზე მაიკ რაიტს გადაეყრებოდა, მანამდე დაამტვრია „ენთსის“ შემტევი ვილი ნაითლი, რისთვისაც მოედნიდან წითელი ბარათით გააძევეს.“

„აქვე დავძენ, რომ საბედნიეროდ, „ენთსის“ თავდამსხმელის (ვილიამ ნაითლი) ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ საკაცით გაიყვანეს, მოედანზე დაბრუნება შეძლო. რაც მთავარია, საჭირო არ გახდა მისი ბედის გადაწყობაზე ზრუნვა.“

„მისიისთვის განკუთვნილი ვადა, პრაქტიკულად, ამოიწურა.“

„თვითნებობა და ვადის გადაცილება მე და ჩემს მეწყვილეს (სპეცაგენტი იგრეკი), ზოგადად, არასდროს დაგვიშვია. კონკრეტულ შემთხვევაში კი დროის ლოკალური სისტემის მიხედვით სულ რამდენიმე წამში უკვე მორიგ მისიაში გვიწევდა ჩართვა. სხვა გზა არ ჩანდა. მისიის გადასარჩენად ოპცია „სხვა გზის უქონლობა“ უნდა აგვემოქმედებინა.“

„ერთმანეთს შევხედეთ, ჩვენ-ჩვენი პულტები მოვიმარჯვეთ და ორივემ ღილაკ „სგუ“-ს დავაჭირეთ თითები.“

7. სიზმარი

შეყვარებულის სიკვდილის მერე ეს ქეითის პირველი სიზმარი იყო, რომელშიც მაიკი პირადად არ მონაწილეობდა. თუმცა თემა გაგრძელდა.

ქეითმა სპეცაგენტ იქსისა და სპეცაგენტ იგრეკის დანახვისთანავე იგრძნო, რომ ეს ქმნილებები, რომლებიც ახლა უშედეგოდ ცდილობდნენ, თავიანთ ნაკლებად მიწიერ გამომეტყველებაში ადამიანური თანაგრძნობის ნიშნები შეეკვეხებინათ, სპეცაგენტი იქსი და სპეცაგენტი იგრეკი იყვნენ. ამის შემდეგ ქეითმა კიდევ რამდენიმე რამე იგრძნო ერთად. სიზმარში, ზოგადად, გრძნობების ნიუანსურად გაშიფვრა ძნელია. ამიტომ საქმე გავიმარტივოთ და იმ შერეული განცდებიდან, რომლებითაც ქალი სპეცაგენტებს შეჰყურებდა, ორი გამოვყოთ: ერთი მხრივ, ქეითს არ შეეძლო, შეყვარებულის მკვლელები არ სძულებოდა, მაგრამ თითქოს თანაუგრძნობდა კიდეც მათ იმის გამო, ამ გაუგონარ საქმეში რომ მოუწიათ გარევა და მის ბოლომდე მისაყვანად დიდი ძალისხმევაც დახარჯეს. მგონი, სწორედ ამ რაღაცნაირი თანაგრძნობით გაუწოდა საქაღალდეები — თქვენია და გიბრუნებთო.

სპეცაგენტმა იქსმა ორივე საქაღალდე ჩამოართვა, ქეითს საპასუხო, ლამის უკვე შეკოწიწებული თანაგრძნობით დაუკრა თავი და მეწყვილესთან ერთად ცად ამაღლება დააპირა. მაგრამ ქეითის შერეული განცდები, ეტყობა, უსიტყვო განშორებას არ ითვალისწინებდა.

— ჰო, მაგრამ რატომ? — ცრემლიანად იკითხა მან.

სპეცაგენტმა იქსმა საქაღალდეებიანი ხელი მექანიკურად წამოსწია — თითქოს აქეთ იკითხა — აბა, ესენი რისთვის წაგაკითხეთო.

— მე ვგულისხმობ — რატომ? რატომ? — თავისი პირველი კითხვა არც ისე ოსტატურად დააზუსტა ქეითმა.

სპეცაგენტ იქსისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სპეცაგენტი იგრეკი მაინც თითქოს რაღაცას მიუხვდა:

— ეგრე ეწერა, — თქვა მან.

— ბატონო?

მგონი, არც სპეცაგენტ იგრეკს გამოუვიდა ოსტატური პასუხი. კიდევ კარგი, ამასობაში სიტყვამრავალი სპეცაგენტი იქსიც გამოერკვა.

— ნამდვილად ეგრე ეწერა, — დაადასტურა მან, — როცა მისიის რელევანტურობაში დავეჭვდით, სიკვდილების საერთო გრაფიკიც გამოვითხოვეთ. და ნამდვილად ეწერა შიგ ობიექტის... მაიკ რაიტის სახელიც, გვარიც და გარდაცვალების ზუსტი თარიღიც. უბრალოდ, ეს თარიღი თავის დროზე გამოეპარათ. შესაბამისად, წინასწარ ზომებზეც არავინ იზრუნა და საბოლოო ჯამში ჩვენი თავშისახლელი გახდა... — თან ჯიბიდან წარმოუდგენელი ზომის ნივთის ამოღებას ცდილობდა და როცა ბოლოს და ბოლოს გამოუვიდა, ქეითს წარმოუდგენელი ზომის ქაღალდის გრაგნილი გაუწოდა, — შეგიძლიათ, ნახოთ.

— ჰო, მაგრამ რატომ? რატომ ეწერა ეგრე? — არ ცხრებოდა უბედური ქალი.

— რა გითხრათ, მის. ეგ ჩვენს განყოფილებას არ ეხება, — მიუგო იქსმა.

— აბა ვის ეხება, ვის?! — ბიუროკრატიაზე ცალკე გაბრაზდა ქეითი.

— აი, — ამჯერად იგრეკმა მოიქექა ჯიბე და იქიდან მომცრო, სავიზიტო ბარათის მსგავსი ქაღალდი ამოიღო, — შეეცადეთ, ამ განყოფილებასთან დაამყაროთ კონტაქტი. ბარათმა იგრეკის ხელიდან ქეითის ხელში გადაინაცვლა, ხოლო ქეითის მზერამ — ბარათიდან იგრეკის სახეზე.

— აქ მხოლოდ „სიკვდილის განყოფილება“ წერია... კონტაქტი... ამათთან კონტაქტი როგორ უნდა დავამყარო?

— როგორც ჩვენთან დაამყარეთ.

— ტირილით?.. ისედაც სულ ვტირი... რამე განსხვავებულად უნდა ვიტირო?

— ეგ არ მიგულისხმია. არა მგონია, მაგათ ტირილით მოულბოთ გული. მეორე კონტაქტზე ვთქვი. დაისიზმრეთ, როგორც ჩვენ.

8. გზა

ქეითის სიზმრიდან ახალი გასულები იყვნენ, სპეცაგენტმა იქსმა რომ იკითხა:

— კი, მაგრამ, იგრეკ, იმათთან როგორ დაამყარებს კონტაქტს? ისინი ხომ არავის ესიზმრებიან. ამათ კი არა, მე არ დამსიზმრებიან არასდროს.

— უნდა მოვახერხოთ, იქს. როგორმე უნდა დავისიზმროთ. რადგან მეც ძალიან მაინტერესებს, რატომ მოვკალით მაიკ რაიტი.

ნინო მშვიდობაძე

დაღი

შენ უსარგებლო ხელები გაქვს,
უმისამართო წერილებს წერ.
არ იციან შენმა ხელებმა ნამდვილი საქმე,
შენს წერილებს კი ადრესატი არასდროს ჰყავთ,
ხელში
მხოლოდ საკუთარი ოცნებები შემოგრჩა,
ახალშედედებული რძესავით.
რა იციან შენმა ხელებმა ჯაფა,
ყოველი სიტყვა, შენგან გამოსული,
ჰაერში ფარფატებს, რომ იპოვოს ის,
ვისთვისაც ამოთქვი,
ვისთვისაც დაწერე.
რა ფასი აქვთ სიტყვებს,
თუ მათ არავინ წაიკითხავს,
არავინ გაიგონებს,
რა იციან შენმა ხელებმა
დაღლა,
ჩვილს რომ საფენებს უცვლის დედა,
მის ხელებს ასდის ჩვილის სუნი,
შენ ხელებს მხოლოდ ფურცლების სუნი აქვს,
ან საწერკალმიდან გადმოღვრილი
მელნის ფერი და სუნი.
მელნისფერი თითებით წერ უმისამართო წერილებს,
უადრესატო წერილებს და გინდა, იყვირო,
იოგების დაწყვეტამდე იყვირო,
რომ
შენი უსარგებლო თითები
ისევე დაეძებენ გამართლებას,
როგორც სიტყვები,
რომლებიც ამოთქვი და ახლა ჰაერში ფარფატებენ.
რა იციან შენმა ხელებმა ნამდვილი შრომა?
მხოლოდ მელნის ლაქა რჩება ფერწასულ თითებზე,
როგორც მარტოობის უტყვი და უმზრახი დაღი.

თოლიგე

ცა ქუდად, მიწა ქალამნად — არცკი,
თვალები — ფერად გიშრისფერები.
და სადღაციდან მორეკილ ქარებს
და ვიღაცისგან მორეკილ ქარებს,
ვიცი, რომ მაინც მოვეფერები.
ქარებსაც ჰყვანან მარეკები,
ერეკებიან,
მიერეკება ეს ცხოვრებაც ჩემს წუთებს,
წამებს,
მე ცა ქუდად მაქვს,
დედამიწა ვერ ვიქალამნე,
ფეხშიშველი ვარ,
სულშიშველიც ვიქნები ბარემ...
იმსიდიდოა ყველა ფიქრი,
გაძლება მიჭირს,
ბევრეულია ეს ტკივილიც,
ვზიდავ ეულად...
და გამორეკილ ქარებს მიაქვთ —
აქვთ ამის ნიჭი —
ჩემი სიზმრები,
შიშებისგან ქვად რომ ქცეულან...
ერეკებიან მარეკები ქარებს მუდმივად,
მე დედამიწა ქალამნებად ვეღარ მოვირგე,
დაპატარავდა ჩემი ქუდიც — მომიჭირა ცამ
და თავშიშველიც ვივლი ახლა, ჩემო თოლიგე,
ოღონდაც შენი იარების ვიქცე მალამოდ,
გადაგირეკო წვიმებიც და ღრუბლებიც ციდან,
თუ ქარს გავყვები, გევედრები, არ მომიდარდო,
იქაც შენ ტკივილს მარტოობით დაღლილი ვზიდავ...
ცა ქუდად მექცა, დედამიწა ვერ ვიქალამნე,
ვარ ფეხშიშველი, სულშიშველიც ვიქნები ბარემ...

ძახილი ღვთისმშობელს

ეეჰ, ღვთისმშობელო,
რა მოხდებოდა,
გაზაფხულისფერ მდინარეებს ედინათ ჩემში.
არ ვყოფილიყავ ასე მარტივით არეული დაბადებიდან
და სევდისფერი ტკივილები არ შემეკრიბა...
დრო გაიწელა...
ჰაერიც კი მიჭერს მგონია და
ახლა ისე მეძნელება ღრმად ამოსუნთქვა,
თითქოს ვიღაცამ გადამიჭრა ხორხი ლანცეტით.
უფლის დედაო,
ქალი ხარ და უნდა გამიგო...
მძიმე ხვედრია, სხვანაირობდე...
მდინარეები ჩემი სისხლძარღვებია
და გვალვისაგან ვშრები, თითქოსდა...
რა მოხდებოდა, ჩვეულებრივად შემყვარებოდა...
და არა ასე:
გულმოწურვამდე,
ყელში მობჯენილ ცრემლებამდე,
აკივლებამდე,
როცა კბილებით ვაკავებ ტკივილს,
რომ სივრცეები არ გადაკვეთოს
და დუმილს ვსწავლობ,
სიყვარული რომ არ გაცხადდეს...
ძნელი ყოფილა...
შენც იცი და
მაინც არ მინდა, მხრებჩამოყრილს ვგავდე ბეღურას
ნეტა როგორი იყო ზეცა,
შენ როცა იშვი
და როგორი იყო მაშინ,
შენ რომ აჩენდი???
სამყაროს დედავ,
არ დამტოვო მიწასთან მარტო,
მომეცი ძალა,
ცის შეხედვის არასდროს შემრცხვეს.

მიტოვებული თოჯინები

ნუ გამაგონებ:
იმ შავოსან ქალს შვილი მოუკვდაო...
ნუ გამაგონებ:
ის წვეროსანი მამა შვილს გლოვობსო...
ნუღარ დამანახებ მიტოვებულ თოჯინებს,
ღმერთო...
ბეწვზე კი არა, ერთმანეთის ქცევაზე ჰკიდია გული,
ერთმანეთის სიტყვებზე, შემოხედვებზე...
ნუ გამეგონოს:
ვაი, შვილოო...
ნუ გამეგონოს:
დედა მოგიკვდესო, შვილო...
აღარ მანახო მიტოვებული სათამაშოები,
ტალახიანი თოჯინები,
მოწყენილი ველოსიპედები.
დავიღალე, ღმერთო,
გლოვით და ტირილით დავიღალე
ამ ჩემს ხელისგულისოდენა სამშობლოში...
დედამიწის ყვავილები გვიჭკნებიან და
ეს ჭკნობა შეაჩერე,
გთხოვ...
კი ვიცი, ჩვენი უღმერთობის გამოა,
ჩვენი გულცივობის გამოა,
ჩვენი გულგრილობის გამოა,
ყვავილები რომ გვიჭკნებიან,
მაგრამ შეაჩერე, გთხოვ,
ნუ დაგვიობლებ დედამიწას უყვავილებოდ,
ნუ დამანახებ მიტოვებულ თოჯინებს,
მოწყენილ ველოსიპედებს,
პატარა საფლავს...
გული ბეწვზე კი არა,
ერთმანეთის სიტყვებზე ჰკიდია თურმე და
გვასწავლე, სიტყვას რომ ძალა აქვს,
მორიდება გვასწავლე, ღმერთო...
ნუ გამაგონებ: ეს დედა შვილს ჰგლოვობსო;
ნუ გამაგონებ: ამ მამას შვილი აღარ ჰყავსო;
ნუ დამანახებ მიტოვებულ თოჯინებს,
ღმერთო...

* * *

ამომიტანე მარგალიტები
მაგ შენი სულის ხვეულებიდან
და მითხარი, რომ
მხოლოდ ჩემთვის გამოიმეტე...
სულ მისხალ-მისხალ შემიგროვე
სადაფისფერი ნიჟარები.
რბილ ხელისგულზე ქვიშისფერად
გადამატარე სიცოცხლის ხაზი...
საღამოობით მიჩურჩულე
თეთრი ლექსები:
ნაოცნებარ ქალაქებზე;
ვერახდენილ ნატვრებზე;
არშემდგარ სიყვარულზე...
მე ჩემსას გეტყვი.
გეტყვი: როგორ გავკადნიერდი
და სიყვარულით ბოლომდე სავსე მოვედი შენთან,
მოგიტანე ჩემი წილი ბედნიერება...
შენ კი მაგ შენი სულის ხვეულებიდან
მარგალიტები ამომიტანე,
სადაფისფერი ნიჟარები
შემიგროვე და
ჩამავალი მზის ოქროსფერ შუქზე
ხელისგულზე ქვიშისფერად დამაწერე, რომ
მე გიყვარვარ!
მოვედი, ზღვაო...

სამძიმრისა
ლანჩხუთში სტიქიას
12 წლის იურიკა გუჯაბიძე ემსხვერპლა

გეძინა მაინც?
მშვიდად გეძინა, შვილო?..
გაუთენებელ ღამეს მაინც თუ შეხვდი
ფერადი სიზმრით?
იქ რა ამბავი აიტანე ნეტავ,
პატარავ???
ღმერთს რა უთხარი:
ჩვენგან ზურგშექცეულ,
ჩვენგან მიტოვებულ,
ჩვენგან დავიწყებულ ღმერთს???
იმედი მაქვს, რომ ტკივილი ვერ იგრძენი,
უფრო ზუსტად, მინდა მჯეროდეს, რომ ვერ იგრძენი,
თითქოს ასე უფრო მშვიდად ვიქნები —
საკუთარ თავს ვუფრთხილდები —
ეგოისტი ვარ.
არ შეგეშინდეს მანდ, პატარავ,
რამდენიმე დღის წინ შოვიდანაც წამოვიდნენ მანდ
ტალახს გამოქცეული ანგელოზები,
მარტო არ იქნები და არ შეგეშინდეს,
ჩვენ გვაპატიე,
ჩვენ — აქ დარჩენილებს,
გვაპატიე, რომ
ცოცხალს ვერ მოგეფერეთ სათანადოდ,
რომ ღმერთი გავაბრაზეთ და უთქვენობით გვსჯის,

რომ ერთმანეთი დავკარგეთ და
ერთმანეთს ვერ ვხედავთ,
გვაპატიე, კარგო ბიჭო,
არცკი იცოდი,
ისე რომ იქეცი გმირად.
იქ ჩვენგან დავიწყებულ ღმერთს უთხარი,
„ტანჯვით შენდობა შევისყიდეთ“
დიდი ხანია და ამდენ ტკივილს ველარ გავუძლებთ...
შენ ხომ გეძინა,
ჩემო პატარავ?
ხომ არ გეტკინა???

ხვარამზე რომ ვიყო

ნეტავ კი ხვარამზე ვიყო,
ჩემი სითამამე შეგაცბუნებდა.
ხან ხევს ავუყვებოდი,
ხან ჭიუხებს და არ ვითაკილებდი,
მონადირე მრქმეოდა.
არ გავიხდიდი საცხენოსნო ტყავ-კაბას
და ქალურ უნაგირს ვეტყოდი უარს.
ნეტავ კი ხვარამზე ვიყო,
გიშრისფერ დალალებს რომ ჩამოვიშლიდი
მთვარის სალუქ შუქზე,
შენზე ოცნებით შევიცურებდი თითებს თმაში და
ჩამოვივარცხნიდი.
ერთი მორცხვი გლეხის ქალი ვარ,
სხვადასხვანაირი თვალებით და
განიერნესტოებიანი ცხვირით,
კუთხეში ვდგები ხოლმე,
რომ არავინ შემამჩნიოს და თუ
მაინც მომწვდა ვიღაცის მზერა,
თავს მიწამდე ვხრი და ვცდილობ, გავექცე.
ხვარამზე რომ ვიყო,
ჩამოგიქროლებდი ჩემი უბელო რაშით და
თვალი რომ არ მოგეკრა ჩემთვის,
არცკი შევჩერდებოდი შენ ახლო-მახლოს:
უნდა გეგრძნო, რომ ჩავიარე.
გლეხის ქალი ვარ და მარტოობით გადაღლილი
საწოლისკენ რომ მივიჩქარი,
ჩემი ქალობა მაშინღა მახსენდება,
თმასაც ვერ ვიშლი,
მოვიკვეცე თმები რადგანაც და
საცხენოსნო ტყავ-კაბის ნაცვლად,
ჭრელა-ჭრულა ჩითის კაბა მაცვია,
ფრიალა,
მოკლე,
ქარს აყოლილი.
ხვარამზე რომ ვიყო,
ისე შემსვამდი,
როგორც შარბათს და ტუჩებსაც კი გაილოკავდი,
მაგრამ მე უფრო ძველი ღვინო ვარ,
ტანინიანი და მშრალი,
გულზე დაგადგები,
თუ ჩემი შეჭიდების თავი არა გაქვს.
ეეჰ, ხვარამზე რომ ვიყო
არადა,
ერთი გლეხის ქალი ვარ,
სხვადასხვა ფორმის თვალებით
და განიერნესტოებიანი ცხვირით.

ეპოქის შვილები
ვისლავა შიმბორსკა ასი წლისაა

არაფერი იცვლება —
იცვლებიან მხოლოდ ჩვენი წარმოდგენები,
თორემ სამყარო ისეთივეა,
როგორიც ჩვენს შექმნამდე იყო.
დედამიწა ისევ ისე აგრძელებს ბრუნვას —
ჩვენი უფასო ატრაქციონი.
ცაც ისევ ისე ცარგვალია, ანუ მომრგვალო...
სიტყვებიც კი არ ჰკარგავენ მნიშვნელობას,
მხოლოდ ჩვენ ვამძაფრებთ,
ჩვენ, რომლებიც
ინერციით ვმოძრაობთ
და გვავიწყდება, რომ მარადიული მხოლოდ დროა.
და თუკი დროში საზღვრებს ოდესმე წავშლით,
მე ვიტყვი, რომ მყავს და,
რომელსაც ჰქვია უცნაურად არაქართული სახელი —
ვისლავა
და რომელიც საქართველოდან შორს,
პოლონეთში, დაიბადა,
მაგრამ ჩემი ღვიძლი დაა მაინც, რადგან
ორივემ ვიცით, რომ არაფერი იცვლება,
ჩვენი წარმოდგენების გარდა.
და ორივემ ვიცით, რომ ომებს და სისხლისღვრებს,
სჯობს „დედამიწა სამოქალაქო ტანსაცმელში“.
და ჩვენი წილი დედამიწა ისევ ბრუნავს
და ჩვენი წილი ცა ისევ მრგვალია
და ჩვენ ჩვენ-ჩვენი წილი სამშობლოები
იმაზე მეტად გვიყვარს,
ვიდრე ვამბობთ.
საზღვრები როცა წაშლილია,
იოლია, თქვა:
რომ ჩვენ ეპოქის შვილები ვართ —
აპოლიტიკური ეპოქის პოლიტიკური შვილები!

ალექსანდრე ჯინჭარაძე

ათასწლეული

მხოლოდ წარსულის პოეტი ვარ.
ათასწლეულის ვზივარ სარკმელთან
და გუაშით მამაჩემს ვხატავ...
ის კი ჯიუტად
თმას ისწორებს და მერამდენედ
დგება სკამიდან.
ეს ყველაფერი ნამდვილია,
როგორც ალბათ
ნამდვილია ყოველი სიტყვა,
რომელსაც დავწერ!
მაგრამ ხომ არის,
რაც არ ითქმის,
რასაც ვერ დაწერ
და ვერ იტყვი:
რომ იქნებ არც ერთ მხატვარს
არ შეუძლია საკუთარი მამის
დახატვა?!
რადგან როდესაც მამა
დგება ხის სკამიდან
და თმას ისწორებს,
ამ დროს გრძნობ,
რა უაზროა, რა მცირეა
ყოველი ფერი
და ყველა სიტყვა,
რათა მამის ყელსა და შუბლს მაინც ბოლომდე ასწვდეს.
განა არა სჯობს,
საგანგებოდ ჩამოვარცხნილი თმა
შუბლთან შეუსწორო მომღიმარ
მამას,
რომელსაც, ვინ იცის,
რამდენი ათასი წელი კიდევ
ველარ შეხვდები?

წამიჩემი

ამათგან რომელია წამიჩემი?!
ვიკითხე მე,
როცა მორიგი რომანი
დავხურე,
შუქი ჩავაქრე
და თბილ საბანში გავეხვიე.
სარკმელს მიღმა
ტყე — დედამიწის მწვანე ქოჩორი —
ყვაოდა ბნელში
და მოდიოდა
ტყის სურნელი,
ხეების მტვერი
და რაღაც სულ სხვა,
უცხო ჰაერი...
იდგა ზაფხულის მშვიდი აგვისტო.
მე კი ვიდრე ძილს
შევასწრებდი
ჩემსავე სიზმრის ლაბირინთებში,
გავიფიქრე:
რომ მთავრდებოდა რაღაცა დიდი,
რაღაც ისეთი,
რაც სხვისი იყო,
მხოლოდ სხვისი.
და მთავრდებოდა საუკუნე
და იწყებოდა ხვალინდელი დღე,
ჯერ პატარა,
როგორც ბარტყის ფრთა,
თუმცა რახან იწყებოდა,
მე ვხედავდი, რომ სწორედ ის,
აი, ის იყო წამიჩემი!..

ოლეანდრეების ალექსანდრე

თიბავს
ცხოვრების შემოდგომა
ამ ყვავილებს,
ამ მწვანე მინდვრებს,
ოლეანდრების ალექსანდრეს!
მე ვხედავ ქარის გაყინულ ხელებს
და ქარწაღებულ ოლეანდრებს!
დიდებულო წამების ძაფო,
ცოტაც მედროვე,
გავაბა თოკი
ყოფნასა და არყოფნას შორის,
რომ ზედ გავიდე,
როგორც კლოუნი
და დავცინო სიკვდილ-სიცოცხლეს!
დიდებულო ძაფო წამების,
გთხოვ, არ გამიწყდე!
მზად ვარ ვიტანჯო,
ოღონდ ვიყო.
ოღონდ ვაქციო წამების ძაფი
წამთა ძაფებად
და გორგალებად საუკუნეთა, საუკუნეთა!..

ელეგია ფანქრის ნათალებს

როცა წვერს ვუთლი
მე ჩემს ფანქრებს,
აუღელვებლად,
მშვიდად,
უშენოდ,
მაშინ ვფიქრობ სახლზე,
ხეებზე
და კიდევ, კიდევ
ჩვენი ეზოს შემოდგომაზე.
რომ შეიძლებოდა,
ერთ შემოდგომას
მიმედგა სკამი ამ ხის
ძირში,
მიწიდან აკრეფილი
მწიფე ვაშლები კალთაში
ჩამეწყო
და ჯერ კიდევ მწვანე ბალახში
ჩამეთალა ჩემი ფანქარი
ნელი სიმშვიდით,
სიამტკბილობით...
იმ მოლოდინით,
რომ გაიღებოდა
სახლის კარები
და გამოვიდოდა ბებო გარეთ,
რომელიც აუცილებლად
დახვეტავდა
ჯერ ოთახებს,
მერე გრძელ ეზოს
და ვიდრე ვაშლის ხის ქვეშ
შემოვიდოდა,
სწრაფად ავკრებდი
ფანქრის ნათალებს,
რომ არც ერთი არ დამეკარგა!
არ შეიძლება,
ჩემი ფანქრის ნათალები რომ ნაგავს მივცე,
რადგან ეს ჩემი ვერდაწერილი
სტრიქონებია,
ჩემი აუხდენელი ბავშვობის ოცნებები,
რომ მე ოდესმე ამ ჩვენს დიდ სახლში
თავს მოვუყრიდი
თორმეტ ოჯახის წევრს
და გვექნებოდა დიდი ზეიმი...
და თითქოს ორი ცხოვრებაა,
რომელიც მიდის
და რომელიც ჩემი
ეზოს ვაშლის ხეს მოსწყდა,
როგორც ბოლო,
მწიფე ნაყოფი.
მე კი მხოლოდ ერთ მათგანს ვასწრებ:
ვიღვიძებ,
ვდგები,
ვსადილობ
და ვწერ —
ოცდაცხრა წელია,
ამას ვაკეთებ —
ოცდაცხრა წელია,
ვაშლის ხის ქვეშ
ვზივარ და ვუთლი
ნაირნაირ ფანქრებს დამპალ წვერს.
არ მემეტება
მე ისინი ნაგავისათვის,
თუმცა ბებო კი მიწას მივაბარე!..

ზაზა ბიბილაშვილი

თეფში ლობიოში

ბოლოს და ბოლოს, დავემსგავსე წინაპრებს: ერთ ხელში თოხი მიჭირავს, მეორეში — მობილური. ან თუ გინდათ, დავაზუსტებ, რომ ხელში მარტო მობილური მიჭირავს, თოხი კიდევ გვერდით მიგდია, წყაროს ტოტში პირჩაყოფილი, მაგრამ რად გინდათ. მთავარია, წინაპრის ძვლებივით შემოვრჩი მშობელ მიწას. უკვე სასწაული თუ გამაღწევინებს ამ ქვეყნიდან იმ სამყაროში, სამოგზაურო არხის ვიდეოდან რომ მეპრანჭება ახლაც. თუმცა რატომ? შეიძლება, თოხმაც გამაღწევინოს. თან მარტო ამ ქვეყნიდან კი არა, ამქვეყნიდანაც. იმ წინაპრებში აკი თოხით მკვდრებიც მოგვეპოვება.

მაგრამ დღეს — ნაკლებად. დღეს თოხნას თავს არ შევაკლავ. სანამ მზე კარგად არ გადავა, მანამდე ასე ვეგდები ლობიოს ნათესის გვერდით, წყაროს პირზე, აკაციების ჩრდილში. თვალიერება ხო შემიძლია, სანამ მობილური გამიქაჩავს. სულაც თუ არ მიმაძინა ამ სიგრილემ და წყაროს რუკრუკმა.

ჩაძინებამდე ვხვდები, რა განსხვავებაა რუკრუკსა და რაკარუკს შორის. პირველის საპირისპიროდ, მეორე გაფხიზლებს — განსაკუთრებით, ზევიდან ქვევით თუ გიახლოვდება და მაშინღა მთავრდება, როცა ლობიოს ნათესის იქითა მხარეს, ვალიკოს ყამირის ნაგლეჯზე რაღაც მრგვალ-ბრტყელი ობიექტი ეშვება.

იმაზე გაცილებით პატარაა, ვიდრე უფრო ხშირად წარმოგვიდგენია ხოლმე მფრინავი თეფში. თუმცა არა მგონია, ათჯერ დიდი მფრინავი თეფშის დანახვას ათჯერ მეტად დავეფრთხე.

ორივე ხელს საფეთქლებზე ვისვამ. მაგრამ თავზარის ცივ ტალღებს ხელებით ვერ შევაჩერებ — უარყოფის ჯებირი მჭირდება. მაგალითად, ასეთი: მოგეხსენებათ, ტრადიციული მფრინავი თეფშები ხაზგასმით ექსტრატექნოლოგიური ან, უბრალოდ, არაამქვეყნიური სპაზმური ზუილით ხმიანობენ. ჰოდა, კაი შეშინებულზე რატომ არ უნდა დავუშვა, რომ ეს საეჭვოდ მორაკარუკე ობიექტი, ციურმა არსებებმა კი არა, ვიღაც მიწიერმა ჩხირკედელებმა შეაკოწიწეს და ახლა აქ ჩამოუვარდათ?

უბრალოდ, ამ იმედის ბოლომდე გაგაზრებასაც ვერ ვასწრებ, რომ ხომალდის ამობერილი ნაწილის კიდევ უფრო ამობერილი ნაწილი იხსნება და იქიდან უცხოპლანეტელი ამოდის.

ბავშვურად კი გამომივიდა, მაგრამ, აბა, როგორ მოვიხსენიო — თან მფრინავი თეფშიდან ამოძვრა და თან ცოტა უცნაურადაც გამოიყურება. სხვა თუ არაფერი, იმაზე გაცილებით მეტი ხელ-ფეხი ასხია, ვიდრე ორი და ორია.

„ჩამძინებია“. უჰ, ამაშენა ღმერთმა. დროზე მომაფიქრდა. თან, წესით, ეს უფრო გამძლე იმედია. ახლა მთავარია, ინსტინქტურად მაინც სადმე არ ვიპწკინო. რომ არ გამეღვიძოს, მერე რაღა ვქნა?

უცხოპლანეტელიც იქნებ სწორედ ჩემი თავშეკავებულობით სარგებლობს, ამასობაში თავის პატარა ხომალდს რომ მისდგომია და უჩხიკინებს. „არემონტებს“ — ან ცხადში, ან სიზმარში ვხვდები მე და უკვე ვრწმუნდები, ადამიანურ ცივილიზაციას რომ არ ეკუთვნის, რაკი ჩაცუცქვისას უკანალის ღარი არ მოუჩანს. საქმეს მალე ამთავრებს, ხომალდის კორპუსს რამდენიმე ხელით დაუტყაპუნებს, შასის ბორბლებს რამდენიმე ფეხს მიარტყამს, მიმოიხედავს და რაღაცაზე უჩერდება მზერა. გაიწევს კიდეც იმ რაღაცისკენ. უფრო სწორად, გამოიწევს, რაკი ის რაღაც აქეთ, ჩემს მიწაზეა.

ლობიოს ნათესს მომდგარი უფრო დაკვირვებით მიმოიხედავს და, შესაბამისად, წყაროს პირას გაწოლილ, დაძაბულობისგან ცოტათი მოკრუნჩხულ და სახეგაფითრებულ არსებასაც ამჩნევს. იქიდანვე მეძახის:

— უკაცრავად, თორმეტიანი კლუჩი ხომ არ გაქვთ?

სიზმარია თუ ცხადი, რეაგირება მმართებს. ზრდილობის გავლენით როგორღაც ფეხზე ვდგები. ენის მოხმარება უფრო მიჭირს. თან არც უცხოპლანეტური ვიცი. ეს გარემოებები მაიძულებს, თავი ქართულ-დედამიწურად გავაქნიო. ამის მერეღა ვიაზრებ, რომ მე თვითონ უცხოპლანეტელის ნათქვამი გავიგე.

სხვა გზა არა მაქვს — თავდაცვის ინსტინქტის ყველა ნამცეცი — ხარისხისა და ღირსების განურჩევლად — უნდა მოვიკრიბო და მიღებულ შენაერთს რამე ასეთი აზრი გამოვტყუო: „კარგ პლანეტაზე ყველა ენა იციან... მმ, ჟარგონიც“. მერე თავის დაქნევაც შეიძლება — მოწონებით, დანანებით და თუნდაც მცირე ნიშნის მოგებით მშობლიური პლანეტისადმი.

— და — ცოტა ზეთი? — ამას, მგონი, მტკიცედ გადაუწყვეტია, რამეს მაინც გამომრჩეს. ტყუილად ხო არ უსწავლია სხვადასხვაპლანეტური ენები. და ეტყობა, არც ამდენი ფეხი აქვს ტყუილად, რაკი ამასობაში ისე გადმოურბენია ლობიოს კვლები, რომ თვალიც ვერ მოვადევნე. შესაბამისად, უკვე ჩემ წინ გაფარჩხულა თავისი მრავალი კიდურით.

— ზეთი არა... — მეორე და თანაც ახლოდან ნათქვამი უარი მეუხერხულება, — მაგრამ... ისა, ცივი წყალი? — წყაროსკენ უღონოდ ვიშვერ ხელს. მობილური ალბათ კაი ხნის წინ გამივარდა.

— წყალი რა შუაშია? — ვერ მიგებს სტუმარი.

— რა ვიცი... ზეთად ვერ გადააქცევთ? — აშკარად რაღაცები ამერია. ამას უცხოპლანეტელიც ხვდება და ალბათ იმ მიზნით, რომ დამილაგოს, რამდენიმე კიდურიდან ერთ-ერთს მიწვდის:

— მერნიკონოზონი. პანტიკატოლონი. კულვიკევორონიდან.

თუ სწორად დავიმახსოვრე, რა თქმა უნდა.

და ნეტავ, რანაირად ვხვდები, რომ სამი გრძელი სიტყვიდან პირველი ამას ჰქვია, მეორე — ამის ბიოარსს, მესამე — ამის პლანეტას? გამიმართლა, რომ თავისი გვარი და თავისივე მამის, ქვეყნის, რეგიონის, ქალაქისა და ქუჩის სახელებიც არ მომახსენა.

სამაგიეროდ, სხვა რამეში არ გამიმართლა. ეს მაშინ გამოიკვეთება ხოლმე, როცა ვინმეს უნდა წარვუდგე.

— ნეს... ნესტორი... — თუმცა მერე მაინც ოდესღაც ნასწავლი სიამაყით ვაგრძელებ, — ადამიანი!

— და პლანეტა?

— რა პლანეტა? — ალბათ ტანში გამჯდარი მსოფლიო პროვინციელობაა, ადამიანურ სიამაყეს რომ მავიწყებს: რაკი შეკითხვა ვერ გავიგე, ესე იგი, ჩემი ბრალია და არა მისი. ლობიოსავით ვიბნევი.

— ეს რა პლანეტაა? ადრე არ შემიმჩნევია. აქ საიდან გაჩნდა?

ვცდილობ, ავიკრიფო და ამომწურავი პასუხი გავცე:

— მმმ... ორი ვარიანტია.

— კერძოდ?

— პირველი: ჯერ იყო სიტყვა...

— მერე?

— მოკლედ, ეს ყველაფერი ღმერთმა შექმნა, მთელი სამყარო, მათ შორის, დედამიწაც.

— მეორე ვარიანტი?

— დიდი რაღაც აფეთქდა და დროთა განმავლობაში ნამსხვრევებმა და მტვერმა დღევანდელი სამყარო ჩამოაყალიბა.

ვამბობ და ვყუჩდები. ვიცი, რომ უადგილოდ მოვბოდე. აშკარად სხვა რამე მკითხეს, მე კი დაბნეულობამ თუ ცოდნის გამომჟღავნების სურვილმა იმ თემაზე წამაკითხა ლექცია, აუდიტორიამ ჩემზე გაცილებით უკეთესად რომ იცოდა. მაგრამ მეორე მხრივ და სწორედ ამიტომ, იქნებ... იქნებ ეს არის ჭეშმარიტების წამი? განა ბუნებრივი არ იქნება, სწორედ ახლა გაირკვეს, რომელი ვერსიაა ამ ორიდან მართალი? ან რატომ მაინცდამაინც ამ ორიდან? უცხო სტუმარი, უბრალოდ, სამყაროს წარმოშობის ერთადერთ ნამდვილ ამბავს გაამხელს, ახსნის, დაამტკიცებს და მე ვიქნები პირველი ადამიანი, რომელიც ამას შეიტყობს!

— სახელი. სახელი გკითხეთ ამ პლანეტისა, — იმ ყველაფრის ნაცვლად, მხოლოდ ამას ამბობს მერნიკონოზონი.

— დედამიწა...

სხვა დროს ალბათ გამახარებდა უცხოპლანეტელის ასტრონომიული შინაარსის შეკითხვაზე პასუხის ცოდნა, მაგრამ ახლა იმხელა იმედი გამიცრუვდა, რომ ვიმრიზები:

— როგორ? კაცი... თუნდაც პანტიკატოლონი თეფშით მოძრაობთ, ჩემს ნაკვეთში ჩიტივით დაფრინდით და არ იცით, ეს რა პლანეტაა?.. თუ ასე გააგრძელებთ, აუცილებლად გავიღვიძებ! — სამაგიეროს გადასახდელად თავში მეტი არაფერი მომდის და ვითომ საპწკენად გამზადებულ ორ თითს ვაჩვენებ.

— დღეიდან მეცოდინება, — თავს იმართლებს მერნიკონოზონი და თვითონაც მაჩვენებს ორ თითს. აშკარად ვერ მიხვდა, ჩემი ჟესტი რას ნიშნავდა და ყოველი შემთხვევისთვის გაიმეორა, — ყველა დღემდე აღმოჩენილი პლანეტის სახელი სულ რამდენიმე პლანეტოლოგმა თუ იცის, მე კი ერთი უბრალო აგრონომი ვარ, — თან ალალი პანტიკატოლონივით იღიმება.

— აი, ჩვენთან კი ყველა მეორეკურსელმა იცის! — ამრეზილობა ისევ სიამაყეში გადამეზარდა. არ მენაღვლება, რომ ვაჭარბებ და მაგალითად, კულვიკევორონი პირველად დღეს რომ გავიგონე.

— როგორ? ოცდაშვიდივე მილიარდი პლანეტის სახელი იცის?! — მგონი, არც ისე უსაფუძვლოდ იოცებს მერნიკონოზონი, — როგორც ჩანს, თქვენ ძალიან გვისწრებთ განვითარებით. ამიტომ ალბათ ისიც აღარ გაგაკვირვებთ, კულვიკევორონული აგრონომია დღემდე რომ არ იცნობს ამ სიმპათიურ მცენარეს.

— ლობიოს?

— ლობიო... რა ლამაზი სახელია!.. რამდენნაირად შეიძლება მისი წარმოება: ლობიო, ლობიოობა, ლობიოიანი... — მცენარის ორმოციოდე ძირს ერთად ეალერსება სტუმარი.

— ლობიანი, — ზერელედ ვუსწორებ. ამან დედამიწა არ იცოდა და დიდი ამბავი...

— რანაირად? გინდათ მითხრათ, რომ მარაანი, მუყაანი და კაკაანიც სწორი ფორმებია? — მგონი, არ მიჯერებს.

— ეგენი საიდანღა მოიტანეთ? — ცოტათი ვღიზიანდები.

— მარაოდან, მუყაოდან და კაკაოდან, — მიხსნის.

ამის ლინგვისტობაღა მაკლდა. გეგონება, წეღან „კლუჩი“ მე მოვითხოვე. კიდევ უფრო ვღიზიანდები. ვუტევ:

— კი, მაგრამ, ლობიო თუ არ იცოდით... აბა, რამ გაგაძლებინათ? რამ მოგიყვანათ დღემდე? — წინაპრებს ვგავარ-მეთქი, ტყუილად კი არ ვთქვი ზევით.

— ბღლიხვერდუკმა! — მერნიკონოზონი მეტი დამაჯერებლობისთვის ზევით იშვერს რამდენიმე ხელის რამდენიმე თითს, რომლებში ჩაბღუჯული რამის (მაგალითად — უჯლიხრის) ნატეხი ალბათ მრავალჯერ ამოსმულა ცხელ-ცხელ ბღლიხვერდუკში... სიმართლე გითხრათ, მთლად მკაფიოდ ვერ წარმოვიდგინე, მაგრამ მაინც ასე ვპასუხობ:

— ააა.

— თავხედობაში ნუ ჩამომართმევთ და, შეიძლება, ოციოდე ცალი საჩუქრად ავიღო? ჩემი კოლექციის მარგალიტი იქნებოდა, — ქანჩსაღები და ზეთი მოთელვა ყოფილა. აი, სინამდვილეში რა ნდომებია პანტიკატოლონს.

— ორმოცი აიღეთ. მე ხომ ქართველი ვარ! — ეს რაღა იყო ახლა.

მერნიკონოზონი ისეთი კმაყოფილია, რომ თანამოსაუბრის უადგილო ეროვნულ ტრიპაჩობას უყრუებს და ლობიოს ორმოცივე ძირს ისე სწრაფად თხრის, რომ ვრწმუნდები: თუ ვითარდები, კიდურები უნდა გაიმრავლო, მხოლოდ ორ ფეხზე დადგომა ვერაფერი ბედენაა. მერე საჩუქარს ჯიბეში ან კანის ნაკეცში ინახავს და ალბათ მიღიმის:

— თქვენი ლობიო უძვირფასესი შენაძენია კულვიკევორონული აგრონომიისთვის. რით შემიძლია, სამაგიერო გადაგიხადოთ?

— რას ბრძანებთ, რა სამაგიერო, მე ხომ...

მე ხომ გავატრაკე ამ ქართველობით. არადა, მგონი, ბედი კარზე მომდგომია. თუ, რა თქმა უნდა, ბედი კი არა, ჩემი წყაროსპირული სიზმარი არ ედება ღობეყორეს. მე რომ ვედები, ფაქტია. აგერ, ამ ამბის სიზმრობაც ხან მაწყობს, ხან - არა.

— რა სამაგიერო, რის სამაგიერო... — ნამდვილად დროს ვწელავ — იქნებ ამასობაში როგორმე მთლიანად დავიფერთხო კალთაზე თუ შარვლის ტოტებზე ჩაფრენილი ადამიანური სიმხდალე. „თუ სიზ-



მარია, ხო რას ვკარგავ და თუ ცხადია, მაინც რას ვკარგავ, გარდა თოხისა და სხვა მიწიერი ბორკილებისა?“ — ვაგულიანებ თავს.

— უანგარობა! რა იშვიათია ის დღევანდელ კოსმოსში! — მაქებს პანტიკატოლონი. და წარმოდგენაც არა აქვს, სამაგიეროდ, გაწბილება როგორი ხშირი მოვლენაა დედამიწაზე. აი, ახლაც თავს მისი ხომალდის მიმართულებით ვხრი და რატომღაც შენობით ვეკითხები:

— ადგილი გააქვს?

— ადგილი? — მერნიკონოზონი კისერს რამდენიმე ხელით იქექავს, — ეს ფაქტობრივად, ერთადგილიანია. იმიტომაა ასეთი პატარა. ბავშვს თუ ჩავისვამ ხოლმე ხანდახან...

წამიერად ჩემი მიწაზე მოწყვეტით ჩაჯდომის, ფეხების ასარსალებისა და ატაში მინდააას ჩხავილის სცენა გამიელვებს, მაგრამ მერე ერთი ანეკდოტი მახსენდება* და იქვე ვხვდები, რომ კოსმოსიდან მოფრენილი არსება მაგის ჩიტი არ იქნება, ანეკდოტის ფრაზებმა შეაბას. ამიტომ ამის თქმას ვამჯობინებ:

— ჩავიჭუჭკები.

— რანაირად?

— მმ, მეტროს ვაგონი წარმოიდგინე. პიკის საათებში.

მერნიკონოზონს თვალებთან სხვადასხვა ხელის მაჯები მიაქვს — აქაოდა, საათს ვეძებო. მერე იმ ხელებს რიგრიგობით იტკეცს შუბლში და აწუწუნდება, — უი, როგორ დამაგვიანდა!.. იცით, ახლა პლანეტა ფოსბიკიბოტონის ღია საპლანეტათაშორისო აგრონომიულ სიმპოზიუმზე მივიჩქარი... თან ზეთიც ვერ დავამატე... ხომ გესმით?..

— მერნიკონოზონ!..

— იქ წაყვანა არაფრით არ გამოვა! საკიზო პრობლემა, ერთი, მეორე... როგორმე სხვა დროს იყოს... ჯერ საბუთები მოაგროვეთ... შევხმიანდეთ!.. ამ გზაზე ხშირად დავდივარ!.. ნახვამდის!..

მისი ხმა სულ უფრო შორიდან მესმის. არც მიკვირს — ის ხომ თავისი ჯაბახანის მიმართულებით ისე სწრაფად მშორდება, ორფეხი რომ ვერაფრით შეძლებდა. მაინც — შეიძლება სწორედ იმიტომ, რომ დაწევის უშანსობა სიმხდალის ნარჩენებისგანაც მათავისუფლებს — მთელი ორფეხული ძალისხმევით მივყვები უკან. მგონი, მართლა ჯაბახანაა, რაკი აფრენამდე ვასწრებ, მივვარდე და კორპუსზე ბრახუნი, კორპუსს გარედან კი ყვირილი ავუტეხო:

— არ წახვიდე! გააჩერე! წამიყვანე! წამიყვანე, მერნიკონოზონ! პანტიკატოლონო! ულვილედორონელო!

*

ბრახაბრუხში მერნიკონოზონს ელვიძება. თუმცა ვიდრე ბოლომდე გამოერკვევა, ჩაწითლებულ თვალებს ისე აცეცებს, ნამდვილად მე მეძებს. მაგრამ კიდევ ორისამი ასტეროიდის ბრაგვანი საბოლოოდ და ბუზღუნით აბრუნებს რეალობაში.

— ამ შატლბანის მოწესრიგება რაღა გახდა?! აღარ უნდა გადახურონ?! ახლა ისევ პროფილაქტიკაში ვიქნები მისასვლელი! რამდენს გასწვდეს აგრონომის ხელფასი?! — ბუზღუნებს და თავისი ჯაბახანის მონიტორზე შეჰყურებს თავის ჯაბახანას, რომელიც ამასობაში მენყერსაშიში ზონიდან გადის და მშვიდად მიცურავს უსიერ კოსმოსში. მერნიკონოზონიც მშვიდდება, სამართლიანობის პატივისცემა უბრუნდება და უხმოდ აღიარებს, რომ პროფილაქტიკაში, კარგა ხანია, არ ყოფილა, რომ მის დაჭეჭყილ ხომალდს ასტეროიდების ახალი წვიმა თვალსაჩინოს ვერაფერს დააკლებდა (ანუ შემატებდა) და რომ აშკარად სიზმრიდან გამოჰყვა უჟმური.

ბოლო აღიარებაზე უნებურად კანის ნაკეცებს იქექავს, მაგრამ იქიდან თითებს მხოლოდ ბეწვის ბუქგები მოჰყვება.

— ჰუჰ! მაინც იმას ვეძებდი... არა, რამ დამასიზმრა... მოიცა, რა ერქვა პლანეტას?.. დედა... დედა-მიწა... რა სახელია! ენას მოიტეხს პანტიკატოლონი!

---

* ნესტორს სავარაუდოდ ეს ანეკდოტი ახსენდება: მოხუცი იგრძნობს, სიკვდილმა უნდა მოაკითხოს, და არასასურველი სტუმარი რომ გააცუროს, ბავშვურად ჩაიცვამს, თავზე დიდ ბაფთას გაიკეთებს და ფაფას მიუჯდება. სიკვდილი რომ მოვა, მოსულსა და დამხვდურს შორის ასეთი მოკლე დიალოგი გაიმართება: — რას აკეთებ? — ფიას ვწამ. — ადექი, ადექი, ატაში უნდა წაგიყვანო!

გურამ ბათიაშვილი

ორი მონოლოგი

გასული საუკუნის 70-იანი წლები

 პესიმისტი ებრაელი: ჩვენს სოფელში გათენებიდან დაღამებამდე ღრიანცელი ისმის. ყველა, მოზრდილი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ქუჩაში ყრია და მუშტარს ელოდება. მუშტარი კიდო ყოველი კუთხიდან მოდის. მაგათ რო კითხო, გაჭირვებული ვართ, ლუკმა პურის ფულიც კი არ გვაქვსო, აქ კი, რო იცოდეთ, რა ავეჯს ყიდულობენ — ნატოიე თუ რუმინულ სპალნაში არ ჩაუგორდა ვახოიეს, ისე ვერაფერს მოახერხებენ? მუშტარი კი მოდის, მარა მაინც ტაციაობაა. ეგერ იქ უხვდებიან — სოფლის თავში. ჩვენში ყველაფერს იყიდი: ტანსაცმელი გინდა, ფეხსაცმელი თუ წამალი. წამალი და ექიმი არ მოჰკლებოდეს იმას, ვინც ჩემთვის გლახა მოინდომოს! სიგლახის მსურველს კიდო რა გამოლევს — ბოღმით არიან სავსე, ამ ათი წლის წინათ ფოთიდან ქალი ჩამოვიყვანე. ქორწილში დიდძალი ხალხი დავპატიჟე, მოვიდნენ, ჭამეს, სვეს — გასკდნენ. მეორე დღეს მთელი სოფელი ჩემზე ლაპარაკობდა, ფულის არ მეძინა წუხელი, მარა მაინც ვუთხარი, გამოვასწორებთ მაგ ამბავს-თქვა, ვუთხარი და რიგიდან მართლა კაი შარვალ-კოსტიუმი ჩამოვუტანე. გახსნა თუ არა, უკან გადმომიგდო, ეს შავი არ არისო. „რა მოხდა მერე, ბატონო, მუქი ლურჯია, მარა შენ შავად მოგახმაროს გამჩენმა-მეთქი.“

ა, ამ დღეში ვარ თელი ჩემი ცხოვრება! რო დაიძახეს, ისრაელს მივაშუროთ, იქ არც ობეხეესია და არც რაიკომი და კომსომოლაო, ვიფიქრე, მეშველა, წავალ, უდარდელად ვიცხოვრებ-მეთქი. წითლები ხომ შენს ფიქრსაც ტყობილობენ: მეძახის მილიციის უფროსი და მეუბნება: რას შობი შენ, ხო არ გადაირიე, არ წახვიდე და ხელს შეგიწყობ, რასაც შოულობდი, სამჯერ მეტს გაშოვნინებო. მეც არ მინდა, მარა ცოლი არ შობა, თუ დავიყოლიე, შენ რავა მოგშორდები-მეთქი, დავაიმედე. თქვენ გგონიათ, ჩემი სიყვარულით კუჭი უსკდება და ამიტომ მიშლის წასვლას? არა, ბატონო, შემოსავალი მოაკლდება: მე თუ სამჯერ მეტს ვიშოვი, მაგენიც სამჯერ მეტს მიიღებენ. სამჯერ მეტი კაი ხელა ფულია და აღარ წავედი, დავრჩი. არა უშავდა, კარგად იყო საქმე, მარა, რა უქნია ამ უბედურ მილიციის უფროსს: ერთი პატიმრის ცოლი თავის კაბინეტში სტოლზე გადაუკოტრიალებია. იმ ქალმა წივილ-კივილი ატეხა. ატყდა ერთი წიოკობა. ახლა იძახიან, მილიციის უფროსი დაჭერას თუ გადაურჩა, კარგია, სამსახურს ვიღა ჩივისო. ნამეტანი აირია საქმეები, ვისაც მისწვდნენ, ყველას რაღაც მიზეზი მოუნახეს და ჩააყუდეს. რაღა მექნა? დავკარი ფეხი და წავედი ისრაელში. წავედი მარა... პირველი, ვინც აეროპორტში შემხვდა და „სიხარულით“ გული ამივსო, შალიკია „მუნჯალა“ იყო: „გერჩია, იქ დატეულიყავი, აქ რა მოგარბენინებდა, იქანა ფულით მაინც გაკეთებდი საქმეს, აქ არც ფულს იღებენ და არც რამის გამკეთებელნი არიან!“

ოპტიმისტი ებრაელი: ჩვენი კოპწია, მუდამ ხმაურიანი, აჟრიამულებული სოფელი იმერეთშია. მთელი სოფელი, დიდიან პატარიანად, სულ ქუჩაშია. რატომაო, მეკითხები? მუშტარს ელოდება, მუშტარი კი არც ისე იოლი საშოვარია. ხო ყოველი კუთხიდან ჩამოდის ხალხი: გურია იქნება თუ სამეგრელო, აფხაზეთი თუ რაჭა, რამდენი თბილისიდან ჩამოსული მუშტარი მე აქ მინახევს, იმდენი სიხარული ჩემს ოჯახს, მუშტარზე მაინც ტაციაობაა. აქ ყველაფერს იყიდი — ავეჯი? სადოური გნებავს, ბატონო! არის მოსკოვის, ისე, დიდი არაფერი, რიგის კაია, ძალიან კარგი, ლენინგრადის კიდო უკეთესი! ამ ბოლო დროს რუმინული სპალნები და იუგოსლავიური ზალაც შემოგვაქვს. ფეხსაცმელი? იტალიური მოკასინები მე შემოვიტანე საქართველოში, ილიკო სუხიშვილს არ ეცვა, ლანჩხუთელ ზურიას რო ჩავაცვი და ერთ კვირაში ქალიც ითხოვა. ღირსეული ხალხი, გამოსული ოჯახი, ქორწილს ვერ გადაიხდის, თუ ჩვენთან არ ჩამოვიდა. აქ უნდა იყიდოს საქორწინო ტანსაცმელი. კოსტიუმი? ცალბორტიანი, ორბორტიანი. თუ სიძეს ჩვენთან ნაყიდი კოსტიუმი არ აცვია, ქორწილს ეშხი არა აქვს.

სოფელს მდინარე ჩამოუდის. მდინარეში მუდამ ჟრიამულია — ბავშვები ჭყუმპალაობენ. დილიდან საღამომდე წყალში ყრიან.

ქალი სოხუმიდან ჩამოვიყვანე. ჩემი ეთერა ისე ლამაზი იყო, ყველამ კურდღელივით დაჭყიტა თვალები. ჯერ ის უხაროდათ, სიმონიკამ ქალი სოხუმიდან ჩვენს სოფელში ჩამოიყვანაო, მერე ის, რომ შესახედავი გოგო იყო, სიმღერაც გამომითქვეს:

სიმონას ე ქალი ვინ მისცა,
მთელი სოხუმის თვალიო?

მდინარის გადაღმა სულ ქართველები ცხოვრობენ. გამოღმა ისრაელიშვილები ვართ. ჩვენ კიდეც არ დავუძახოთ, შაბათს თვითონ შეგეხმიანებიან: „კერასინკის“, „ფეჩის“ დანთება ვის გინდათო! ჩვენ ხო შაბათს ცეცხლი არ დაგვენთება, იციან ეს ამბავი და წინა დღეს გაკეთებული საჭმლის გასაცხელებლად მოდიან. შენ მაგათი აღდგომა დღე უნდა ნახო ჩვენში: კომუნისტების თვალის ასახვევად ალეგრობას რო ეძახიან. ასე სჯობიაო. ჯვარცმის მინდორზე იმდენი გამოწკეპილი ქალი, კაცი, ახალგაზრდა თუ ბერიკაცი გამოეფინება, გაგიკვირდება: ამდენ ლამაზ, თვალტანად ქალსა თუ კაცს ამ ერთ სოფელში თავი ვინ მოუყარაო. არი ერთი ჟრიამული, საპატარძლოების და საცოლე ბიჭების გადანახულება. ისე მღერიან, ცეკვავენ, სახლში რა გაგვაჩერებს. ჩვენც მივდივართ, სხვა თუ არაფერი, ცეკვისას ტაშს მაინც დავუკრავთ.

კაი ხნის ამბავია ეს: რაიკომის ახალი მდივანი ჩამოსულა. აღდგომა დღეს რომ ჩვენი სოფლის ქუჩებში და ჯვარცმის მინდორზე ამდენი ხალხი უნახავს, გადარეულა. სასწრაფოდ შეუკრებია რაიკომის ბიურო, ეს რაიონი ცრურწმენის ჭაობშია ჩაძირული, ყველა უნდა მოგხსნათ და კოლექტივში გაგიშვათო. ბიუროს სხდომის დამთავრების შემდეგ გაზეთის რედაქტორს მორიდებით უთქვამს:

— რა ცრუმორწმუნეობაზე ლაპარაკობთ, ხალხმა რა ხანია, ამნაირი ამბები დაივიწყა, ნუ გაახსენებ, თანაც ხომ იცი, ამ სოფელში დაბადებული და გაზრდილი კაცი თბილისში რას აკეთებს, ა, გაზეთი რო გაქვს გაშლილი, მაგ გაზეთში მაგ კაცის ორი პორტრეტია დახატული.

მილიციის, ობეხეესის უფროსებიც კაი ხალხია, მარა ხშირად იცვლებიან, რავარც კი გაძღებიან, ჩაიცვამ-დაიხურავენ, ოჯახს გამართავენ, სადღაც ისვრიან. მოდის ახალი — მშიერი, ჩაუცმელ-დაუხურავი და არავის გვიკარებს, სპეკულანტები, მუქთახორები ჩვენი რაიონიდან უნდა ამოვძირკვოთო. ამ დროს ჩვენ მუშაობას ვწყვეტთ, საქონელს — კაი-კაი შარვალ-კოსტიუმს, მოკასინებს, ზიზილო-ზიზილო ხალათებს მდინარის გაღმა სოფლებში ვინახავთ ქართველებთან. გადის დრო და... კუჭი ხო ყველას აქვს... ჩვენ, მუქთახორებმა, თუ არ ვაჭამეთ, სული ამოხდებათ. მერე დაგიძახებს და „პლაშჩი გამოსულა კიტაისკი...“ „ქალის ფეხსაცმელიო, რაცხა იმნაირი, შეკვრა რო არ უნდა.“ იმ პლაშჩს, მოკასინებს, გინდა კოსტიუმს, რო ჩააცმევ, მიდი და იგულავე! რაც გინდა და რამდენიც გინდა, ჩამოიტანე, მარა... ჭკუით უნდა იყო... მილიცია-პოლიცია, რაიკომი-აღმასკომი, პროკურორ-მოკურორი ყოველთვის უნდა გახსოვდეს. რასაც იშოვი, შენი ხო არ გგონია, იმათიცაა, თორე რა გამოდის — კუჭი შენ გაქვს და იმათ — არა? შენ თუ დაივიწყებ, ისინი არ დაგივიწყებენ, გაგიხსენებენ და... ათი იმდენი დაგიჯდება.

ჩვენი ხალხი რომ ისრაელის გზას დადგა, გადავწყვიტე: წავალ, ისტორიულ სამშობლოს დავუბრუნდები, დემოკრატიულ სახელმწიფოში ვიცხოვრებ, არავის შიში არ მექნება, არც ობეხეესი შემაწუხებს, არც რაიკომი და პროკურორი-მეთქი. გაუგია ეს ამბავი მილიციის უფროსს და ის ყლინჭი ვახოია გამომიგზავნა, სერჟანტი როა, აუცილებლად მნახეო. რავარი მისასვლელია, რა იცი, რა გუნებაზე დაგხვდება — იქნება, სულაც დაგტოვოს, იყავი აქანა პეტერა ხანიო — ამიტომ ვამბობ: მაგათთან იარა უბედურმა ხალხმა! რა მექნა, წავედი. მეუბნება: რამდენს გამოხვალ თვეშიო. იმას კი არ მეკითხება, ამდენს რომ დაწოწიალებ, ხან მოსკოვში ხარ, ხან — ლენინგრადში, ჩემთანაც რო მოგაქვს, ვიცი, სხვასაც არ ტოვებ უყურადღებოდ, წვალებად თუ გიღირსო. რამდენს გამოდიხარო? მიდი და ჩაუკაკლე მილიციის უფროსს! ყველაფერი გამიწყდეს, სალაპარაკოდ თუ ღირდეს-მეთქი. ყველა ფერიო? — გაეცინა, — შავიც, თეთრიც, ცისფერიც და წითელიც? მოკლედ, მიმიხვდა, რომ ვერ მათქმევინებდა და ასე მისვამს საკითხს: ოღონდ ისრაელში არ წახვიდე, ოღონდ აქაურობა არ დატოვო, რამდენსაც შოულობ, სამ იმდენს გაშოვნინებ, ჩემს კაცს მოგამაგრებ, რო ხელი არავინ წაგავლოს, მიდი და იგულავეო. ფულის გულისთვის ჩემი წინაპრების მიწაზე რაფერ ვთქვა უარი?! ვუთხარი და გამოვედი. იმ დღის მერე ხელი არ გამინძრევია, შარში არ გამხვიონ-მეთქი. დავიწყე სამზადისი ისტორიულ სამშობლოში გასამგზავრებლად. აბა, რა ვქნა, იმას ვუყურო, როდის მტაცებს ხელს ი ყლინჭი ვახოია?!

ა, ახლა აქანა ვარ. კაი მოგცეს გამჩენმა, აქაურობა კაი იყოს — კანონი კანონობს!

* * *

გადაივლის თიბათვე,
მკათათვეც გადაივლის,
ახლოს მარიობის სანთლებიც პარპალებს.
სექტემბრის პალიტრა ყვითელ ფერს გაირევს
და ფოთოლცვენაზე დარდს შემოგაპარებს.

მიდიან თვეები —
მგზავრები ბაასით,
დეკემბრის მყეფარი კალენდრის ღიობებს —
დაბადების დღეებს, ოქტომბრის დარბაზებს
აიკლებს ორპირით და მოაღნიოშებს.

უკვე წაიკითხე,
შუბლზე რაც გეწერა,
რას ტოვებ, რა მიგაქვს ხვალ სააქაოდან —
მკერდზე მიბნეული უმწეო ენძელა,
თებერვლის თითებში ობლად რომ ყვაოდა.

ამაღლება

მენელსაცხებლე ქალების
ახლაც ჩამესმის გლოვის ხმა,
მარიამ მაგდალელის და
მარიამ იაკობისა.

საუკუნეთა ლოდები
უფსკრულებისკენ დაქანდნენ,
ისევ ის ცოდვა გვინელებს,
რაც ვივაგლახეთ აქამდე.

სისხლის წვეთებით ყვავილობს
შუბლზე გვირგვინის ეკალი,
ქვითინებს დედა უფლისა —
ჩვენი მფარველი მზე-ქალი.

დადუმებულმა გოლგოთამ
სიკვდილის მწუხრი მოისხა,
ბოლოჯერ ამოიფშვინა
ვარდმა ფურცელთა ჭკნობისას.

— ჩემია ძე საყვარელი! —
ცათა მიღმიდან მოისმა,
შუბნაძგერები ნათელი
ჯვრიდან რომ გარდამოიხსნა.

რამდენმა გადიგრიალა,
ავბედითად რომ ღელავდნენ —
ტალღებმა წუთისოფლისამ,
შობიდან ამაღლებამდე.

რამდენჯერ გახმა იმედი
ჩამოტეხილი ტოტივით,
ხან ავობს წუთისოფელი,
ხან დარდიანი მოგტირის.

კვერო
ობოლი ქვეყნისა,
აქამდე რატომ ვერ ცხვები,
თავზე რად დაგტრიალებენ
მენელსაცხებლე მერცხლები.

საით ხარ?
ვერ გამოკვალე
გზაწვრილი, ჩვენსკენ სავალი,
გათენდი, თუ გათენდები —
მესამედ ყივის მამალი!

გახსნეს კარიბჭე!
გაბრწყინდი!
გეპკუროს მადლი ლოცვისა,
მარიამ მაგდალელის და
მარიამ იაკობისა!

მოწოდება

მიდი, პატარავ,
პატარავ მიდი,
ვიდრე სტვენს შენი სიმართლის ჩიტი.

ცოდვის ვაქცინით მანამ აგცრიან —
გულუბრყვილობის საწოვარას გამოგაცლიან —

მხოლოდ შენ ერთი თუ იღაღადებ:
— შიშველი მეფე!..
შიშველიც, ფლიდიც! —
ნამუსს ნამუსი ვიდრე ახადეს,
მიდი, პატარავ,
პატარავ, მიდი!

შენც მოუსინჯე გამძლეობა ყელის იოგებს,
არ ანაცვალო მშობლიურ ხმებს უცხო კრუალი,
გაუბზარავი და ხაფი ხმით უნდა ჰყიოდე,
რომ გააგონო —
დედამიწა გულღრძო ყრუ არის!

ნუ გაიოცებ,
ასეთია მისი „ხელობა“,
„ფერებს“ ვერ არჩევს
დალტონიკი „უმაღლესობა“.

თუმც აახრჩოლეს დამწვარი ხიდი,
ბარიერს უნდა გადაახტე —
პატარავ, მიდი!

ყველას თანაბრად გვასაჩუქრებს
ღმერთი ბავშვობით,
უფლისწული ხარ, შეძლებული თუ უპოვარი,
ნუ დაამგვანებ შენს უენო სათამაშოებს
ცხოვრებას-მეთქი,
გიმეორებ, უკვე დრო არის!

ჩვენს ბედიღბალზე წილი არის რადგან ნაყარი,
აღმართის შემდეგ
თავდაღმართზე უნდა დავქანდეთ —
არ მოგასვენებს,
ვერ იქნება მშვიდად სამყარო,
ვიდრე თავისთავს არ დაგამგვანებს!

მაინც, პატარავ,
გაბედე, მიდი,
არ გაგიჩუმდეს სიმართლის ჩიტი.

თუ შენს საყუდელს ვერ დაიფარავ,
ვინ გაგახარებს
წმინდა სისხლის ოქროსქოჩრიანს,
წამოგიქცევენ ერთგულებით დაღლილ წიქარას
და აბღავლებულს ყელს გამოსჭრიან...

მიდი, პატარავ,
გამოტეხე, დროა, ნაჭუჭი,
ლოცვა-კურთხევა პერანგივით ტანზე მოირგე,
აღვირახსნილი ირგვლივეთი უნდა გაჩუმდეს,
როცა არტახებს დაწყვეტავ და ხმას ამოიღებ!

უკვდავებისკენ ერთადერთი გზაწვრილი მიდის,
ჯალათის კუნძით,
ეშაფოტით,
და ბეწვის ხიდით...
სისხლის ყივილი გაღვიძებს ვიდრე,
მიდი, პატარავ,
პატარავ, მიდი!

* * *

გაჩერებულა კედლის საათი,
მაგრამ დრო მაინც გა-ა-დის!

აღარ გაღვიძებს ციფერბლატიდან
მონოტონური ყრუ მასლაათი —
წამმზომი — ციფრებს,
ისარი — ისარს,
აღარ მოჰყვება უკან ტაატით.

თებერვალს მარტი,
ამინდს ამინდი,
წელს წელიწადი შეცვლის,
თმაში სიბერის მახარობელი
სხივი გაკრთება ვერცხლის.

ნეტავ, ამ ღამეს როგორ გაათევ,
როცა არ იცი რა გზას დაადგე...

გაჩერებულა გული საათის,
მაგრამ დრო მაინც გა-ა-დის!

* * *

ქარიც მიყუჩდა.
წვიმაც მიჩუმდა,
ტოტებზე აღარ დამოგზაურობს
და იმეორებს ყრუ გულისცემას
წვეთი, რომელიც კართან ხმაურობს.

ადრე თუ გვიან
შენც დაოკდები,
წუთისოფელის აურზაურო...

მიუგდე ყური,
ვიდრე მოსწყდება,
წვეთი წვეთებთან რაზე საუბრობს.

* * *

ამდენი ცრემლი რატომ აყვავდა,
ვინ სწყალობს კართან მომდგარ ნარ-ეკალს,
მხოლოდ ის უწყის,
გზაგასაყართან
უცხო ძაღლები ვინც ააყეფა.

გულსაკლავია შენი სიჩუმე,
შენი დუმილიც ისე მაშინებს,
ზოგჯერ მგონია,
ღვთისმშობლის კალთას,
ვით ყრმა, მოგწყვიტეს და გაგაშვილეს!

აივანი

ემზარ კვიტაიშვილს

ასეა დღემდე, მტკვარზე ორპირი
ქარი როდესაც გაშლის მარაოს,
მოწმე ჩავლილი შენი ბავშვობის,
როგორც ტალღებზე ტივი, ქანაობს.

ჟამმა რამდენი „ძვალი“ გამოხრა,
აივანი კი ისევ „ბალახობს“,
ნაცნობი ხედი,
გაღმა-გამოღმა
ხელში აყვანილს რომ დაგანახოს.

რკინა-ბეტონში ქალაქს ფუთავენ,
დილა-საღამოს თუ ღამღამობით,
ძველი უბნების სულთამხუთავი
ცათამბჯენების ჯინი ამოდის.

მაინც უძლებს და არ იხდის აბჯარს,
ციხის მცველივით „გოდოლზე“ დარჩა...

ამ აივანზე ათოვს და აწვიმს,
სულს შერჩენილი ნაიარევად,
ფონენდოსკოპით,
ექიმის ჩაჩით,
მამის აჩრდილი დაიარება.

ღმერთო!

როგორ მეგონა მყარად ნაშენი
ლიბო ოშკის და თამარაშენის.

მარად ძველი და მარად ახალი,
კვლავ სარეველა ღვარძლის ღაღანი.
წარსულის ექოდ რად მეორდება
ძუძუმოჭრილი ქართლის გოდება!

გადაუარა ნაცარმა კერას,
ფრთა ვერ გავშალე როგორც მენება —
ლიახვის გამოღადრული ყელით
იცი, „ჩაკრულო“ ვერ იმღერება.

რად შევაჭამე ჯავრს ორლესული —
ღმერთო, როდემდე ვიგლოვო ხმით მე!
ქსნისპირებში რომ ვეღარ ვლოცულობ,
შენ მაინც როგორ დუმხარ და ითმენ!

რაც შენ მიბოძე,
ჩემი მეგონა,
ახლა, სამშობლო,
ესე ვით არი —
ერთად, ხელახლა როდის შეკონავ,
ისე ნუ მომკლავ, თუ არ მითხარი!

* * *

ჩაკირულია ხმალი ვადამდე,
ვის უნდა ჰკითხო, ასე სადამდე?!

მოძალებული გჭამს ნაგერალი,
ვისი მოდგმის ხარ, რომ დაგავიწყოს.
ბოლოს და ბოლოს, ძარღვში მთვლემარე
სისხლი ხომ უნდა გამოაღვიძო!

შეხედე, დროშებს ვინ აფრიალებს,
გამოიღვიძე, შენს თავს რა ხდება,
მონობის ჯაჭვის „სიმთა“ ჟღრიალი
თავისუფლების ჰიმნად საღდება.

წამოუყვია თავი იქედნეს
და გიდამბლავებს ხერხემლის მალებს,
ან სანუგეშო მითხარი რამე,
ან ტყვია მაინც გამოიმეტე.

თუ არ გაიხსნა ზეცის სარკმელი,
მწყალობელი და თვალი კეთილი,
დამთავრდეს ლექსი უკანასკნელი
სისხლის წვეთების მრავალწერტილით.

ნუ მეკითხები, ასე რად ხდება —
ჩალის ფასი აქვს დღეს თავდადებას.

ღამეს ლეშივით ფლეთენ აფთრები,
ვიდრე მომწვდება კლანჭი მდევრების,
უკანასკნელად მომენატრები,
უკანასკნელად გამახსენდები...

მოკიდებულო ჟანგო ვადამდე,
ასე როდემდე, ასე სადამდე!

სოლო-კონცერტი

ზაქარია ჭარუაშვილს

კენტად, წყვილ-წყვილად
ბედისწერამ ვისაც უყელა,
მუნჯი ლოდების ლაბირინთში უხმოდ მოდიან.
ეშვება ციდან როიალის შავი ღრუბელი
და შენს საფლავზე წვიმს მელოდია.

და სულერთია,
ბალახს ბახის ფუგები ვარცხნის
თუ ტკბება ვალსის სურნელებით
ყვავილი ცაცხვის —
სულგანაბული საფლავების დარბაზი გისმენს,
რომ ტაშისცემით გაგიხმონ ბისზე.

გაირინდება
მწუხრის ყელზე შემოხვეული
თეთრი საყელო — სიქათქათე მარტის ალუბლის,
არც ამფითეატრს,
არც პარტერს და
აღარც ბენუარს
ოვაციების ქარიშხალი არ გადაუვლის.

მახსოვს, ამინდი
ფოთოლცვენის ფურცლავდა ნოტებს,
იდგნენ ალვები ზეცისაკენ ალასტულები,
როცა ღონიერ თითებქვეშ თრთოდნენ
კლავიატურის თვინიერი სატაცურები...

ასე მგონია,
წამოდგები, როცა ინებებ
და თავს დაგიკრავთ უნაზესი ბგერების ავტორს —
სად ნოქტიურნის სიმსუბუქე,
სად კლავიშებზე
აცეკვებული „ტორების“ ჯადო!..

რეკავს და რეკავს
განშორების მესამე ზარი,
სულერთი არის გამთენია თუ საღამოა:
„ფორტეპიანოს მეტრონომი“
აფრთხილებს მგზავრებს —
ადრე თუ გვიან მაგ სადგურზე ყველა ჩამოვა!

ცრემლი

მეც თავი ცრემლის ქინძისთავებით
ღამით დაჩხვლეტილ ბალიშზე მიდევს
და ვიდრე დილა
მწუხრის უბიდან
თეთრი მტრედივით ამოფრინდება,
როგორ მინდა აქედან შორს,
სადმე, კუთხეში,
მივიკუნჭო და აქეთ აღარ გამოვიხედო!

მაგრამ ნატვრას როგორ ავიხდენ —
ამ ჭორფლიან და გალაყებულ კვერცხს,
მრგვალ დედამიწას სადა აქვს კუთხე.

აჰა, ორი ნახევარსფერო —
გაკახპებული დედაკაცის ბიუსტჰალტერით —
ერთნაირი, გაჭრილი ვაშლი —
ამ ორიდან რომელს აირჩევ,
რომელს შებედავ,
გემოს რომელს გაუსინჯავ,
თავს რომელით მოიწამლავ —
მეორეს? პირველს?

რამდენჯერ გკითხე, ვინ გვითხზავს-მეთქი
ბედისწერის როლის რერმარკებს,
ვინ გვავიწყებს, ერთი მუცლიდან —
დედამიწის ნაშობნი რომ ვართ!

ნუთუ ერთგული მარჩენალი, მუცელმოშლილი,
ჩვენთვის მშვიდობას
ვეღარასდროს იმშობიარებს?!

აკი გითხარი, გინდა თუ არა,
თავი ცრემლის ქინძისთავებით
ღამით დაჩხვლეტილ ბალიშზე მიდევს
და როგორც დღემდე
შეუძლებელს ვეპოტინები —
ჩემთვის მარტო...
სადმე...
კუთხეში!..

* * *

ბოლო წუთი ყოფნისა
აღრენილი ჩემზე,
გიზის, როგორც მიმინო
ასაფრენად ცერზე.

თურმე ამაოდ გდიე
მინდორ-მინდორ,
სერ-სერ.
სიტყვა, ჩემთვის სათქმელი,
გადგას ენის წვერზე.

ახლა მაინც მითხარი
რა მოხდება შემდეგ,
ვიდრე სიცოცხლის ბოლო
ფურცელს ამოხევდე.

გიხაროდეს!

ზეციურ აივანზე
ანგელოზნი გალობდნენ —
გიხაროდეს, მარიამ!
მარიამ, გიხაროდეს!

წასულებიც, ცოცხლებიც,
ვინც ცოდვებში გმინავენ,
ხელს, ვინ იცის, რამდენჯერ
კიდევ გადაიბანენ.
ვიდრე სიძულვილის და
შხამის თესლი ბოგინობს,
გადარჩენის იმედი
უნდა მოილოგინო.

თორემ უსიყვარულოდ,
მწყალობელო ქალწულო,
ცოდვილ დედამიწაზე
რაა სასიხარულო.

ისევ რომ დააბრმავონ
და ბრბო აიყოლიონ,
ხომ დაიწვის სირცხვილით
საფლავების სქოლიო.

გიხაროდეს, მარიამ,
შენი კალთის მადლია,
ხე თუ აღარ იზრდება,
ჯვარცმისთვის რომ გათლიან.

სანთლებს რომ უნანავებს,
სააღდგომო ქარია —
გიხაროდეს, მარიამ!
გიხაროდეს, მარიამ!

* * *

გაზაფხულმა მოსვლა გვიან ინება,
ბაღში, მაინც,
მობრძანდა საჩუქრებით,
სიფრიფანა,
დაბუშტული ტუჩებით
გაკვირტული ატამი იღიმება.

შენს მაგივრად,
თუ ამინდმა გიხამა,
ვინ აუწყობს ფეხს აპრილის ალილოს,
ნაადრევად, ნეტავ, რამ მოგიყვანა,
მარტის ჩვილო —
უცოდველო ყვავილო!

* * *

აღარც ცხადია სანახავი,
აღარც — სიზმარი, გაქრა ორივე,
აღარც მხსნელად მოჩანს მესამე,
ვიცოდე მაინც
საით მივალ, საით ვიჩქარი,
ვიდრე სამგზავრო
ბოლო ჯვალოს გამოკემსავენ.

ვიდრე დარეკავს ცისკრის ზარი —
ტყიდან გუგული,
დღეები უკანასკნელ სადგურს
მიაკივლებენ,
გვინდა თუ არა
ამ საუკუნის
ჩვენც ჩაგვიტყდება საფეხური
ზეცის კიბეზე.

თუ ჩაგიქერი,
ხელმეორედ ვეღარ ამანთებ,
ჯავრად წამყვება,
ბოლომდე რომ ვერ მოგიარე,
როცა სიცოცხლე —
ბოლო აღმართზე —
მუჭში მთრთოლავი
ჩიტის გული შეიფრთხიალებს.

რიკი

ბევრი იცელქა, ვიდრე სიცოცხლის
არ მოეხურა კარი.
მესამე დღეა,
გალიის ჩიტი
უკვე უფალთან არის.

მოსიყვარულეს და უცოდველის
აწვიმს პაწია საფლავს,
ვინც ხელისგულზე,
როგორც სანთელი,
დადნა, ჩაიწვა, ჩაქრა.

ეფერებოდა დიდს და პატარას,
უცხოს, ოჯახის მკვიდრებს,
რკინის გალიის საპატიმროდან
თავს დაიხსნიდა, ვიდრე.

ისე იცხოვრა და იმარტვილა
ხის ხარიხაზე მარტომ,
საყვედურიც კი არ დასცდენია:
— რატომ, უფალო, რატომ?!

სიცოცხლეში რომ ვერ ინავარდა,
როცა ჩამოჰკრეს ზარი,
ფრთებით გულხელი დაიკრიფა და...
რიკი ზეცაში არის!

მიხო მოსულიშვილი

მაპალე კარტახენა დე ინდიასში

ერთი ამბავი მომავალი რომანიდან „მოგზაურთა და უგზაურთათვის“

„ამას თუ წაიკითხავ, ბაწარი ახლოს იქონიე, დასაბმელი არ გახდე, el bastardo[1]...“

ევფროსინა მარიატუ რობაიო ნკოსი, პალენკერა...

ევფროსინა მარიატუ რობაიო ნკოსი

ღმერთო, რა გაუძლებს, კაჯე[2] დელ კოლეგიოს გათენებას რა გაუძლებს, ქლორით მორეცხილ ქუჩის სუნს, მტრედების ფრთების ფართქუნს, რიბი-რაბო დილის შუქებს, პერუელების სუშის ბართან გამოსულ ფუჯიტა სანს, კედელს რომ აჰკვრია დილიდან, მობილურზე დაიყურება წვრილად მოჭუტული თვალებიდან, კითხულობს და მესიჯობს. ვიცი, ვისთანაც და რაზეც... სერხიო ბენკოს ალზანტეს ებაზრება, ამ ჩემი ბარის მცველსა და შეთავსებით კი ჩემს ცალმხრივად მეტრფეს — სწორედ მაგისგან აქვს ნასწავლი შოტოკან და ასევე ვადო-რიუ კარატე...

რა გაუძლებს აივანზე გამოსულ პალენკერა პოლას, რომელიც ტრადიციულ, აფრიკულ და კოლუმბიის დროშის ლურჯ-წითელ-ყვითელ ფერებიან, ფურფუჭელებიან კაბას, ჭრელა-ჭრულა წინსაფარს და წითელ კოფთას გადაიცვამს, თავზე მოსახვევს მოიხვევს, იმას კიდევ სულ თეთრს და მერე მთელი დღე ქუჩის შუაში დგას, ასევე გამოწყობილ მელინდასთან ერთად, თავზე ბანანების და ანანასების თაბახი ადგათ, ხილითაც ვაჭრობენ და ოთხი-ხუთი ათას პესოდ ფოტოებსაც გადაიღებენ ხოლმე კარტახენაში ჩამოსულ ტურისტებთან.

ამ ჩემი ღამის კლუბის La Palenquera Club House Gastrobar მცველს, მულატ ბალთაზარს რა გაუძლებს, თვალებდაბრეცილი რომ დგას შესასვლელთან და წუხანდელი ღამის თეთრად გათენების კვალი სახეზე აწერია, რაკი გუშინ ფუჯიტა სანმა უთხრა, რომ მეორე მცველი, სერხიო ბენკოს ალზანტე საქმეზე იყო წასული და მარტოს მოუწევდა მუშაობა...

რა გაუძლებს მოტოციკლით ჩავლილ პოლიციელებს, მუზარადებით და უნიფორმით აღჭურვილ მრისხანე ქალ-ვაჟს, რომლებიც ძუძუების ასაპრიალებლად მალამოწასმულ კორნელიას და სესილის ედავებიან დელ კოლეგიოს ქუჩის კუთხეში, რამდენჯერაც ჩამოვიარეთ, ისევ აქ იდექითო და რას აკეთებთ აქ ამდენი ხანი, ძალადობრივ და ფარულ პროსტიტუციას ხომ არ ეწევით, საყვარლებო, ძალიან ეჭვს იწვევთო...

რა გაუძლებს სახურავზე აპარულ კატას, ვითომ რომ ნადირობს და ვეღარც ნადირობს, რადგან ფრთხიალით გაუფრინდნენ მტრედები.

რა გაუძლებს ჩალის შლაპებისა და სათვალეების გამყიდველის, დონ ფაკუნდო ურუჩაგას გამყინავ ხმას — ¡Boinas sere con paja cara! — „ბერეტები ძვირფასი ჩალით!“

რა გაუძლებს ამ ვარდისფერ დილას, ამ მოღუღუნე მტრედებს, ამ კაჯე დელ კოლეგიოს ამდენ ამვლელ-ჩამვლელს, მთელ ამ ისტორიული ცენტრს, ამ კარტახენა დე ინდიასს, მთელ ამ კოლუმბიას და იქით აფრიკაში ბანტუს ხალხს, ტამტამებზე დამკვრელი კაცებითა და თავზე წყლის დოქშემოდგმული, ფერად-ფერად კაბებიანი და მძივებიან-საყურეებიანი ქალებით, მთელ ამ ბნელ-ნათელ, ცრუ და ნამდვილ სამყაროს რა გაუძლებს, უშენოდ რაღა გაუძლებს მეთქი, ბაკანო — ¡Qué chévere!..[3] გრინგო[4] ხარ, გრინგო არა ხარ, ვინა ხარ, ბოლო-ბოლო, ვეღარ გავიგე...

ვეღარ გავიგე, მაგრამ შენ იმ ბოლო გამოხედვას რაღა გაუძლებს, რაღა...

ბაკანო — ¡Qué chévere!

ორ-ორნი, სამ-სამნი დგანან ძველ ქალაქში, კოლუმბიის დროშის ფერებში გადაწყვეტილი ყვითელ-ლურჯ-წითელი კაბებით — მიხვალ, მოელაპარაკები რომელიმე ამ პალანკერას. თუ ამერიკელი გრინგო ხარ, მეტს გადაგახდევინებენ, თუ სხვა გრინგო ხარ, ათი-ოცი ათასი პესო უნდა მისცე და იმასთან ერთად გადაიღებ სურათს...

თავზე ხილის ლანგრები ადგათ, იმ ლანგარს მერე კლიენტსაც დაადგამენ ხოლმე ხუმრობით, მერე თავად დაიდგამენ და ისე მარჯვედ დგანან, ისე მოხდენილად დადიან, რომ გეგონება თავზე ლანგრით დაბადებულანო.

მთელი დღე დგანან ქუჩაში და ელოდებიან ჩამომვლელ ტურისტებს. შუადღისას კაი ყავით და არეპათი — აქაური სიმინდის კვერებით — მოითქვამენ სულს და დაღამებამდე მუშაობენ მერე.

ისვენებენ ხოლმე ტროტუართან, ფანჯრის გარე რაფის გამონაშვერზე ჩამომჯდრები, ლაპარაკობენ მხიარულად, იცინიან გადამდებად და ღამაზები არიან, ძალიან ღამაზები.

შარშან სწორედ აქ გამაცნო მაკარიო ანხელ ეჩევერიამ ერთ-ერთი მათგანი, ევფროსინა მარიატუ რობაიო ნკოსი — ეხლა ამათ ჩემი ნამდვილი სახელი და გვარი ხომ არ იციან, პასპორტი ჯაკო პეიჯის სახელით მაქვს და არც დამახსოვრება გაუჭირდებოდათ, მაგრამ რაკი წარა-მარა გავიძახოდი ამ კოლუმბიურ სლენგიდან მოწონებულ სიტყვებს, სწორედ ესენი შემარქვეს — „ბაკანო — ¡Qué chévere!“, ანუ „მაგარი — რა მაგარია!“, ეგეთ პონტში, თან აქ პატივისცემის ნიშანიც არის, რამე ეგეთს რომ გეძახიან და ვუყურებ ამ პალენკეროს, აბა, ეს მეტსახელი როგორ მიიღო და ჯერ შორეული სევდა ედგა ღია მწვანე თვალებში, მუქლურჯი წერტილებით რომ ავსებოდა და რომ შემომხედა, მაშინვე მზერა მომინაცვლა, ცაში აიხედა და ხელახლა რომ დამაკვირდა, დაინტერესდასავით და ის წერტილები კიდევ მერცხლებად გადაიქცნენ, ამოფრინდნენ იმისი თვალებიდან და მე შემომეხვივნენ ჟივილ-ჟრიამულით...

მაგასთან მდგომი სხვა პალენკერები, პოლა და მელინდა იღიმებოდნენ გამოუცნობად და მერე პოლამ უთხრა, Deha ma ombre komponé bo pekao[5]. მელინდამ კიდევ — Nu obbirá poné bulo mbosá[6]. ამაზე გაბრაზებულმა ევფროსინამ ორივეს დაუცაცხანა თითქოს, — Enu é mamá mí nu[7].

ევფროსინა მარიატუ სამუშაოდ კი არა, თავისი სულის საამებლად იდგა პალენკერებში, თორემ მაგას აქ თავისი ბარ-რესტორანი „Palanquera“ აქვს, ძველ ქალაქში...

მოკლედ, თითქოსდა მოგვეწონა ერთმანეთი, გავიარ-გამოვიარეთ აქეთ-იქით, სხვადასხვა უბნებში: ბოკა გრანდეზე, ძველ ქალაქში თუ გეთსემანიში, რასაკვირველია, კუნძულ როსარიოს ორგიებზე აღარ წავსულვარ, ბალთაზარი გაჰყვა მაკარიოს. მერე კი მაკარიოს მარტო მოუწია დაბრუნება მედეჯინში, მე კარტახენაში დავრჩი და ევფროსინამ თავის სოფელშიც კი წამიყვანა ერთი კვირით, მაპალეს[8] სასწავლად.

და იქიდან რომ ვბრუნდებოდით კარტახენაში, მაშინ მითხრა — არ შეგეშინდეს, მაგრამ როცა ორივესთვის სიკვდილი და სიყვარული ერთი და იგივე გახდება, აი, მაშინ მეყვარები სრულადო...

სერხიო ბენკოს ალზანტე

კარტახენას ისტორიულ ცენტრში, საათის კოშკის მიმდებარედ გვერდიგვერდ არის მშვიდობის მოედანი და კარეტების მოედანი, სადაც დგას ამ ქალაქის დამაარსებელი კონკისტადორის პედრო დე ერედიას ქანდაკება — აი, სწორედ აქ არის „ლა ჰეროიკას“, როგორც სიმონ ბოლივარმა უწოდა ამ ქალაქს, პროსტიტუციის ეპიცენტრი.

არ იმჩნევენ, თორემ ეს ამბავი ყველამ იცის და ბევრსაც ლაპარაკობენ ამაზე...

ქალების პოვნა იოლია საღამოს ექვსის შემდეგ და ამით ძალიან კმაყოფილია ხოლმე ნებისმიერი კაცი, ვინც კი საათის კოშკის კარიბჭე გადაიარა, რადგან აქ ქალი თავის სამსახურს სთავაზობს კლიენტს.

უკვე კაი ხანია, მეც აქ ვდგავარ და ვეღოდები...

ლუდის გამყიდველი კარლოსი მანიშნებს და, აჰა, მოდის ისიც...

თურმე, ეს ტაქსისტი ემელიანო ერთი ბანჯგვლიანი და ღიპმოშვებული კაცია, გამოდის ლუდის და წვენების გასაყიდი ჯიხურის ჩრდილიდან, ხელში ლუდის კათხით, მეორე ხელით ერთი დამორცხვებული გოგო მოჰყავს და კითხულობს — როგორ მიდის საქმე, ხომ არავის უნდა გამყოლად სოფია, სულ ოცი წლის. შეგიძლიათ, აქედან უკვე კომპანიონის თანხლებით წახვიდეთო.

და მეთქი — გაუშვი ეგ გოგო, მაგარი შეკვეთა მოგიტანე და წამო, შემკვეთი გველოდება, დავილაპარაკოთ.

არსადაც არ წამოვალ, აქ მითხარიო.

მეთქი, სამი გოგო ბორა ბორას კუნძულებზე მიმავალ იახტაზე, მთელი უიკენდი, თავისი ატრიბუტებით, შვიდ-რვა მილიონ პესოდ.

აუ, რას ამბობ, და, კი, კი, ნამდვილად, ეგ შვიდ-ნახევარი მილიონი ნაღდად მოსულა მანდ, ალბათო.

და მეთქი — აბა, რა!..

მერე, სად არის ის კლიენტიო?

და მეთქი, ქალაქის შემოსასვლელში, CARTAGENA რომ წერია დიდი და ფერადი ასოებით, იქ გველოდება, პლაჟზე.

გრინგოა, ხოო?

მეთქი — ალბათ...

მერე სოფიას ვიღაცას ჩააბარებს ემელიანო და იმისი ტაქსით მივდივართ.

ბაკანო — ¡Qué chévere!

მედეჯინიდან მე და მაკარიო ანხელ ეჩევერია წამოვედით ანტონიას ვილისის ჯიპით — აეროპორტის ქალაქამდე, რიო ნეგრომდე, ჯერ...

ქალების მხრივ ვერ არის ყოჩაღად ეს მაკარიო, რაღაცა ფული გაჩნდაო და სანამ ანტონია ბარსელონაშია, დრო ვიხელთოთ და კარტახენაში მოვხიოთ ეგრევეო.

რატომ-მეთქი და — ფეისბუქზე ტაქსისტი ემელიანო გავაძრე ისევო და — შენ უიკენდზე ჩამოდიო და სულ ჩემზე იყოს ქალები გინდა, იახტა, რომი, ტუსი[9] და რამეო.

შენ ისე ლაპარაკობ, რომ, ალბათ, მედეჯინელ მწარმოებელ კალვერას შენ მიყიდე ტუსის რეცეპტი თორმეტ მილიონ პესოდ, თანაც ანტონიამ რომ არ იცის, ისე და ეს ვერცხლიც იმიტომ გაგიჩნდა...

და რომ იცოდე, ჩიკო, სიტყვა „ვერცხლს“ აქ ფულის მნიშვნელობით ამბობენ ხოლმე...

ეგ რა შენი საქმეაო? — ცხარობს მაკარიო და — შარშანაც ხომ არ წამოხვედი ოცდაათქალიან იახტაზე და ახლა ვერსად წამიხვალ, სამოცი ქალი იქნება და უნდა გამომყვეო.

მეთქი, შე ჩემა, რაღა მაინცდამაინც ჩემს თავზე უნდა იჟიმაოს სამოცმა ქალმა და გული ამირიონ... ანდა რაის სამოცი ქალი იახტაზე, აქ ქალები გაკლია მედეჯინში? Playmates სტრიპ-კლუბის გოგოებში ხო დაძვრები ოთხმოცდაათი ათას პესოდ ნახევარ-ნახევარი საათით და ზედაც ლუდი და ტუსი? დაძვრები! New Life ბორდელის ქალებშიც ხო დადიხარ? დადიხარ! და სექს-მასაჟის სალონებში კიდე? აი, რაღა გინდა, მითხარი და მე სადღა მიგყავარ, თან ისიც იცი, რომ ქალია იქ ერთი, პალენკერა და გადაკიდებულია, ხომ მოგიყევი და რა გინდა, ბოლო-ბოლო, ბოზი კურდღელივით უნდა გამაგოროს მაინცდამაინც?!

კარგი რა, მანო[10], რა უნდა გაგაგორო, პალანკერაა ეგ ქალი რა, ეგ ევფროსინა მარიატუ და სულაც მე არ გაგაცანი შარშანო?.. და ვეღარ გავიგე, რანაირად ლაპარაკობ, მე ვარ კაჩაკო[11] თუ შენო?

მეთქი, აი, მართლა და მართლა შენი ბოგოტელი კაჩაკო სისხლი გაშრა შენი... მე კაჩაკო კი არა, კავკასიელი მთიელი გახლავარ, წამოსული აქეთ ბედის უკუღმართობით, თორემ იქ ახლა ჩემი ფინკები[12] და საკუთარი ვენახები უნდა მქონდეს უკვე და სამი-ოთხი შვილს ვუვლიდე კაი მაგარ ცოლთან ერთად.

ორი ვარიანტიაო და იქ რომ ჩავალთ, მერე ავარჩევთო. იახტაზე ეწყობა დიდი სექს-ტური, უიკენდზე და გასვლა კუნძულ როსარიოზე. ბილეთის ფასი ხუთი ათასი დოლარი, ანუ 15 მილიონი პესო დაახლოებით. ოცდაათი კაცი ვიქნებით და სამოცი გოგო. კაცზე ორი ქალი დღეში და სხვა დღეებში ქალების შეცვლითო.

და მეთქი, აი, ხო გეუბნები, რომ სრული ბედნიერებისთვის ზუსტად სამოცი ქალის ჟიმაობა მაკლდა აქამდე რა! ბიჯო, მაინცდამაინც კარტახენელი ქალის ძუძუებზე უნდა ისაუზმოს ვიღაცა დედაარღნიანმა გრინგომ თუ კაჩაკომ თუ პაისამ? ისე სუფრაზე ვერა?

რეებს არაკუნებ, რაის არღანიო, მაგ ამბავში ასორმოცდაათი ათასი დოლარის შემოსავალია სრული და კოლუმბიაში პროსტიტუცია ლეგალიზებულია, რას ერჩიო?!

მეთქი, არ მინდა რა, ბიჯო, ეგ ბაკქანალია, ხომ ვიცი, გული უნდა მერეოდეს მერე სულ!..

და კარგი მაშინ, ეგ სამოცქალიანი იახტა არა, და, მოდი, მე და შენ კიდევ რამე უფრო პატარა იახტით გავიდეთ ბორა ბორას კუნძულისკენ, თითოზე სამ-სამი ქალით, უფრო მაგარი იქნებაო. და ჯანდაბას შენი თავი, ქალების შენაცვლება არ იყოსო.

მეთქი, აი, მართლა ვერა ხარ, ბიჯო, რა... და ბოლო-ბოლო, ისევ ის ბარის მცველი ბალთაზარი გამოგყვება, მე კიდევ ქალაქში გავივლი ჩუმად, სანამ იმ პალენკერა გამაგორებდეს...

და წამოვედით.

სულ ნისლში იყო ჩაძირული მედეჯინის ზემოთ მდებარე ტყეები. მივუახლოვდით რვა კილომეტრიან გვირაბს, სახელად El túnel de Oriente, გადავიხადეთ გავლის ღირებულება, 93 300 პესო და ეს რომ დამთავრდა, მერე ბევრი აღარ გვივლია, მალევე გამოჩნდა პატარა ქალაქი რიო ნეგრო, სადაც არის ხოსე მარია კორდობას საერთშორისო აეროპორტი და მთელ რვამილიონიან მედეჯინის აგლომერაციას ემსახურება, რაკიღა თავად მედეჯინში კი სამ მილიონამდე მცხოვრებია, მაგრამ კიდევ სხვა ცხრა ქალაქს აერთიანებს და იმათიანად რვა მილიონზე ცოტა მეტი გამოდის. დაახლოებით სამი საქართველოსხელაა მოსახლეობით.

რიო ნეგროს შესასვლელშივე არის სამსახური, რომელშიც შეიძლება მანქანის დატოვება რამდენი დღითაც გინდა. გააჩერებ მანქანას, გამოგიწერენ ტალონს, ზედაც სავიზიტო ბარათს მოგცემენ, მერე

თავისივე სამარშრუტოთი მიგიყვანენ აეროპორტამდე. უკან რომ ჩამოფრინდები, ჩაიხედავ იმათ სავიზიტო ბარათში, ნახავ მობილის ნომერს, დარეკავ, მოვლენ აეროპორტში და მიგიყვანენ თავიანთი პარკინგის ტერიტორიამდე, სადაც შენი მანქანა გიცდის.

პირდაპირ აეროპორტში რომ დააპარკინგო მანქანა, ერთი საათი ღირს ოცი ათასი პესო და აქ, ამ სამსახურში რომ დატოვებ, მთელი დღე ღირს მაგდენი. შეღავათია მაინც დიდი და მეთქი — ¡Qué chévere!

მაკარიო ანხელ ეჩევერია

შარშანაც ტაქსისტმა ემელიანომ იჩალიჩა ყველაფერზე: იშოვა იახტა, სამი გამოცდილი გოგო, ოღონდ მოზარდებს ჰგავდნენ, კაი დუნდრუცები და, რაც მთავარია, დიდი ტრაკებით ყველა, პლაჟი ელლაგიტო — ბოკაგრანდეს სულ ბოლოში, ზღვისკენ და იქაც ოთახები საქირაოდ, აგრეთვე ის ოჯახი, შეკვეთით რომ მოჰქონდა: საჭმელი ჩანთებით, ლუდი კალათებით, რომი გრაფინებით და ტუსი და კოკაინი კიდევ პარკებით...

ყველაფერი ფეისბუქზე გაირკვა: ფასი გინდა, ქალები თუ მთელი გეგმა.

ემელიანომ, ისევე, როგორც ბევრმა სხვა ტაქსისტმა კარტახენადან — ყოველთვის იცის თავისი კლიენტის ჩამოფრენის დრო და რაფაელ ნუნიესის საერთაშორისო აეროპორტში ელოდება. მერე წაიყვანს წინდაწინ მოძებნილ რომელიმე ოტელში, სადაც ჯერ ქალების ფოტოებს ნახავს კლიენტი ამოსარჩევად, მოილაპარაკებენ შეხვედრის დროზე — ერთი დღე იქნება, ერთი საღამო თუ სრული უიკენდი, პარასკევ საღამოდან ორშაბათ დილამდე...

ბაკანო — ¡Qué chévere!

ჩვენი კარტახენური სასტუმროს აივნიდან გწერ ახლა ამას, ჩიკო და, ნეტავ, თბილისში რა ხდება ამ შუა დეკემბერში, ალბათ, როგორი დაჯღანული ამინდია ისევ, და აქ კი ჯერ ხომ დილაა და კაი სიცხეა უკვე, ამიგო.

ჩემი სასტუმროს მარცხნიდან, სულ თეთრებში ჩაცმულმა შავმა პერსონამ მარჯვნივ ჩამომდგარ ორ მობილიან კაცს და აქეთ-იქიდან, სახლის შესასვლელ საფეხურებზე ჩამომჯდარ ვიღაცებს გადმოსძახა მჭახედ — მიიი-გეეეე-ლ!

ამათგან შუათანამ, ვისაც აგუადენოს სომბრერო13 ცერად ეხურა თავზე, უპასუხა — ჰოლლლა�ა!

¿Quiubo m’ijo?[14]

muy bien, ¿y tú?[15]

და მოკლე-მოკლედ მიანიშნეს ერთიმეორეს რაღაც-რაღაცები, რაც მარტო თავად იციან.

— იწყებ?

— ჯერ არა. შენ?

— დავიწყე უკვე...

— გადიხარ სადმე?

— არა, აქა ვარ.

— კარგი. გნახავ მერე.

— ხდება რამე?

— ემელიანო...

— ისევ?

— Malparido[16]...

რამე-რუმეების გასაყიდი ურიკით, რომელზეც ნაქსოვი ჩანთები და სვეტებად დაწყობილი კაცის და ქალის სომბრეროებია, გამოიარა სულ თეთრებში ჩაცმულმა შავმა ქალმა, თავზეც თეთრი ქუდით და ამ ბოლო სიტყვის გაგონებაზე მთლიანად გამოაჩინა თეთრი კბილები...

ევფროსინა მარიატუ როგაიო ნკოსი

პოპას გორაკზე რომ ახვალ, სადაც სანტა კრუსის დედათა მონასტერია და თვალს მოავლებ მთელ ქალაქს, გულსაც უხარია და სულსაც. მერე შორს, ჰორიზონტისკენ დაინახავ ფაველას, ღარიბთა დასახლებებს და იქიდან ვარ მე. მამაჩემი „რძეზე წავიდა“[17], დედა ადრე მომიკვდა და სანტა კრუსის მონასტერში მოვხვდი, მანდ ვიზრდებოდი. პალენკერო[18] დედამ მასწავლა, ესპანური ხომ ისედაც ვიცოდი და მონასტერში კიდევ ცოტა ინგლისური და ქსოვა შევისწავლე...

დედაჩემი კარტახენას სამხრეთ-აღმოსავლეთით რომ დე მარიას მთებია, იქიდან ჩამოვიდა კარტახენაში. იქაა ჩემი პაპაბებიის სოფელი პალენკე დე სან ბაზილიო. Palenque კრეოლურად ნიშნავს „კედლებიან ქალაქს“ და ეს ჩემი სოფელი მეჩვიდმეტე საუკუნეში დააარსეს გაქცეულმა მონებმა და ეს ჩვენი კრეოლური ენაც, პალენკერო სწორედ მაშინ გამოიგონეს...

აბა, რა გეგონათ, bastardos, სულ მონებად გეყოლებოდით?

მერე ჩვენი მონასტრის მოძღვარს, დედა ისაბელას, ვთხოვე და იმისი ლოცვაკურთხევით კარტახენას უნივერსიტეტში ჩავაბარე სამსახიობოზე, რადგან კარგად ვცეკვავდი და, სულ მონასტრის დედებს ხომ არ ვთხოვდი მოწყალებას, თავის რჩენასაც ჩემით ვცდილობდი.

მოკლედ, ვერცხლი მჭირდებოდა, საკმაოდ ბევრი. იმით, რასაც მიხდიდნენ რესტორანში ჭურჭლის მრეცხავად ან მიმტანად მუშაობისას, თავს ვერ გავიტანდი.

ერთხელ ვიღაცა დამელაპარაკა ფეისბუქზე — ძალიან საყვარელი ხარ, მორცხვი გოგონას სახე გაქვს და გინდა, ერთ მაგარ ბიზნესში ჩაგრთო, კაი ვერცხლი გაშოვნინოო?

კი-მეთქი.

მოდი, მაშინ ვიმუშაოთ წინასწარი დაჯავშნით გრინგოებთან, კაჩაკოებთან და პაისას ხალხთანო.

პირველად ვიღაცა el bastardo გრინგოს გამაყოლეს კომპანიონად, იახტაზე ორი საათით გასეირნებით, რაშიც ჩემმა გამქირავებელმა ალალად ჩამახუტა ექვსასი ათასი პესო და, მეთქი — ეს კარგი ვერცხლია უკვე, თქვენი დედაც... — და ასე დავინტერესდი...

ბაკანო — ¡Qué chévere!

მედეჯინის აეროპორტში ჩვეულებრივ გავიარეთ კონტროლი. ისევ ტანსაცმლის გახსნით, ქუდის და ქამრის კალათაში ჩადებით, წელის სარტყელი ქამრისაც და საათისაც.

მერე მეხუთე გეითიდან იყო გაფრენა, სანამ ჩვენი დრო მოვიდოდა, მაკარიომ ხუან ვალდესის კაფეების ქსელის ყავა აიღო ქაღალდის ჭიქებით და თითო ყველის ღვეზელით. ყავა მთელ კოლუმბიაში ფანტასტიკურია, მით უმეტეს, ხუან ვალდესის. ათი ქულით შეფასდა ათბალიანი სისტემით. ხოლო ღვეზელმა მიიღო ხუთ-ნახევარი ქულა...

გამოვფრინდით.

კარტახენას რომ ვუახლოვდებოდით, ნისლი აღარ იყო და ლურჯად ამოსულ სილაჟვარდეში, სულ ქვემოთ კარიბის ზღვის სანაპირო ზოლი ჩანდა, ნავმისადგომის პირსები, თავისი იახტებით და შორს გემებიც იდგა რეიდზე. ილუმინატორიდან ჩანდა ფერად-ფერადი სახლები და ქუჩები, ნაირ-ნაირი მანქანებით...

და ჩიკო, ხო აზრზე ხარ, ზემოდან რო დაჰყურებ ამ კარტახენას, ეგრევე გახსენდება — *„დგება თეთრი დღეები, / რიდეების სეზონი; / გაჩნდნენ ორქიდეები / ყოველად უმიზეზონი. / ლაჟვარდების კიდეო, / დაბურულო ზმანებით, / ლურჯო მონტევიდეო, / ვიწრო ხელთათმანებით; / სულში ნისლის ტბებია / და ქაოსის მხატვარი, / სადაც ვეღარ თბებიან / ფრთები ნამკათათვარი.“* და მეთქი — საიდან სად მოარტყა, რა მაგარია ეს ჩვენი გალა, მომეღრუბლა სული და ლამის ავტირდე, ამის დედაც რა... იცი, რატომაც... მერე მოიწერე, ჩიკო, აბა, ის ჩემი ყოფილი ზურმუხტის ქალი როგორ არის, ქმარი ხომ არ აბრაზებს და შვილები თუ ეყოლა უკვე...

ჩვენი თვითმფრინავი რომ დაჯდა კარტახენას აეროპორტში, მგზავრების დარბაზს კი არ მიადგა, როგორც სხვა აეროპორტებშია, არამედ მოშორებით გაჩერდა, მერე ჩამოსასვლელი კიბე მოაყენეს. სავარძლების ზემოთ, ბაგაჟის ადგილიდან ჩემი გორგოლაჭებიანი ჩემოდანი და მაკარიოს ზურგჩანთა ჩამოვიღე და გამოვყევით სხვა მგზავრებს, ჩამოვედით კიბეზე და აეროპორტის შესასვლელის ჩრდილში გავჩერდით ჯერ.

იყურება ეს მაკარიო, გაფაციცებით ათვალიერებს იქაურობას, ჯერ გარეთ, მერე აეროპორტის დარბაზში დამხვედრებს.

მეთქი, აბა, სად არის ის შენი ტაქსის კაცი ემელიანო?

არ არისო — იჩეჩავს მხრებს — ეგ Güevón-ი ეგო.

აქაურ ჟარგონზე ამბობენ მაგ სიტყვას, ადრეც მოგწერე და ხო ხვდები, ჩიკო, რომ — Güevón-ი, ანუ, ეგ გაიძვერა და არარაობაო.

ვაჰ, მართლა-მეთქი? — გამეცინა.

ისედაც რაღაცა ვერ ვიყავი კარგად თვითმფრინავშივე, მარცხენა ყური მტკიოდა და ახლა ყბაც დაემატაო — გაფითრებული მაკარიო ამბობს.

აბა, სასწრაფოდ, ჩემი ჩანთა მოვქექე, „ნიმესილი“ გავაძრე ეგრევე და მეთქი — აჰა, ეს დაჰკარი და ნუ გეშინია, შეჩემა, არ მოვკვდები. აქ სხვა ამინდში მოხვედი, ცხელა და ცოტა ვერა ხარ მაგიტომ და, ნუ გეშინია, გაგივლის.

შევედით შიგნით და დარბაზის ტუალეტებთან დასასვენებელი მერხი იყო, იქ ჩამოჯდა. გავვარდი, დასალევი წყალი მოვუტანე ნახევარლიტრიანზე პატარა ბოთლით, მაკარიომაც ზოგი დალია, ზოგი სახეზე მიისხა და ჩივის — აი, ეს ერთი წერტილი საფეთქელთან, მარცხნივ, აქ მტკივაო.

მეთქი — დაიცა, მანდ იჯექი, ბიჯო, და აზრზე მოხვალ და რაღაცა რვა მილიონი გადმოურიცხე მაგ ემელიანოს, ორი კაცისა, სულ ათას ექვსასი დოლარია, ბოლო-ბოლო და ერთი მაგ ვერცხლის დედაც რა.

რა რვა მილიონი, მანო, რა რვაო?! გინდა, რომ საბოლოოდ მომკლაო?!

აბა, რამდენი-მეთქი, შეჩემა?

ოთხიო!

და ამიტყდა სიცილი — აი, შენი ძუნწი კაჩაკო სისხლი გაშრა შენი და აბა, მითხარი, რვაას დოლარზე თავს როგორ იკლავ, ბიჯო, ათი მაგდენი გაქვს ყოველთვე შემოსავალი და მეტიც...

მოკლედ, აეროპორტის დარბაზის მოსაცდელ სკამზე ვისხედით კაი ხანი, მაკარიო კიდევ მობილზე ურეკავდა ნაცნობებს, იმ თავისი სასაცილო კაჩაკოური აქცენტით გაჰყვიროდა — მაგან არ იცის, ვინ გადაიკიდა, მე მაგას დედას და დეიდებს ავუცრემლებ ძალიან მალეო — და ბოლოს ავდექით, ავიღეთ ბარგი და კაჩაკოურად გაავებული მაკარიო წამიძღვა გასასვლელისკენ.

მალე გავაჩერე ყვითელი ტაქსი, მისამართის თქმაც მე მომიწია და, ჩაჯდომისას — „ბუენოს დიას!“ — და გადმოსვლისას — „მუჩას გრასიას!“ ტაქსისტისთვის. მაკარიო მრისხანედ დუმდა მთელი გზა.

ასე მოვედით ამ კაჯე დელ კოლეგიომდე, სასტუმრო „კოლეგიო ჰაუსში“.

და ჩიკო, დაწვრილებით მომიყევი, როგორი სასტუმროა ეგო, რომ მთხოვ, ბიჯო, რომელი მწერალი მე ვარ, შეჩემა?..

კაი, აჰა, მაინც: ქუჩიდან რომ შემოდიხარ, ჯერ პირველი სართულის კიბემდე უნდა გაიარო ხუთიოდე მეტრი, მერე ადიხარ კიბით მეორე სართულზე და იქ ორი ნომერია, სამ-ოთხ კაციანია თითო და შუაში არის დიდი დარბაზი, კონუსურად გადახურული ჭერით, რომლის კოჭები და ფიცრები მუქადაა შეღებილი.

დარბაზის ერთ განაკიდის კედელზე დგას კარადების გრძელი რიგი, რომლის თავზე არის გაზქურა, წყლის ონკანი და ნიჟარა, ელექტრო-ღუმელი, თეფშები და სხვა ჯამ-ჭურჭელი. დაბლა, კარადებში არის ნაგვის ორი ვედრო, ორი პატარა მაცივარი და ქვაბების და ტაფების სათავსოები.

მერე მოდის გრძელი მაგიდა, შუაში ხილის ვაზით, ზედ — ანანასი, ვაშლები, მანდარინები — და ათი სკამი აქვს შემოდგმული. იქით არის ათივე კაცისთვის დაბალი მაგიდა, ორი გრძელი მერხი და ორიც დაწნული სავარძელი, დასაჯდომი ბალიშებით და დარბაზის მეორე განაკიდის კედელზე, გრძელი თაროს ზემოთ დიდი, ორმეტრიანი ტელევიზორია.

ამ დიდი დარბაზიდან ხის რიკულებიან, მოჩუქურთმებულ აივანზე გადის სამი კარი, მინებით მთელ სიგრძეზე. ეს სამი კარი გარედან იკეტება ძველებური დარაბებით და ის დარაბები მერე შიგნიდან უნდა ჩაკეტო რკინის რაზებით.

აივნის რიკულები სულ მწვანე ხვიარებშია ჩაფლული.

ამ ჩემს ნომერში კიდევ კარადაა ჩატანებული კედელში. ორკაციანი საწოლია ერთი და მეორე ერთკაციანი.

კედლის თახჩებში არის წიგნების კარადის ორი თანრიგი და ესპანური წიგნები.

მოკლედ, ისეთი სახლია, ცოტა ელეთ-მელეთი მოგდის, რომ ვაითუ ეგრევე ვიღაცა ესპანელი კონკისტადორები გაიჩითონ, პარიკებითა და დაშნებით, და ამათ უცებვე მოქისტავენ, ადგილობრივად გააფართხალებენ და საბოლოოდ გადარჩენილებს ტყვედ აიყვანენ კარიბის ზღვის მეკობრეები, სერ ფრენსის დრეიკის თუ სერ ედუარდ ვერნონის მეთაურობით...

დავბინავდით, გამოვიცვალეთ და ეგრევე Tienda Café Sabor de Montaña არის აქვე და მანდ შევედით. ესაა მაღაზია-კაფე „მთის გემო“. გემრიელი ყავითა და სახლში ნაკეთები კერძებით. ძალიანაც მაგარი, უნიკალურად გაფორმებული კაფეა, სამართლიანი ფასებით. მშვენიერი ადგილია დასაჯდომად, Wi-Fi არის, მიმტანი ბიანკას ღიმილია კიდევ, ყავა და წვენები მშვენიერი. დახლში ჩამდგარი მარიოც თავაზიანი ვინმეა და გასაფრთხილებელს თავის დროზე გაგაფრთხილებს, ოღონდ არ უნდა დაგავიწყდეს, რომ „მუჩას გრასიასები“ ჩაუწერო სტუმრების წიგნში.

სანამ იქ წვენებს დავლევდით, ეს მაკარიო დაეტაკა ორივეს — ემელიანო ხომ არ იცით, ტაქსისტი ემელიანო სად არისო? და იმათაც — გუშინ აქ იყო და დღეს არ შემოსულაო.

წამოვედით იქიდან, ვიარეთ მთელ ქალაქში. სიმონ ბოლივარის სკვერი გინდა, მშვიდობის თუ კარეტების მოედნები თუ სან ფელიპე დე ბარახას ციხე-სიმაგრის შემოგარენი და ლამის ყველა სკვერი თუ ქუჩა ძველ ქალაქში, ზედაც გეთსემანის მთელი უბანი, თავისი გარე მოვაჭრეებიანად, სულ მოვიარეთ — გადატენილია მაგათით მთელი ქალაქი და არავის ენახა დღეს ემელიანო...

მერე შინ დავბრუნდით, დავიძინეთ ერთი საათით და საღამოს გავედით კიდევ ძველ ქალაქში.

→

მიხო მოსულიშვილი

მაპალე კარტახენა დე ინდიასში

ჯერ მივედით აქაური თეატრის Heredia-ს გვერდით მდებარე კარტახენას უნივერსიტეტის ფილიალის ჭიშკართან, რომლის შიგნით არის ეზო, იმის შუაგულში არის დასაფლავებული გაბრიელ გარსია მარკესის ფერფლი, რომელიც აქ გადმოასვენეს მეხიკოდან 2016 წელს. ეს მოხდა მარკესის უძალიანმაგრესი მეუღლის, მერსედეს ბარკას სურვილით. ეზოს შუაში, იმ ფერფლის ურნაზე მარმარილოს კოლონაა და ზედ დგას მარკესის ბიუსტი.

მთელ ეზოს კედლებზე გარს უვლის მარკესის ცხოვრების ამსახველი ექსპოზიცია, ფოტოებითა და წარწერებით და შემოვუარე სრულად.

მერე მაკარიომ ხელი ჩაიქნია — ერთი ამ ემელიანოს დედაც, უკვე დაღამდება სადაცაა, გვეყოფა ძებნა და წამო, კარიბის ზღვაზე მზის ჩასვლა უნდა ვნახოთ, დროზეო.

და მეთქი — ეგრე რა, შეჩემა... მაგრამ ჯერ დაიცა, ერთი წიგნი უნდა ვიყიდო.

შევვარდი იქვე, წიგნის მაღაზიაში და ვიყიდე მარკესის „მარტოობის ასი წელიწადი“ ესპანურად-მეთქი, ხარჯი ხარჯია და ბარემ ენასაც უკეთ ვისწავლი... წიგნი ღირდა ორმოცი ათასი პესო, ათასი პესო დაჭირდა წიგნის ჩასადებ ცელოფანს და ორმოცდაათი ათასი პესოდან რომ ხურდა უნდა მოეცათ ცხრა ათასი, იმის გამორთმევა სიჩქარეში დამავიწყდა და უკვე კარიბის ზღვის გაყოლებით კედელზე ასულებს და იქ სურათების გადამღებებს წამოგვადგა თავს იმ მაღაზიის გამყიდველი გოგო და მოგვიტანა ეს ფული — ხურდა დაგავიწყდათ, სენიორო... ესეც ძალიან მესიამოვნა და რა ბედნიერება იყო მზის წითლად ჩასვლა კარიბის ზღვაზე, მოცარტის რომელიღაც სიმფონიასავით, ეჰ...

მერე წამოვედით, კიდევ კაი ხანი ვიხეტიალეთ ძველ ქალაქში და ბოლოს, კაი გვიანი იქნებოდა უკვე, მაკარიომ ეგრევე მობილი გააძრო და გუგლის რუკით გავედით ჯერ კაჯე 36-ში მდებარე La Cavva-ში — ესაა მაღაზია სიგარებით, სასმელებითა და ყავით ხოლმე. აქ ვიყიდეთ სიგარები და მაღაზიის გამყიდველმა გოგომ დაგვალევინა ოცდახუთი წლის რომი — Dictador. ეს რომი მხოლოდ კარტახენაშია და ძალიან ძვირფასი სასმელია. პატარა სირჩებით მოგვიტანეს.

მე ვადღეგრძელე ის მაღაზია, სირჩა მივუჭახუნე მაკარიოს და სულ „მუჩას გრასიას“ მიძახეს მერე მეპატრონე დონ ჩუჩო პერესმა და იმისმა აფროკოლუმბიელმა მეგობარმა, გაყინული თვალებით, სერხიო ბენკოს ალზანტემ, ეგ ხომ შარშან გავიცანი კარგად... უკვე მოყოლილი მაქვს ეგ ამბავი, ჩიკო...

პატარა მაგიდას უსხდნენ, სიგარებსა და რომს შეექცეოდნენ ისინიც.

და მაკარიოს ვუთხარი, მეთქი — ახლა ამათაც ემელიანოზე გამოკითხვა არ დაუწყო, ბიჯო, ხო ხედავ, თავის დილიხორში არიან...

და მაკარიომაც არ დამიჯერა, ჯერ მაინც კაჩაკოური თავაზიანობა დაიცვა, დონ ჩუჩო პერესი გამაცნო და მერე სწორედ ამათ შეეკითხა ტაქსისტ ემელიანოზე, მაგრამ არც ამათ იცოდნენ არაფერი...

ამის მერე ბევრი ვიარეთ ღამის კარტახენაში, რომელიც ათასის ერთი ოხერტიალითაა სავსე და ეტლითაც ვისეირნეთ ერთი საათი ორასი ათას პესოდ და იმ ეტლზე ხელებჩავლებულ ქუჩის რეპერებსაც მანამდე ვუსმინეთ, სანამ თავი არ მოგვაბეზრეს და ოცი ათასი პესოც არ მივაშავე, თორემ ამ მაკარიოს ხომ ჯიბეებში გველები უზის სულ და ხელის ჩაყოფა არ უნდა ხოლმე.

ამ დილას გავხსენი სიგარების კოლოფი და ამას ჰქვია La Cava Del Puro Seleccion — ასორმოცდაათი ათას პესოდაა — ესაა საშუალო სიმაგრის, ძალიან არომატული სიგარა, ნახევარი მოვწიე ამ დილით სასტუმროს აივანზე, მეორე ნახევარი მაკარიოს დავუტოვე.

ჰო, არ დამავიწყდეს, მაკარიომ მითხრა, რესტორან „პალენკეროში“ წავიდეთო და — ჯერ ვერა-მეთქი, მოდი, სადმე სხვაგან — და ვიყავით ბარ-რესტორან „ორიგინეს“-ში, ესტანკო დელ აგუარდიენტეს ქუჩაზე, ხის გრძელი მაგიდებია დარბაზში, სავარძლებით. ძალიან მაგარი ადგილია. კედლის ტელევიზორში კარიბული მუსიკა გადიოდა. კედელზე იყო თორმეტზე გაჩერებული საათი. მიმტანიც მალე მოვიდა და კალმახი შევუკვეთეთ, ქოქოსის ბრინჯის მისატანებლით და Areppa de huevo — კვერცხიანი სიმინდის კვერი კარტახენურად. მე Club Colombia-ს ორი ბოთლი ლუდი ჩავურტყი, თავისი სამი ჭიქა რომის ჩაფენით, მაკარიომ კიდევ, მაინც ალაოდ იყო ისევ და იერბაბუენას ლიმონათი სვა გაჭყეპამდე. ეს Yerba buena პიტნასავით მცენარეა აქ და მაგარ ლიმონათს აკეთებენ იმისგან.

ევფროსინა მარიატუ როგაიო ნკოსი

ოცი წლის წინ სჯობდა, el bastardos, სადაც გინდოდა, იქ დადგებოდი და იმუშავებდი, ზოგიერთ პოლიციელს არ შეაწუხებდი. არც ამდენი კონკურენცია იყო, როგორც ახლაა. თან როგორი კონკურენციაა უკვე, იცი? ქალი შეიარაღებულია, ბევრ კაი გოგოს ხომ ქირურგიაც ეხმარება. ადრე ჩვენ ბუნებრივები ვიყავით.

მართალია, კარტახენას უნივერსიტეტი ველარ დავამთვრე, მაგრამ ცხოვრებას მაინც არ ემდურის ევფროსინა მარიატუ...

უკვე ასაკში რომ შევედი, მივხვდი, კომპანიონობას ველარ გავქაჩავდი, რამე სხვა საქმე უნდა მომეძებნა. ჩემი დანაზოგით ნაყიდი ერთი ძველი და მოფამფალებული ქოხი მქონდა ბოკაგრანდეს განაპირას, სადაც ახლა სასტუმრო „კონკისტადორია“, და ამ ჩამორიგებაზე ჯოკერი მომცა ცხოვრებამ, სწორედ მაგ სასტუმროს ხალხმა იყიდა ჩემგან ის ქოხი კაი ფასად, მაგრამ მარტო ის ვერცხლი რას ეყოფოდა და ამიტომ „შავი ქვრივის“ დისშვილი, სენიორა ანტონია შემოვიდა წილში, ისტორიულ ცენტრში ეს სახლი ვიყიდე, შევაკეთე და აი, ეგრე გაჩნდა ამქვეყნად ჩემი საკუთარი ბარ-რესტორანი „პალენკერა!“

აბა, რა გეგონათ, el bastardos, რაკი აფრიკიდან წამოგვასხით ცხვრის ფარასავით და მონებად გაგვყიდეთ, სულ უბედურებითა და გაჭირვებით უნდა გვეცხოვრა?

ოღონდ ეს რესტორანი რომ მთლიანად გამოვისყიდო, მარტო ამისი შემოსავალი რას მეყოფა, სენიორა ანტონიას ერთი თვის გადასახადს ვერ გასწვდება.

ამიტომ, რას ვაკეთებ, bastardos, რას და — მე ხომ ისევ მაქვს მთელი ის კონტაქტები, ძველი ბიზნესიდან და, რაღა დაგიმალოთ, საქმის მიმცემი ვარ, პოლიციელები კი სუტენიორებს გვეძახიან თავიანთ გრძელგრძელ ოქმებში, და სწორედ მაგ ოქმებს იმის მერე დაახვევენ და ერთ ადგილზე გაიკვეხებენ ხოლმე, რაც კაი ვერცხლი შეუვა ჩვენგან მაგათ უფროსს, აქ იმის გვარს არ ვახსენებ...

მოკლედ, ორმოცდარაღაცა წლის სუტენიორი ვარ და ბოკაგრანდეს პლაჟზე ანდა ნებისმიერ პლაჟზე, როსარიოს თუ სხვა კუნძულების ჩათვლით, სადაც იქნებიან გრინგოები თუ კაჩაკოები და პაისები, ვსაქმიანობ.

არიან ვიღაც-ვიღაც ტაქსისტები, სხვადასხვა ოტელის თანამშრომლები და დამირეკავენ ხოლმე მობილზე, რომ კომპანიონი ვუპოვო. მერე მე გოგოებს ვურეკავ, ვთავაზობ კარგ ბიზნესს, რომ კლიენტს თან ახლდეს ორი-სამი საათი, ანუ, ის რაღაცა თავისებური ექსკურსიამძღოლობა გაუწიოს...

როგორ და, ვიღაცა ჩამოსული, გრინგო იქნება, კაჩაკო თუ პაისა, აპირებს ორი-სამი დღე დარჩეს კარტახენაში და უნდა, რომ გოგომ დაათვალიერებინოს ქალაქი, მუზეუმებში წავიდნენ, მაღაზიებშიც შეიარონ და იცეკვონ კიდეც დისკოთეკაზე.

სექსზე კიდევ რა გითხრა, el bastardo, თავად იციან, მე არ ვაიძულებ ქალებს, რომ კლიენტთან დაწვნენ...

და დღეს, სიესტას მერე ახალი ამბავი შემოვიდა, ჩემმა სიკარიომ სერხიო ბენკოს ალზანტემ მითხრა, რომ სენიორა ანტონიას ხალხი, ის კაჩაკო მაკარიო და იმისი ძმაკაცი ბაკანო — ¡Qué chévere! იყვნენ გუშინ დონ ჩუჩოსთანო.

და მეთქი, სენიორა ანტონიას ამ თვის ფული უკვე გადავურიცხე და ნეტავ, რაზე არიან ჩამოსული?!

და თურმე, ტაქსისტ ემელიანოს ეძებენ და არ იციან, რომ ეგ მაგათი ტაქსისტი ემელიანო წუხანდლიდან სანაპიროს ქუჩის ერთ-ერთ ლამპიონზე ჰკიდია, ზედ შავ-შავი გრაკლები დასაკორტნად ასხდებიან და კარიბის ზღვის ქარი აქანავებს...

ეს ემელიანო იყო ვიწრო სპეციალობის სუტენიორი. დადიოდა ახლო-მახლო თუ შორეულ სოფლებში და პატარა გოგოები მოჰყავდა რამდენიმე მილიონ პესოდ. აგე, გაღმა რომ მაგარი კორპუსებია, ზღვის პირას, ეგაა ბოკაგრანდე და მაგის პლაჟზე, სადაც ბევრი გრინგოები და ესპანელები არიან ხოლმე, მანდ ჰყიდდა ამ ჩამოყვანილ გოგოებს. ჰოდა, ამ დროს გადააჭარბა და ზღო კიდეც, როგორც ხდება ხოლმე...

და თქვენ კიდევ, მედეჯინელო bastardos, გამოდის, რომ ქალები მოგინდათ და ემელიანომ გადაგაგდოთ, არა?!

ოჰ, თქვენი ყველაფერი, თქვე მართლა Malparidos!..

განსაკუთრებით კიდევ შენ, საიდანღაც ჩამოთრეულო, ძაღლისშვილო — კაჩაკო არა ხარ, პაისა არა ხარ, გრინგოც არა ხარ თითქოს და ვიღაცა ოხერი el bastardo ხარ, წარა-მარა „კე ჩევერეს“ რომ გაიძახი და არა უშავს, მაინც კარგად ისწავლე მაპალეს ცეკვა...

როგორ დამეკარგე მთელი ერთი წელი...

როგორ ამირიე თავგზა და ეს აწყობილი ცხოვრება...

რამდენჯერ ჩუმად ჩამოვფრინდი მედეჯინში, შორიდან მაინც რომ მომეკრა შენთვის თვალი და რამდენი საქმე გამიფუჭდა მაგიტომ...

და ახლა ქალი მოგინდა და მე კიდევ — მემალები, არა?!

შე მართლა el bastardo შენ...

და ავტირდი...

---

[1] El bastardo — ესპ. უქორწინოდ დაბადებული, ნაბიჭვარი.

[2] კაჯე — ესპ. Calle, ქუჩა.

[3] ბაკანო — ესპ. Bacano / Chévere კოლუმბიური სლენგი, Bacano — „მაგარია“, ითქმის ადამიანზეც, ხოლო ¡Qué chévere! — „რა მაგარია!“, — ადამიანის გარდა, ითქმის ყველაფერზე.

[4] კოლუმბიელები „გრინგოს“ ეძახიან ამერიკელებსაც და, ზოგადად, ყველა თეთრკანიანს, ვინც ლათინური ამერიკიდან არაა.

[5] Deha ma ombre komponé bo pekao — პალენკეროზე: „მოდი, მაგ კაცმა თევზი მოგიმზადოს“.

[6] Nu obbirá poné bulo mbosá — პალენკეროზე: „ვირის შეკაზმვა არ დაგავიწყდეს“.

[7] Enu é mamá mí nu — პალენკეროზე: „თქვენ დედაჩემი არა ხართ“.

[8] მაპალე — El Mapalé — აფრო-კოლუმბიური სტილის ცეკვა, გამოგონილი გაქცეული მონების მიერ და წარმოადგენს მეთევზეებს მძიმე სამუშაო დღის შემდეგ. ამ ცეკვის სახელი „მაპალე“ მომდინარეობს „მაპალე — ზღვის ლოქოს“ (Cathorops mapale) სახელწოდებიდან.

[9] ტუსი, ანუ ტუსიბი — კეტამინის, კოფეინის, ფენტანილის, კლოზეპამის და ექსტაზის ნაზავი, ვანილის სურნელით, შესასუნთქი. ვარდისფერი კოქტეილი, სინთეტიკური ნარკოტიკული ფხვნილი. ვისაც როგორ უნდა, ისე აკეთებს და ძალიან საშიშია. ტუსის სამშობლოა ქალაქი მედეჯინი და გრამი ღირს ათი დოლარის შესაბამისი კოლუმბიური პესო. მადრიდში და ევროპის სხვა ქალაქებში ერთი გრამი ტუსი ღირს ასი ევრო და „კოლუმბიური კოკაინი“ ჰქვია.

[10] მანო — შემოკლებული ვარიანტი ესპანური სიტყვისა Hermano — ძმა.

[11] კაჩაკო — ტერმინი cachaco ბოგოტაში გამოიყენება იმ ინტელექტუალების თაობის აღსანიშნავად, რომლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის დედაქალაქური კულტურისა და მოდის გავლენით და რომელიც დროთა განმავლობაში გაქრა. კაჩაკოები ჩაკეტილ ფენას ქმნიდნენ, გამოირჩეოდნენ არა მხოლოდ თავიანთი ელეგანტური, მკაცრი ჩაცმულობითა და ქცევით, არამედ თავიანთი განსაკუთრებული დიქციითაც.

[12] ფინკები — ესპ. La finca — მამული.

[13] აგუადენოს სომბრერო — El sombrero aguadeño — შავლენტიანი და თეთრი შლაპა, რომელიც იქცა კოლუმბიის ერთ-ერთი რეგიონის, პაისას სიმბოლოდ. იქსოვება ხელით, აგუადასის მუნიციპალიტეტში, კალდასის დეპარტამენტში.

[14] ¿Quiubo m'ijo? — ესპ. „რა ხდება, ძმაო?“ — ეს გამოთქმა მისალმებად ითვლება კოლუმბიაში.

[15] muy bien, ¿y tú? — ესპ. „მე კარგად, შენ?“

[16] Malparido — კოლუმბიური სლენგია და „დროზე ადრე გაჩენილს“ ნიშნავს.

[17] „რძეზე წავიდა“ — კოლუმბიურად ეს გამოთქმა ნიშნავს იმას, რომ სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა.

[18] პალენკერო — Palenquero — კრეოლური ენა, შექმნილი ესპანურის საფუძველზე, შეიცავს ბანტუს ენების, კიკონგოს და კიმბუნდუს მძლავრ სუბსტრატს, ასევე პორტუგალიურ და სხვა ევროპული ენებიდან წამოსულ დამახინჯებულ სიტყვებს. ამ ენაზე ლაპარაკობენ პალენკე დე სან ბაზილიოში მცხოვრები აფრო-კოლუმბიელები.

დასასრული შემდეგ ნომერში



ანდრო ბუაჩიძე

აბსურდის პოეზია

შტრიხები და პარალელები

მოულოდნელი იდეა დამებადა და ვეცადე, პარალელი გამევლო ალბერ კამიუს „უცხოსა“ და შოთა ჩანტლაძის პოეზიას შორის.

შოთა ჩანტლაძეს არ აკლდა იუმორი და ირონია. მეც შეიძლება ერთგვარი ირონიული რაკურსი მოვიშველიო და ვთქვა: შოთა არის ავტორიტარული რეჟიმის ლირიკული მემატიანე. ასეთი რამ შესაძლებელია? როგორც ჩანს, შესაძლებელია, ოღონდ პოეტს თავისი ხედვის წერტილი უნდა ჰქონდეს და აქვს კიდეც. ამ ხედვის წერტილიდან გარემომცველი რეალობა ისეთ პრიზმაში გადატყდება, რომ საგნები და ადამიანები ამ რეალობისგან განსხვავებულ ფორმას იძენენ. გაუცხოებისა და სამყაროს აბსურდული აღქმისთვის, აბსურდის თეორიის თანახმად, ის ვითარებაა აუცილებელი, როცა ერთმანეთის პირისპირ ორი სხვადასხვა, ურთიერთსაწინააღმდეგო ფენომენი წარმოდგება: ერთი მხრივ, ადამიანი, რომელსაც სურს სამყაროს წვდომა და, მეორე მხრივ, ირაციონალური, აუხსნელი, მდუმარე, უცხო სამყარო. ყოველივე ეს ღმერთსმოკლებულ ყოფიერებაში ხდება.

არის ასეთი რამ შოთა ჩანტლაძის პოეზიაში? ვფიქრობ, რომ არის. გაუცხოების და აბსურდის საწყისი, ძირი სხვადასხვა გარემოში სხვადასხვაა, ზოგადი ნიშანი კი ნიჰილიზმია, პიროვნების ნიველირებაა. ნიველირებული ადამიანისთვის მიუღებელია ის სოციალური გარემო, სადაც კონკრეტულ დროში ცხოვრობს. აქ მისი თავისუფლება შეფერხებულია. შოთა ჩანტლაძე ცდილობს, გადალახოს ეს შეფერხება და თავისუფლებისკენ სწრაფვა საკუთარი შემოქმედებით გამოხატოს. აი, პოეტის ერთი თავისუფალი ლექსი:

შეევდი ბაღში, სკამში ჩავესვენე. ბაღში სიცხეა აუტანელი. მე ჭადრის ფართო ფოთლების ჩრდილი მადგას სხეულზე. აღსავსე ვარ სიცხით და სიზარმაცით.

რადიო მომიწოდებს შრომისკენ. მე მეღიმება და მეხუჭება თვალები. სიზმარში ვხედავ: ხელში მიჭირავს ბარი და ხან კვადრატული, ხან ბუდობრივი წესით ვთესავ კარტოფილს.

ალბათ კომენტარი ზედმეტია, მაგრამ მაინც ვიტყვი: რადიო — საბჭოთა ტოტალიტარული პროპაგანდის რუპორი, ადამიანს ბაღშიც არ აძლევს განმარტოების საშუალებას, რადიოს ხმა იჭრება არამარტო პოეტის ცნობიერებაში, არამედ მის ქვეცნობიერში, სიზმარშიც კი იბუდებს; იბუდებს იქ, სადაც უცხო სხეულის შეღწევა შეუძლებელია.

* * *

შოთა ჩანტლაძე, უპირველესად, მკაფიო პიროვნება იყო, ყველასგან განსხვავებული პიროვნება. ყოველი დროის საზოგადოებაში არსებობენ სერიული, გავრცელებული თუ მომრავლებული „მასის ადამიანები“, რომლებიც თავიანთი „მსოფლმხედველობის“ თარგზე ჭრიან რეალურ ვითარებას, ეთიკურ და ესთეტიკურ სინამდვილესაც. ესენი არიან ხელოვანი ან ინტელექტუალი სნობი კონფორმისტები, რომელთაც კომფორტული ცხოვრებაც სურთ და შემოქმედებითი ზეაღსვლაც. მათი სრული ანტიპოდი გახლდათ შოთა ჩანტლაძე ცხოვრების წესითაც და შემოქმედებითაც. ცხოვრების წესში, უპირველეს ყოვლისა, იმას ვგულისხმობ, რომ ეს იყო პოეტი, რომელმაც ლექსების გამოქვეყნებაზე უარი თქვა, არ გამოუქვეყნებია თავისი ნაწერები, რამაც ვერ შეზღუდა მისი შთაგონება, მისი შემოქმედებითი თვალსაწიერი. მან იცოდა, რომ ცენზორული აკრძალვის პირობებში მისივე მსოფლმხედველობრივი მხატვრული ტრანსფორმაცია ოფიციოზისთვის მისაღები ვერ იქნებოდა. მიუხედავად ამისა, აღრმავებდა და განაგრძობდა თავის არჩეულ გზას. ასეთი იყო პოეტის, როგორც თავისუფალი შემოქმედის ერთხელ გაკეთებული არჩევანი, ასეთი იყო მისი „მოწყენილობა“ — თვითმიგნებული გაუცხოების და აბსურდის სათავე. სამწუხაროდ, მისი ცხოვრება ნაადრევად დასრულდა, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მან შექმნა თავისი სამყარო, დახვეწილი ირონიით, კონკრეტული რეალობისადმი გაუცხოებით და აბსურდით განზავებული სამყარო...

* * *

შოთა ჩანტლაძის ლირიკული გმირი — ტრამვაი — გაუცხოების, აბსურდული ვითარების გამომხატველი არსებაა. პოეტი თავის ლექსებში „ჩემი მაგიდის წიგნი“ და „ტრამვაის“ სწორედ გაუცხოების და უფრო მეტიც, აბსურდის ვითარებას ქმნის. ტრამვაი, ერთი მხრივ, ფანტასტიკური, მექანიკური არსებაა და მეორე მხრივ, ემპირიული სოციალური რეალობისადმი გაუცხოებული სუბიექტი. ის პერსონიფიცირებული სახეა, სიმბოლოა იმ ადამიანისა, რომელიც ნიველირებულია, უფლებაშეზღუდულია, იდეოლოგიურ სტერეოტიპშია „ჩაჭედილი“. ტრამვაი მხოლოდ ერთი მიმართულებით მოძრაობს, ან ერთ წრეზე ბრუნავს და გვერდით გახედვა ეკრძალება. მას სურს, გაარღვიოს მჭიდრო წრე, მაგრამ ეს არ ძალუძს. მისი არსებობის წესი და ხასიათი იმთავითვე განსაზღვრულია. ტრამვაი, როგორც გაუცხოებული ადამიანი, მექანიკური კანონებით მოქმედებს და ყოველდღიურად ერთსა და იმავე გზას ადგას. ეს გზა ტანჯვის და წამების გზაა, რადგან ტრამვაის გაუცხოებული ყოფაცხოვრება ერთ სადინარში მიედინება, მისი წინასწარი გზის დამდგენია ლიანდაგი, რომელიც სწორხაზოვანი და მოსაწყენი მარშრუტით იფარგლება. ამ მარშრუტს ისეთი წინააღმდეგობები ახლავს, რომ ტრამვაის ზოგჯერ სურვილი აქვს ამოხტეს კიდეც ლიანდაგიდან და ცხოვრება თვითმკვლელობით დაამთავროს. ამას კი ვერ იზამს, რადგან განსხვისებულია, გაუცხოების მსხვერპლია და შეუძლებელია, წინასწარგანჩინებული ყოფა რამენაირად შეცვალოს. ზოგჯერ მოქალაქე, რომელსაც ჰბეზრდება ფეხით სიარული, ცდილობს, შეახტეს მას, მაგრამ ტრამვაის „არაგეომეტრიული თვალი“ აქვს, ვერ ხედავს მოქალაქეს, ვერ ანელებს სვლას და „მოქალაქე ბორბლებქვეშ ექცევა უმალ / და მიზეზივით დაიქნევენ ბორბლები მოქალაქეს“.

აქაც ის ორაზროვანი და ორსახოვანი არსება განიცდის წუხილს, უნდა, რომ შემსუბუქდეს, უნდა, რომ „ვეებერთელა ბამბად იქცეს“, რათა არ გათელოს მსხვერპლი, მაგრამ ცხადია, ვერ ახერხებს, რადგან რკინაა, მეტალია, „ცივი და უმძიმესი“. ასე განაგრძობს წრიულ გზას შოთა ჩანტლაძის ტრამვაი, ხან რას გადაეყრება და ხან რას, გამუდმებით მიირწევა და მიაქვს თავისი სიზიფეს ლოდი ქარში, ყინვაში, თოვლში... მისი გზასავალი უცვლელია.

* * *

გაუცხოებას აბსურდი მოჰყვება. შოთა ჩანტლაძის პოეზიაში გაუცხოების და აბსურდის განწყობილებას მოწყენილობა ბადებს. პოეტი ყველაზე ხშირად მოწყენილობაზე საუბრობს.

აბსურდის თეორიის ავტორი ალბერ კამიუ ერთმანეთისგან ასხვავებს აბსურდის გრძნობას და აბსურდის ცნებას. პირველადი არის გრძნობა, რაც მომდევნო ეტაპზე აყალიბებს ცნებას, ანუ აბსურდული ვითარების გააზრებას. შოთა ჩანტლაძე ის შემოქმედია, რომელიც საკუთარ არსებაში გაჩენილ აბსურდის გრძნობას — თავის გამჭოლ მზერას და მახინჯ სოციალურ რეალობას შორის შეუსაბამობას — პოეზიად აქცევს.

ალბერ კამიუმ „აბსურდის გრძნობა“ ყველაზე მძაფრად გამოხატა რომანში „უცხო“. ამის შემდეგ მან შექმნა აბსურდის თეორია, ესეი — „სიზიფეს მითი“. აქ ის ამბობს: „აბსურდის გრძნობა საფუძვლად უდევს აბსურდის ცნებას, ოღონდ გრძნობა ცნებით ვერ ამოიწურება“.

როგორც უკვე ვთქვით, შოთა ჩანტლაძე სწორედ გაუცხოების და აბსურდის გრძნობას აქცევს პოეზიად. მთავარი გრძნობაა, განცდაა. აბსურდის გაგება განცდაში ეძლევა ალბერ კამიუს („უცხო“), შოთა ჩანტლაძეს კი თავის ორ ვრცელ ლირიკულ ლექსში.

* * *

ცხოვრების აბსურდულობას კონკრეტული ნიშნები აქვს და ეს ნიშნები გარკვეულ ყოფით ვითარებაში მჟღავნდება. საინტერესოა, შოთა ჩანტლაძესთან რა კონკრეტული ნიშანი იჩენს თავს, რომელიც თანხვდება ალბერ კამიუს ნააზრევს.

ალბერ კამიუსთან გაუცხოებას, და შესაბამისად, აბსურდს ფართო მსოფლმხედველობრივი საფუძველი და სპექტრი გააჩნია, შოთასთან იმავე მოვლენებს სოციალური და პოლიტიკური მიზეზები აქვს. ტოტალიტარიზმი უკვე იმთავითვე აფერხებს თავისუფლებას და გამაუცხოებელ სინამდვილეს წარმოშობს. საწყისი ფაზა ცხოვრების აბსურდულობის განცდისა კამიუსთანაც და შოთასთანაც არის მოწყენილობა. ეს თანხვედრა უკვე ინტერესს აღძრავს.

აი, შოთა ჩანტლაძის ლექსი „ჩემი მაგიდის წიგნი“. ეს ლექსი ჩანტლაძისეული აბსურდის თავისებურ მანიფესტს წარმოადგენს. ქალაქი ის სივრცეა, სადაც ყოველდღე დახეტიალობს პოეტი და რომელსაც ის ადარებს სქელტანიან მოსაწყენ წიგნს:

ეს ქალაქი ჩემთვის წიგნია
სქელტანიანი, ეპოქალური და
მოსაწყენი.

ან სხვა ფრაგმენტი:

ამ ქალაქში არის დიდი, ძალიან დიდი,
ვეებერთელა,
ამ ქალაქისხელა მოწყენილობა,
რომელიც უხილავი ძაფებით
გამობმულია საათის ისრებზე.

კამიუ „სიზიფეს მითში“ აღწერს რომანის მთავარი გმირის, მერსოს ერთფეროვან ცხოვრებას და განაგრძობს: „ასეთ დროს ჩვეული დეკორაციები ინგრევა. გაღვიძება, საუზმე, ტრამვაით ჯაყჯაყი, ოთხი საათის მუშაობა, ვახშამი, ძილი... ეს არის ცხოვრების გზა, სადაც ერთი მოსაწყენი დღე ენაცვლება მეორეს. ყველაფერი იწყება ამ გაკვირვებით შეფერილი მოწყენილობით, ყველაფერი ამით იწყება — აი, რა არის მთავარი. მოწყენილობა არის მექანიკურად აწყობილი, განმეორებადი, ინერციას მიდევნებული ცხოვრების თანამდევი გრძნობა, რომელიც ამოძრავებს ცნობიერებას და სამომავლოდ უწევს მას პროვოცირებას“.

მაშასადამე, კიდევ ერთხელ მინდა, აღვნიშნო — ალბერ კამიუც და შოთა ჩანტლაძეც საგანგებოდ გამოყოფენ მოწყენილობის ფაქტორს, რაც მათთვის გაუცხოების და აბსურდის დასაბამია. მოწყენილობა ამ მწერლებთან ონტოლოგიური მნიშვნელობის ცნებაა.

* * *

შოთა ჩანტლაძის ლექსი — „ჩემი მაგიდის წიგნი“ — ისევე, როგორც ლექსი „ტრამვაის“, აბსურდის აპოლოგიაა. ჟან პოლ სარტრი ამბობს: „აბსურდის ადამიანი კი არ განმარტავს, არამედ აღწერს“. ასე აღწერს თავის აბსურდს შოთა ჩანტლაძეც. როგორც უკვე ვთქვით, პოეტი ყოველთვის ხეტიალობდა თავის ქალაქში. ეს ქალაქი მას აგონებს წიგნს, რომელსაც მთელი ცხოვრება კითხულობდა და ამიტომაც ახლა უკვე დაზეპირებული აქვს და, რადგან უკვე ზეპირად იცის, აღარ ესაჭიროება ქალაქში ხეტიალი, ზეპირადვე წარმოთქვამს წიგნის შინაარსს.

შოთა ჩანტლაძე თავიდანვე მიმართავს მეტაფორას: ქალაქი წიგნია, უფრო მეტიც, ქალაქი მაგიდის წიგნია, რადგან ეს მისი ყოველდღიურობაა, ეს გაშლილი მეტაფორაა და მას აქვს თავისი სტრუქტურა. ამ სტრუქტურის აღწერას გვთავაზობს პოეტი და აქ პოეტის ლექსი ერთი თვალშისაცემი ნიშნით ჰგავს კამიუს „უცხოს“ ტექსტს: რაკი ის არ განმარტავს, არამედ აღწერს, მასთან უფრო მეტი რამაა ნაგულისხმევი, ვიდრე ნათქვამი. თვითონ კამიუ ამბობს „სიზიფეს მითში“: „კაცი იმით უფრო ჩანს, რასაც არ ამბობს, ვიდრე იმით, რასაც ამბობს“. მერსო ასეთი სიჩუმის მაგალითია, ასეთივეა შოთა ჩანტლაძის გმირიც. ის ქალაქის ანუ წიგნის სტრუქტურას აგვიწერს. აღწერა ვრცელია, მონოტონური და მნიშვნელოვანია აღწერის თავისებური სიზუსტე და არანაკლებ — აღწერის ინტონაციის ანუ კატალოგური ჩამონათვალის მდორედ დენადი სტრიქონების ევფონიური ჟღერადობა. ამ დენადობაში ჩანს ლირიკული გმირის, თვითონ პოეტის მდორე ინერციით აღძრული ცხოვრების რიტმი. ისევე, როგორც კამიუს მერსო, შოთა ჩანტლაძის ლირიკული გმირიც ინერციით მოძრაობს და აქ ეს ინერცია გადმოცემულია ლექსის რიტმის და, ზოგადად, ინტონაციის მეშვეობით. მისი ნიჰილისტური დამოკიდებულება მაღალი ადამიანური ფასეულობებისადმი წარმოშობს გულგრილობას. ამიტომ ლექსი — „ჩემი მაგიდის წიგნი“ — გადმოსცემს ლირიკული გმირის ინერტულობას, ცხოვრებისეული მოვლენებისადმი არა განსჯისმიერ დამოკიდებულებას, არამედ სრულ განურჩევლობას. მექანიკურად მომართული ლირიკული გმირის ცნობიერება განაგრძობს ქალაქის წიგნთან, „ეპოქალურ და მოსაწყენ“ წიგნთან ანალოგიის ხაზგასმას, ესე იგი, კატალოგის შედგენას და მოულოდნელად სვამს კითხვას: „იცით, რა წერია ამ წიგნში?“ და თვითონვე სცემს პასუხს კითხვას, სადაც უკვე იწყება შინაარსობრივი კატალოგის გამომზეურება:

ეს წიგნი იწყება იმით,
რომ გათენდა მოსაწყენი დილა და
დაიწყო ცხოვრება,
რომ ამ ქალაქში არ არის სიხარული,
რომ ამ ქალაქში არ არის მწუხარება,
რომ ამ ქალაქში არ არის სიყვარული,
რომ ამ ქალაქში
არ არის სიძულვილი,
რომ ამ ქალაქში არ არის სიცოცხლე,
რომ ამ ქალაქში არ არის სიკვდილი,
რომ ამ ქალაქში არის დიდი,
ძალიან დიდი
ვეებერთელა,
ამ ქალაქისხელა მოწყენილობა.

დასასრული მე-15 გვერდზე

ლიტერატორი

ანდრო ბედუკაძე

ანდრო ბედუკაძე ოცდაათ წელზე მეტია, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმს ხელმძღვანელობს.

როგორია, ყოველდღე დაადგე გზას საგურამოსკენ, ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სახლისკენ; ყოველდღე შენს თვალწინ ცოცხლდებოდეს ჩვენი ყველაზე მძიმე და ტრაგიკული ამბავი, და არ შეეჩვიო მას; ისეთივე კრძალვით აღებდე მუზეუმის კარს, როგორითაც პირველ დღეს, ფორმალობად არ აქციო შენი სამსახური, სრულად დაიხარჯო, არაფერი დაიტოვო, რაც ძალები გაქვს, მოახმარო, მართლაც ბოლომდე ემსახურო ილია ჭავჭავაძეს.

ანდრო ბედუკაძემ რთული, შრომატევადი და თითქმის შეუსრულებელი ამოცანები დაუსახა თავს ამ წლების განმავლობაში. ერთ საქმეს მიიყვანდა ბოლომდე და მეორეს შეეჭიდებოდა. არ დაელია იდეა, არც საზრუნავი. რა აძლევს ღონეს და, ალბათ მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა...

— ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის, ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი მუზეუმის, დირექტორი ბრძანდებით 1991 წლიდან, იქაურობის მემატიანე ხართ უკვე ოცდაათ წელზე მეტია, რას იტყვით განვლილ ათწლეულებზე? ბევრი სირთულე შეგხვდებოდათ გზად.

— მუზეუმის დირექტორად 1991 წლის 16 დეკემბერს დავინიშნე. თუ არ ვცდები, 21 დეკემბერს დაიწყო სამოქალაქო ომი და რაც იმ ხანებში საქართველოში ხდებოდა, იგივე სურათი იყო მუზეუმშიც — ავტომატებით სირბილი და ძარცვის საშიშროება. არაერთი მუზეუმი დაზარალდა 90-იანებში. ილიას ობელისკს ავტომატის ჯერი გადაატარეს. მართალია, საგურამოდან სამუზეუმო ექსპონატები არ წაუღიათ, რამდენიმე ძირი ფუტკარი კი მოგვპარეს, რომელი სკაც ვერ წაიღეს, სახურავები გადახადეს. ზამთარი იყო და ფუტკარი დაიხოცა. ყველანაირად ვცდილობდით მუზეუმის გადარჩენას, ვესაუბრებოდით იქ მოსულ შეიარაღებულ ხალხს, მაინც და მაინც შიგნით რომ უნდოდათ ქეიფი და სამშობლოს დღეგრძელობა. ასე იყო თუ ისე, მძიმე წლები დასრულდა, მუზეუმი გადარჩა და თანდათან სტაბილიზაცია დაიწყო, მაგრამ ამასობაში მუზეუმის შენობას შეექმნა პრობლემა. მოგეხსენებათ, ის სახლი ილიამ ააშენა 1895 წელს, მას შემდეგ შენობას კაპიტალური რეაბილიტაცია არ ჩასტარებია, დროთა განმავლობაში ხის აივნის ძირითადი ნაწილი დალპა, ძლიერი მიწისძვრით გამოწვეული რყევები კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ აივანი შენობას მოსცილებოდა და სასტუმრო ოთახში თუნუქით გადახურული, წვიმისგან დაზიანებული ჭერი ჩამონგრეულიყო. მაშინ მუზეუმს „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმი“ ერქვა, რაიონის დაქვემდებარებაში გახლდათ და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. ყოველწლიურად ბიუჯეტიდან გამოიყოფოდა ხოლმე თანხა შენობის რეაბილიტაციისთვის, შემდეგ ეს თანხა, როგორც ხდებოდა ხშირ შემთხვევაში, მოჰყვებოდა სეკვესტრში, მომავალ წელს იგივე მეორდებოდა. ასე გაგრძელდა 1999 წლამდე, სანამ პრესკონფერენცია არ გავმართე და ტელევიზიით არ გადაიცა, რომ სახლ-მუზეუმი დანგრევის პირას იყო. მაშინ „ქართუ ჯგუფი“ და საქველმოქმედო „ფონდი ქართუ“ დაინტერესდა ამ პრობლემის მოგვარებით და საქველმოქმედო „ილიას ფონდის“ გავლით შენობას ძირითადი და საფუძვლიანი რესტავრაცია ჩაუტარდა. უზარმაზარი სამუშაო შესრულდა — საძირკვლიდან დაწყებული სახურავით დამთავრებული — ყველაფერი აღდგა. თუნუქი შეიცვალა სპილენძით, აივნები მუხით გაკეთდა. სარესტავრაციო სამუშაოებში ძეგლთა დაცვაც აქტიურად ჩაერთო. ასე გადარჩა სახლი. 2007 წელს — საიუბილეო თარიღი იყო და — სახლ-მუზეუმმა სახელმწიფო მუზეუმის სტატუსი მიიღო, იმავე წელს მოეწყო ახალი ექსპოზიციაც, 2018-ში კი სახლს ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ასე თანდათან გამოსწორდა სიტუაცია. მუზეუმმა სხვა ფუნქციებიც, სხვა დატვირთვაც შეიძინა, მისი ცხოვრება უფრო მრავალფეროვანი გახდა. ეს ყველაფერი „ილიას ფონდის“ მხარდაჭერით განხორციელდა, ვგულისხმობ ილიას საქველმოქმედო საერთაშორისო ფონდს, რომელიც 1998 წელს ქართული კულტურისა და ილიას იდეების პროპაგანდისა და ხელშეწყობისთვის დაარსდა.



— ალბათ მთავარი, რაც ზოგადად ყველა მუზეუმს აცოცხლებს და მხოლოდ წარსულის მოწმედ არ ტოვებს, მისი ჩართულობაა ყოველდღიურობაში, თანამედროვე კულტურულ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესებში. ილიას მუზეუმს ეს განსაკუთრებულად გამოარჩევს და თქვენი მნიშვნელოვანი, მსხვილი პროექტები სწორედ ამის დამადასტურებელია. ამ პროექტებზე მინდა ვისაუბროთ. მოდი, დავიწყოთ პრემიით „საგურამო“, რომლის იდეაც თქვენ გეკუთვნით.

— მუზეუმს კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ფუნქციები აქვს და ამ მიმართულებებით საკმაოდ აქტიურად ვმუშაობთ. სამეცნიერო კვლევები მუზეუმის ერთ-ერთი ძირითადი საქმეა, კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებები კი საკმაოდ ფართო ცნებაა და „კულტურულში“ პრემია „საგურამოს“ გადაცემაც შედის. პრემია 2003 წელს დაარსა „ილიას ფონდმა“. არსებობს ასეთი კომპანია „შპს ლილო მოლი“, რომლის დამფუძნებლებიც საგურამოში ცხოვრობენ, ვიცნობდით ერთმანეთს, ურთიერთობა გვქონდა, სწორედ მათ გავუზიარე იდეა და შევთავაზე პრემია „საგურამოს“ დაფუძნებაში მხარდაჭერა. თავიდან „საგურამო“ ოთხ ნომინაციაში გაიცემოდა — პროზაში, პოეზიაში, კრიტიკასა და თარგმანში. მოგვიანებით ნომინაციათა ჩამონათვალს ჰუმანიტარული მეცნიერებები, ხელოვნება და საბავშვო ლიტერატურა დაემატა.

— „საგურამოსთან“ ერთად გასცემთ განსაკუთრებულ ჯილდოს, „ილიას მედალს“ — „მარად და ყველგან საქართველო, მე ვარ შენთანა“.

— „ილიას მედალი“ პრემიასთან ერთად დაარსდა. ის გაიცემა ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის. არცერთი წელი არ ყოფილა, პრემია და მედალი არ გაგვეცა. წარმოიდგინეთ, 20 წლის განმავლობაში რამდენი ადამიანი დაჯილდოვდა.

— ეს პრემია სხვა პრემიებისგან განსხვავდება იმით, რომ ავტორი — ამჯერად ლიტერატურას ვგულისხმობ — არა ერთი რომელიმე ნაწარმოებისთვის, ვთქვათ ბოლოს დაწერილი თხზულებისთვის, არამედ მთელი შემოქმედებისთვის ჯილდოვდება, მთელი მისი ნამუშევარი ფასდება ამ პრემიით. ნუთუ რთული არ არის ამდენი კონკურსანტის შემოქმედების განხილვა და შეფასება?

— იცით, როგორ არის, ხომ არსებობს სხვადასხვა ტიპის პრემიები, მაგალითად, ადამიანები ჯილდოვდებიან გამოგონებისთვის, აღმოჩენისთვის, წლის საუკეთესო ნაწარმოებისთვის და ასე შემდეგ. ყველა კონკურსი, ჯილდო თუ პრემია სხვადასხვანაირია.... ჩვენ კი მთელ შემოქმედებას განვიხილავთ და ვაფასებთ. ვფრთხილობთ არჩევანისას. ილიას სახელს ვუფრთხილდებით, ის გვავალდებულებს დიდი ყურადღებით შევარჩიოთ ლაურეატი, ამიტომ პრემიის გაცემა იოლი არ არის.

— ჟიური ალბათ ლიტერატურაში სხვაა, ხელოვნების დარგებში — სხვა, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში კი კონკურსანტებს სხვა აფასებს, ასეა?

— პრემიის ღირსება დამოკიდებულია ჟიურის არჩევანზე, მის მუშაობაზე. დიახ, ძალიან რთულია, მაგრამ ჟიურის წევრები პროფესიონალები არიან, „ილიას ფონდის“ დამფუძნებლებიც შედიან ჟიურიში, მისი შემადგენლობა მუდმივმოქმედია, თუმცა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებსაც ვიწვევთ და მათთან ერთობლივი მუშაობით, აზრთა შეჯერებით გამოვავლენთ ხოლმე ლაურეატებს. მთელი წლის განმავლობაში მიდის ამაზე ფიქრი და მსჯელობა. შრომატევადი საქმეა და, სხვათა შორის, ნერვებსაც მოითხოვს. ხანდახან იმ დღეებში, როდესაც ლაურეატი უნდა გამოვლინდეს, ჟიურის წევრებს ერთმანეთის დანახვაც არ გვინდა, ისეთი კამათი და პოლემიკა იმართება ჩვენ შორის. ღვთის მადლით, მოგეხსენებათ არჩევანიც მწირი არ არის. შეიძლება ადამიანმა წელიწადში ორი-სამი პრემია მიიღოს სხვადასხვა კონკურსში, ჩვენთან კი პრემიის გარეშე დარჩეს, ანდა სხვა კონკურსებშიც დაჯილდოვდეს და ჩვენთანაც.

— მომდევნო შეკითხვა ამ თემის ერთგვარი გაგრძელებაა, ის ეხება თქვენს ახალ დიდ პროექტს — „საგურამოს“ ლაურეატების შემოქმედების სრულ გამოცემას. წარმოუდგენელი მასშტაბის პროექტია, თუ გავითვალისწინებთ ნომინაციების რაოდენობას თუნდაც ლიტერატურაში.

— ეს მართლაც ურთულესი საკითხია. პროზა, პოეზია, თარგმანი, საბავშვო ლიტერატურა და ჰუმანიტარული მეცნიერებები — ამ ნომინაციებში გამოვლენილი თითოეული ლაურეატის შემოქმედება სრულად უნდა გამოიცეს.

— ეს ხომ უდიდეს ადამიანურ და ფინანსურ რესურსებთანაა დაკავშირებული. როგორ ახერხებთ?

— რთული და შრომატევადი საქმეა. როცა ამ პროექტის იდეა გამიჩნდა და ჩემს ლიტერატორ მეგობრებს გავუზიარე, გაოცებული მიყურებდნენ, ხომ არ შეიშალაო. საქმე რა არის, იცით, პრემია პრემიაა, სახელია, პატივია, მნიშვნელოვანი ჯილდოა, მაგრამ მინდოდა, ამით არ დასრულებულიყო; მინდოდა, ამ ხალხის შრომა, შემოქმედებითი ღვაწლი რაღაცნაირად, მეტად დაგვეფასებინა, რაღაც ისეთი მომეფიქრებინა, რაც მათი ცხოვრებისა და შემოქმედების ერთგვარი გვირგვინი იქნებოდა. შემოქმედების სრული გამოცემა ძალზე მნიშვნელოვანი რამ არის. ამისი გაკეთება ადვილი არ გახლავთ.

— რა თქმა უნდა, ასეა. დარწმუნებული ვარ, ამ ხალხის, ლაურეატებს ვგულისხმობ, უმეტესობა, დამოუკიდებლად ვერ მოახერხებდა საკუთარი შემოქმედების სრულად გამოცემას.

— გეთანხმებით, ვერავინ შეძლებდა. რატომ, იცით? თუნდაც იმიტომ, რომ როცა ვეუბნები, სრულად უნდა გამოვცეთ რაც დაგიწერია, რაზეც გიმუშავია-მეთქი, ზოგიერთი ავტორი უარობს, ეშინია, სიტყვა „სრული“ აფრთხობს. ამბობს: „არა, ის ტექსტი არ გვინდა... ეს არ გვინდა“. ვეუბნები, მაშინ საერთოდ არ გამოიცემა-მეთქი. ჩვენ თანამედროვეები ვართ, აწმყოში ვცხოვრობთ, მაგრამ მომავალში, სხვა დროებაში, ახლანდელი ამბები არ უნდა დაიკარგოს, ახლანდელი ისტორია ვერ წაიშლება, ხომ ასეა? დღეს დაწერილს ხვალ როგორ წაიკითხავენ, არავინ იცის. მაშინ „რჩეულს“ დავარქმევდი გამოცემებს და გამარტივდებოდა საქმე, მაგრამ ჩემთვის ძალიან პრინციპულია, რომ იყოს სწორედ სრული გამოცემა, ასე სჯობს მომავლისთვის. დღეს აღარ არიან ის ავტორები, რომელთაც სტალინური რეპრესიები შეეხოთ და, ასე ვთქვათ, ეს აისახა მათ შემოქმედებაშიც. ახლანდელ ავტორებს შეიძლება ის შერცხვეთ, რომ ოდესღაც კომკავშირსა და პარტიაზე წერდნენ. და მერე რატომ წერდნენ, ვინ აძალებდა? არავინ. ეს მათი არჩევანი იყო. ამიტომ უნდა დაიბეჭდოს ყველაფერი.

— წელიწადში ერთხელ გაიცემა პრემია და ამის შემდეგ იწყება მუშაობა გამოცემებზე? ნუთუ ის ერთი წელი, მომავალ დაჯილდოებამდე, საკმარისი დროა, რომ ლაურეატების მთელი შემოქმედება მომზადდეს და გამოიცეს?

— ეს ხომ ახალი პროექტია, პრემია კი 20 წლის განმავლობაში გაიცემა, ამიტომ ჩვენ ჯერ წინა წლების გამარჯვებულების შემოქმედებას გამოვცემთ, ძველი ლაურეატების ტომეულებზე ვმუშაობთ. ჯერჯერობით 11 წიგნია გამოსული.

— სხვადასხვა ავტორის?

— დიახ. რევაზ სირაძის 6 ტომი გამოვიდა, ლევან ბრეგაძის 5 ტომი დაიბეჭდა, დაწყებულია თამაზ ჩხენკელის პირველი ორი ტომის ბეჭდვა, მისი 6-ტომეული გამოვა. ვმუშაობთ თემურ დოიაშვილის შემოქმედების გამოცემაზე, მალე გამოიცემა ბაჩანა ბრეგვაძის მრავალტომეული, პირველი და მეორე ტომები თითქმის მზადაა.

— დიდი სარედაქციო ჯგუფი მუშაობს პროექტზე?

— სარედაქციო ჯგუფს, ძირითადად, „ილიას ფონდის“ დამფუძნებლები წარმოვადგენთ. როსტომ ჩხეიძე, უჩა შერაზადიშვილი, ვანო ამირხანაშვილი და მე — ესაა ბირთვი, სამუშაოს უდიდესი ნაწილი ჩვენზე გადადის, დანაწილებული გვაქვს თემები, ავტორები. ლევან ბრეგაძე თვითონ მუშაობს თავის ტომეულებზე. რა თქმა უნდა, ჩვენც ჩართულები ვართ. პარალელურად, ალექსი ჭინჭარაულის 9 ტომი მზადდება, მისი რედაქტორია ავთანდილ არაბული, სწორედ მან ჩაიბარა ჭინჭარაულის საკმაოდ რთული, სპეციფიკური ენათმეცნიერული მასალის დამუშავება, პირველი ტომი უკვე აწყობილი და დასაბეჭდად გამზადებულია. ასე რომ, მხოლოდ ჩვენ ვერ გავწვდებით ყველაფერს, არის ტექსტები, რომელსაც შესაბამისი დარგის თუ მიმართულების სპე-



ციალისტი სჭირდება. პროექტის მთავარი ფინანსური მხარდამჭერი ისევ „ილიას ფონდია“, გვყავს სხვა სპონსორებიც.

— წელს დასრულდა ილიას 20-ტომეულის გამოცემა. უდიდესი შრომა გასწიეთ. საინტერესოა, როგორ დაიწყო და მიმდინარეობდა ეს პროექტი, ვინ იმუშავა ტომეულებზე, როგორ მოერიეთ ამხელა საქმეს.

— ილიას მრავალტომეულის გამოცემა 35 წლის წინ დაიწყო. მასზე მუშაობდა ლიტერატურის ინსტიტუტი მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად. გამოვიდა ხუთი ტომი, დაიბეჭდა მეექვსეც და პროექტი შეჩერდა — დადგა 90-იანები და აირია ქვეყანა. მე-6 ტომი სტამბაში დარჩა, ვერ გამოისყიდეს. გადავწყვიტე, ეს საქმე გამეგრძელებინა და მეშვიდე ტომის შედგენა დავიწყეთ. ამ წლების განმავლობაში მჭიდროდ ვთანამშრომლობდით ლიტერატურის ინსტიტუტთან, მასალაზე მუშაობდნენ ინსტიტუტის სპეციალისტები, ტექსტოლოგები. ერთად ვმსჯელობდით რა, რის შემდეგ და როგორ გამოგვეცა, ტომები როგორ შეგვედგინა და ასე შემდეგ. ასე, ერთობლივად მივიყვანეთ საქმე ბოლომდე. ერთ-ერთი ტომი, მაგალითად, ორ ნაწილად გამოვეცით, იქ ბევრი რუსული ტექსტი იყო და ვფიქრობდით, დაგვეტოვებინა ასე თუ გვეთარგმნა, ბოლოს თარგმნა გადავწყვიტეთ, ამან ტექსტების მოცულობა გააორმაგა, ერთმა წიგნმა მთელი მასალა ვერ დაიტია და ის ორ ნაწილად გამოიცა. თუმცა ამ წლების განმავლობაში მხოლოდ ილიას 20-ტომეულზე არ გვიმუშავია, ილიას ბიბლიოგრაფიაც გამოვეცით, ეს გახლავთ 1200-გვერდიანი წიგნი, რომელიც მოიცავს სრულ მასალას ილიაზე 1907 წლიდან 2007-ის ჩათვლით, ხოლო ის, რაც 1907 წლამდე დაწერილა, 1957 წელსაა გამოცემული. ბიბლიოგრაფიაზე ვიმუშავეთ „წიგნის პალატასთან“ ერთად. დიდი შრომაა გაწეული მუზეუმში.

— რას გვეტყვით ჟურნალ „საგურამოზე“, რომელიც წლების წინ დააარსეთ? რით გამოირჩევა ის სხვა ლიტერატურული პერიოდული გამოცემებისგან?



— ახლა ჟურნალი „საგურამო“ წელიწადში ერთხელ გამოდის, თუმცა თავიდან მეტი სიხშირით იბეჭდებოდა. მასში ვერ ნახავთ ორიგინალურ ლექსს ან მოთხრობას, თუმცა ესეისტიკა, პუბლიცისტიკა, კრიტიკა, ჰუმანიტარული მეცნიერებები არაერთ საინტერესო სტატიასა და წერილს შემოგთავაზებთ.

— ძირითადი პროექტების გარდა, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, მუზეუმის ყოველდღიურობა მდიდარია ღონისძიებებით, ძალიან დატვირთული რეჟიმით ცხოვრობთ.

— უამრავი რამ ხდება ჩვენთან, ბევრი პროექტი ხორციელდება, არაერთი ღონისძიება იმართება. ყოველ წელს ილიასთან დაკავშირებული სამი თარიღი აღინიშნება: 2 აგვისტო — ილიაობა, 12 სექტემბერი — მისი გარდაცვალების დღე და 8 ნოემბერი — დაბადების დღე, როდესაც ჯილდოვდებიან პრემია „საგურამოს“ ლაურეატებიც. გვქონდა ასეთი ტელეპროექტი „საუბრები ილიაზე“, როცა მუზეუმში ჩაწერილი გადაცემები ტელევიზიით გადაიცემოდა, თუმცა არანაკლებ პოპულარული იყო სხვა ტიპის ვიდეოპროექტი, რომელიც მთელი შარშანდელი წლის განმავლობაში სოციალური ქსელებით ვრცელდებოდა — ორ კვირაში ერთხელ მასწავლებლები, მეცნიერები, მწერლები, პოეტები ილიაზე ლაპარაკობდნენ. ჩვენთან ხშირად იმართება წიგნის პრეზენტაციებიცა და ავტორებთან შეხვედრებიც. აღარაფერს ვამბობ „საგურამოს“ ლაურეატებთან შეხვედრებზე, რომელსაც ყოველთვის ბევრი ხალხი ესწრება. ჩვენი პრიორიტეტი მაინც ახალგაზრდობა, მომავალი თაობა, ბავშვებია. ასეთი პროექტი გვქონდა „მუზეუმი სკოლაში“ — სოფლებში დავდიოდით, მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტების ყველა სკოლას ვეწვიეთ, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლის სკოლებშიც გახლდით, მერე ბავშვები ჩვენთან ჩამოვიყვანეთ, სამდღიანი ფესტივალი გავმართეთ — პატარებმა ერთმანეთი გაიცნეს, ხატეს, წერეს, იმღერეს, ითამაშეს და სახლებში შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ, მთელი ცხოვრება ემახსოვრებათ ალბათ მუზეუმში გატარებული ის სამი დღე.

— გეგმებზე რას იტყვით?

— დაწყებულ პროექტებს გავაგრძელებთ, თუმცა ძალიან გვინდა, ბავშვებს დავუთმოთ მეტი დრო. ვფიქრობ, ჩვენი ყურადღება, დახმარება ყველაზე მეტად სწორედ მათ სჭირდებათ. ამიტომ საგანმანათლებლო პროექტები ჩვენს პრიორიტეტად რჩება.

ესაუბრა თამარ ჟურული

ანდრო ბუაჩიძე

აბსურდის პოეზია

შტრიხები და პარალელები

დასასრული

სწორედ ეს არის რეალობის, რეალური საგნებისა და მოვლენების რადიკალური ტრანსფორმაცია — გროტესკი. ეს არის ქალაქი, სადაც სიხარული სიხარულს არ ჰგავს, არც სიყვარული და სიძულვილი, სიკვდილი და სიცოცხლეა ისეთი, როგორიც უნდა იყოს; ყველაფერი მოწყენილობის ვეებერთელა საბურველშია გახვეული. ამ მოწყენილობიდან იბადება გაუცხოება და აბსურდი. ამ ქალაქში ანუ ამ წიგნში ყველაფერი ერთნაირია და ერთმნიშვნელოვანი. ყველაზე უარესი ის არის, რომ ეს ქალაქი-ტექსტი ყოველდღე ხელახლა იწერება — გუშინდელი ტექსტი ზუსტად ისეთია, როგორიც დღევანდელი, დღევანდელი კი ისეთი, როგორიც ხვალინდელი იქნება და ასე დაუსრულებლად. ეს ორი ლექსიც — „ტრამვაის“ და „ჩემი მაგიდის წიგნი“ ერთნაირია, მუდმივი განმეორებადობა აბსურდის გამომხატველია. ერთი ინტონაცია და ერთი რიტმი იმას გვატყობინებს, რომ ადამიანის თავისუფლება შეფერხებულია, უაზრო სტერეოტიპის არტახებშია მოქცეული და ცდილობს, მაგრამ ამ არტახებიდან თავის დაღწევას ვერ ახერხებს. ეს ლექსები ერთმანეთს ავსებენ, ტრამვაი ქუჩაა და ქუჩა — ტრამვაი. პოეტი მიმართავს ტრამვაის: „ქუჩებში დაწყებული ცხოვრება გრძელდება შენში. შენ ხარ ქუჩა მოარული“. ლექსებს შორის განსხვავება ისაა, რომ ქუჩაში ადამიანები მოძრაობენ და ქუჩა უძრავია, ტრამვაიში კი ადამიანები არ მოძრაობენ, ხოლო ტრამვაი მოძრავია. და კიდევ ისრები, საათის ისრები. როგორი შეიძლება იყოს საათი მექანიკური კანონებით მოქმედ გაუცხოებულ ქალაქში? ძალიან ნელა მოძრავი. მინიატიურაში „საათი“ დრო უკან ეზიდება საათის ისრებს, რომელთაც სურთ თავისუფლად მოძრაობა. დროის რიტმი ისეთია, როგორიც არის სიცოცხლის და ცხოვრების რიტმი. სიცოცხლე კი ამ მოწყენილ ქალაქში შეყოვნებულია და შეფერხებული. პოეტიც თავისუფლებისკენ მოუწოდებს შეყოვნებულ ისრებს: „შეჩერდით, ისრებო საათის,/ ისმინეთ ღაღადი ჩვენი:/ გაფრინდით, გაფრინდით გაფრინდით!/ “ საათის ისრები მართლაც ცდილობენ გაქცევას, მაგრამ ვერ ახერხებენ, დრო მათ არ უშვებს, დრო ზუსტად იმეორებს ცხოვრების იმავე რიტმს, რომელიც მოწყენილ ქალაქშია გამეფებული. „მაგიდის წიგნში“ პოეტი გვეუბნება: „მოწყენილობა უხილავი ძაფებით გამობმულია საათის ისრებზე“. მაშასადამე, მოწყენილობა განაგებს დროს, როგორც ამ უკანასკნელის განუყოფელი ნაწილი.

* * *

რომანში „უცხო“ კამიუმ წარმოაჩინა თანამედროვე სამყარო, რომელიც უსამართლობას, გაუცხოებას და განწირულებას ამჟღავნებს. ამ სამყაროში ადამიანი უცხოდ გრძნობს თავს. ამიტომაცაა ამავე ავტორის გმირი მერსო უცხოდ წოდებული. ასევე უცხოდ გრძნობს თავს გარემომცველ სამყაროში შოთა ჩანტლაძის ლირიკული გმირიც. ის, როგორც კამიუს მერსო, ყოველდღიურობის ტვირთს ეზიდება. ეს ტვირთი, როგორც კამიუ მიგვანიშნებს, სიზიფეს ლოდია, რომელსაც ის ყოველი გათენებისას მოიგდებს ხოლმე ზურგზე და დანიშნულების ადგილას მიაქვს, მაგრამ ლოდი ისევ ქვემოთ მოგორავს, ლირიკული გმირი კი კვლავ მწვერვალისკენ ეზიდება მას და ასე დაუსრულებლად გრძელდება გმირის ტანჯვა. ეს ხდება იქამდე, ვიდრე არ დასვამს ის კითხვას — „როდემდე?“ და არ იგრძნობს აბსურდული ვითარების ტყვეობაში ყოფნას. აბსურდის გრძნობას კამიუსთან „უცხოში“ და შოთა ჩანტლაძის ლექსებში სწორედ ეს მოწყენილობის მომგვრელი მუდმივი განმეორებადობა ბადებს. შოთა ჩანტლაძე ამბობს:

მე ღმერთმა მომისაჯა ამ წიგნის
ყოველდღე კითხვა,
ეს წიგნი მე ეხლა ზეპირად ვიცი
და მაინც ვიწყებ თავიდან მის კითხვას.

ამ მუდმივად განმეორებად გზას ადგას ყოველდღიურად კამიუს მერსოც და შოთა ჩანტლაძის ლირიკული გმირიც და, საბოლოოდ, მათ აბსურდის გრძნობა ეუფლებათ. ეს აბსურდის გრძნობა ანიჭებს ქართველ პოეტს ამბოხის სურვილს, რაც მისივე შემოქმედებით გამოიხატება.



ნინო მოზესი

დაცემა

თავი ძალიან მომწონდა — კეთილი, ლამაზი, მოწყალე, გარკვეულწილად რჩეული — მომცა საბაბი ცხოვრებამ, ასე მეფიქრა. ერთი წელიც არ იქნებოდა, რაც ნიურნბერგში დავსახლდი და ჩემი ტყუპებიც ჯერ მხოლოდ სამი თვისანი იყვნენ. სახლთან ახლოს ვასეირნებდი, ის ქალი რომ შევნიშნე. ძველმანები ეცვა, ძველი ზურგჩანთა ეკეთა და თავსაბურავი ემოსა. სკამზე იჯდა და ისვენებდა. ამაყი და თავმომწონე მივედი და ვკითხე — რამით ხომ არ დაგეხმაროთ. გაბმული მოტირალი ხმით მიპასუხა — ღამის თავშესაფარში რომელი ავტობუსი მიდისო. მოვკიდე ხელი და გადავიყვანე გაჩერებაზე. ავტობუსშიც ჩავსვი. ყველა ერთხმად აყაყანდა, როცა ეს უმწეო ქალი დაინახეს — უხსნიდნენ თავშესაფრის მისამართს. მეორე დღეს ისევ შემხვდა, მაღაზიის წინ სკამზე იჯდა. მივუჯექი. შემეძლო, არც მივჯდომოდი, მაგრამ განა კეთილი მე ამას შეძლებდა? მივუჯექი და ჩიფსები გავუწოდე. მაშინ პირველად შევხედე თვალებში და გულმა რეჩხი მიყო. არასოდეს მენახა ასეთი ღრმა, ლურჯი და მეტყველი თვალები, იდუმალი სევდით სავსე და უცხო ციდან არეკლილი, ესებონის ტბასავით კამკამა და წრფელი. ოჯახი გყავს? — ვკითხე და ხმა ამოიღო, რაღაც ენაზე საუბრობდა, გერმანული არ იყო, არც ჩემთვის სხვა ნაცნობი ენა, მაგრამ ყველაფერი გავიგე. ეს მცირე შოკი დაძლია ჩემმა თავმომწონეობამ. ხელით აღმოსავლეთისკენ მანიშნა — იქით, იქითაა ჩემი ოჯახი, ერთ ოთახს ვეძებ სადმე. შევთავაზე, ჩემთან გაეთია ღამე, ვიდრე რამეს მოძებნიდა. მოხვალ დღეს რვაზე აქვე? მოვალო, შემპირდა და კიდევ ერთხელ ჩამძირა ესებონის ტბაში. შინ მისულმა უაპელაციოდ განვაცხადე, რომ დღეს სტუმარი მოვა. სამ ოთახში ხუთი სული ვცხოვრობდით მაშინ. დავიწყე ფიქრი, სად დავაწვენდი. ვდარდობდი ფულსა და ოქროზე, იქნებ მოიპაროს და წავიდეს და გადავწყვიტე, მეზრუნა ჩემს ავლა-დიდებაზე. ეს საკითხი მაწუხებდა. რვაზე მივედი დათქმულ ადგილას, ის კი არ მოვიდა. ჩემი სიკეთე და რჩეულობა აღშფოთდა, ნუთუ მომატყუა და არ მოვა?! ერთი საათი ველოდე, ღრუბლები გაშავდა ცაზე და ჭექა-ქუხილი დაიწყო. ძალიან დამცირებული ვგრძნობდი თავს, რომ დავკარგე საშუალება, გასათევი მიმეცა მწირისთვის. მისი თვალები გამახსენდა. საყვედურით მიმზერდნენ, ქურდი გეგონე და არ მოვედი, ასე განსაჯა განგებამ. ეს აზრი ამეკვიატა და შემაშინა. იქით უნდა წავიდე, გავიფიქრე ეიფორიაში, იქით, სადაც მანიშნა, რომ მისი სახლია. აღელვებულმა არც კი შევხედე შუქნიშანს და ქუჩა გადავჭერი. დარტყმის ხმა არ გამიგია, თავში მხოლოდ ერთი სიტყვა ისმოდა, იუდა. როცა გავიღვიძე, თეთრ პალატაში შუახნის ქალი დამცქეროდა. იმ ქვეყნიდან მოგაბრუნეთ, თითქმის სასწაულია, ოღონდ მითხარით, რატომ გეშინიათ ასე გერმანელების, ნარკოზში ჩხუბობდით და ფაშისტებს გვეძახდით, ომი ხომ დიდი ხანია, დამთავრდა. ბუნდოვნად მესმოდა ნათქვამი აზრი. ბოლოს პირი გავაღე და ვუპასუხე, იუდა. ექთანს ვეტყვი, დამამშვიდებელი გაგიკეთოთ და დაიძინეთ, მიპასუხა შეშფოთებულმა და დამტოვა. ამ ამბებიდან ერთი თვე გავიდა, სახლში დავბრუნდი და თითქმის გადამავიწყდა ის ქალიც და ავარიაც, რომელიც ჩემი მიზეზით მოხდა. სადღაც მივდიოდი და ჩემგან რამდენიმე მეტრში დავინახე იმავე ძველმანებში, იმავე ზურგჩანთით. მისტიკურმა შიშმა მომიცვა. უკან მივყვებოდი, მიახლოება არც მიფიქრია. პირველად დავაკვირდი, რომ ფეხზე შავი და მძიმე „ბათინკები“ ეცვა. რატომღაც ვიფიქრე, რომ ჩლიქებს მალავდა ამ ვეებერთელა ფეხსაცმელში. ჩვენს შორის მანძილი არ იზომებოდა მეტრებში. ჩვენს შორის მანძილი ჩემი შიშითა და დაზაფვრით თუ გაიზომებოდა. თითქოს ცეცხლოვანი კედელი აღმართულიყო. ჩემი თავი აღარ მეგონა არც კეთილი და თავმომწონეობაც აორთქლებულიყო. პირველად აღმოვაჩინე, რომ ესებონის ტბასავით თვალების პატრონს შეიძლება, ჩლიქები ჰქონდეს, რომელსაც საიმედოდ მალავს ფეხსაცმელში. ასე მოხდა ჩემი დაცემა, აქ გაიხლიჩა ჩემი სამყარო და აქ დავინახე, რომ დღემდე ყველაფერი იყო ფიქცია, თავის მოტყუება, სარკეში ნაკვთების თვალიერება და თვითტკბობა. და მხოლოდ ეს იყო ნამდვილი და ამიტომ საშიში, ლამაზიც და ბინძურიც ერთდროულად. იმ დღის მერე აღარასოდეს შემხვედრია ეს უცნაური ქალი, რომელმაც ხმალივით გაიარა ჩემში...

ჰილდე დომინი

ყველაზე რთული გზები

ყველაზე რთულ გზებს
მარტონი გავდივართ,
იმედგაცრუება, დანაკარგი,
მსხვერპლი —
სულ მარტონი ვართ.
მიცვალებულიც კი, რომელიც ყველას ძახილს ისმენს
და არავის ეუბნება თხოვნაზე უარს,
არ გვეხმარება,
მხოლოდ გვაკვირდება,
შევძლებთ თუ არა.
ცოცხალთა გამოწვდილი ხელები
ხეების ტოტებს ჰგავს ზამთარში.
ყველა ჩიტი დუმს.
მხოლოდ საკუთარი ნაბიჯის ხმა გვესმის
და იმ ნაბიჯის, ჯერ რომ არ გადაგვიდგამს,
მაგრამ გადავდგამთ.
გაჩერება და უკან მობრუნება
გამოსავალი არაა. გასავლელი
უნდა გავიაროთ.
სანთელი დაიჭირე ხელში,
თითქოს კატაკომბებში ხარ,
სუსტი შუქი ძლივს სუნთქავს.
და თუ უკვე დიდი ხანია გზაში ხარ,
სასწაულს ელოდე.
რადგან სასწაული ყოველთვის ხდება
და რადგან წყალობის გარეშე
ვერ ვიცოცხლებთ:
დღის ცინცხალი სუნთქვა სანთლის ალს აძლიერებს,
შენ მას ღიმილით უბერავ სულს.
და როცა მზის გულზე დგები,
აყვავებულ ბაღებში ჩაფლული
ქალაქი გეშლება თვალწინ,
შინ კი თეთრად
გაშლილი სუფრა გხვდება.
და ცოცხლები, რომლებიც შეიძლება დაკარგო,
და მკვდრები, რომლებსაც ვეღარ დაკარგავ,
პურს ტეხენ და ღვინოს გაწვდიან
და მათი ხმა კვლავ გესმის
სულ ახლოს
გულთან.

ღრუბლები თავდებად

მენატრება
ქვეყანა,
სადაც არასდროს ვყოფილვარ —
სადაც ყველა ხე და ყვავილი მცნობს,
სადაც არასოდეს მივდივარ
და სადაც ღრუბლებს არ ვავიწყდები —
უცხო ვარ,
ვერც ერთ სახლში ვერ ვიოხებ ტირილით გულს.
უნავსადგურო კუნძულებს ვსტუმრობ
და გასვლისთანავე
გასაღებებს ვყრი ზღვაში.
ვერასოდეს ვაღწევ დანიშნულების ადგილს.
ჩემი აფრები თითქოს აბლაბუდებია,
რომელთაც ქარი ვერაფერს აკლებს.
და ჰორიზონტს მიღმა,
სადაც დიდი ფრინველები ფრენის შემდეგ
მზის გულზე იშრობენ ფრთებს,
ერთი კონტინენტია, სადაც უნდა მიმიღონ
— პასპორტის გარეშე —
ღრუბლები თავდებად დამიდგებიან.

ჰანრიხ ბიოლი

სამაის

ჩვენ შორიდან მოვდივართ
საყვარელო ბავშვო
და წინ შორი გზა გვიდევს
ნუ გეშინია
ყველა შენთანაა
ვინც შენამდე იყო
დედაშენი
მამაშენი
და ყველა ვინც მათზე წინ იყო
დიდი დიდი ხნით ადრე
ყველა შენთანაა
ნუ გეშინია
ჩვენ შორიდან მოვდივართ
და წინ შორი გზა გვიდევს
საყვარელო ბავშვო

ერიხ კესტნერი

მე დრო ვარ

მე დრო ვარ.
ჩემი სამეფო პატარაა და უსაზღვროდ ვრცელი.
მე დრო ვარ.
მე დრო ვარ, მივიპარები და მივიჩქარი,
იარებს ვაჩენ, იარებს ვკურნავ.
არა მაქვს გული, არც ჩინი თვალის.
არ ვიცი ცუდი, არ ვიცი კარგი.
ჩემთვის ერთია ცოდვა და მადლი.
მე არავინ მძულს, არც მეცოდება.
მე დრო ვარ.

ერთი რამ არის, რაც მსურს გაგანდოთ:
თქვენ მეტისმეტად ბევრს ხმაურობთ!
მე აღარ მესმის, როგორ გადიან
ჩემი წუთები და საათები.
მე მესმის მხოლოდ წყევლა და ლოცვა,
მესმის ხანდახან ტყვიის გასროლაც;
თქვენი ხმა მესმის ყოველთვის, ყველგან ...

ისმინეთ, კაცნო, რისი თქმა მინდა:
ბოლოს და ბოლოს გაიკმინდეთ ხმა!
ჩემს მოსასხამზე მტვრის ნამცეცი ხართ, —
შეწყვიტეთ დავა!

წერტილისხელა არის პლანეტა,
თქვენთან ერთად რომ კოსმოსში ბრუნავს.
მიკრობნი განა ასე ყვირიან?!
და თუ არ გინდათ ისწავლოთ ჭკუა,
კრინტს მაინც ნუ ძრავთ.
უსასრულობას დაუგდეთ ყური,
უსმინეთ დროს!

მაშა კალეკო

რეცეპტი

განდევნე შიშები
და შიშების შიში.
ამ წუთისოფელში
ყველაფერი გეყოფა:
პური განჯინაში
და სამოსი კარადაში.

შენი არაფერია.
ყველაფერი დროებით გერგო.
იცხოვრე ახლა და
ნახავ, რა ცოტა გჭირდება.
ფხიზლად იყავი.
და ჩემოდანი სულ ახლოს გქონდეს.

სიმართლეა, როცა ამბობენ:
რაც მოსახდენია, მოხდებაო.
ტკივილს თავს ნუ დაიტეხ.
მაგრამ თუ მოვა,
მშვიდად გაუსწორე თვალი.
ის ბედნიერებასავით წარმავალია.

ნურაფერს ელი.
კარგად შეინახე საიდუმლო.
ძმაც კი ღალატობს,
ხან შენ, ხან კი საკუთარ თავს.
საკუთარი ჩრდილი აირჩიე
თანამგზავრად.

კარგად დაგავე ოთახი.
ნუ დაინანებ სალამს მეზობლისათვის.
გულმოდგინედ მოწანი ღობე
და ზარი დაკიდე ჭიშკართან.
ჭრილობას შენში ნუ მიაძინებ
წარმავლობის ჭერქვეშ.

დახიე გეგმები. გამოიჩინე გონიერება
და მოეჭიდე სასწაულს.
ის უკვე დიდი ხანია აღნუსხულია
დიდ გეგმაში.

რაინერ მარია რილკე

ცხოვრების გაგებას ნუ შეეცდები...

ცხოვრების გაგებას ნუ შეეცდები,
დღესასწაულად თუ გინდა იქცეს.
იყავ ვით ბავშვი, რომელსაც ქარი
ყოველ ქროლვაზე
ჩუქნის ყვავილებს.
მათ აკრეფას და შეგროვებას
ბავშვი გულშიც არ გაივლებს.
მშვიდად დაიხსნის თმებიდან
ტყვეობაში მყოფ ყვავილებს,
და თავის ახალგაზრდა წლებს
ახლისთვის კვლავაც გაუწვდის ხელს.

სიყვარულში გამოტყდომა

შენი ჩუმი ძახილი მესმის
ყველა ჩურჩულში, ამოკვნესაში,
სრულებით თეთრი საფეხურებით,
რომლებიც ჩემმა ოცნებამ შექმნა,
მესმის მე შენი ჩემთან მოსვლის ხმა.

შენს მეგობარზე შეიტყვე უკვე,
რომ მას უყვარხარ... უყვარხარ ძლიერ.
იცი, მის ბაღში ყველა ყვავილი,
მზის მომზირალი ყველა ყვავილი
ერთ ღამეში რომ აყვავდა უცებ?

როზე აუსლენდერი

თებერვალი

გამოქცეული ანგელოზები
თეთრ პერანგებში
ღრუბლებიდან ცვივიან

ჩვენ მათი მოტეხილი ფრთების
მდინარეში მივცურავთ
წამწამებზე
მიყინული ცრემლებით.

ქარი
ტრომბონს უბერავს.

ანგელოზს შენში

ანგელოზს შენში
უხარია შენი
სინათლე
და დასტირის შენს ბნელს

მისი ფრთებიდან შარიშურობენ
სასიყვარულო სიტყვები
ალერსი და ლექსები
ის შენს გზას დარაჯობს

გადადგი ნაბიჯი
ანგელოზისკენ

თარგმნა ქეთევან ნიკოლაძემ

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004